

# რევაზ სამუკაშვილი

ცნობილისა და გაღის ცენტრალურის გავლენა  
გარემოს კლიმატურ მახასიათებლებზე

**REVAZ SAMUKASHVILI**

**The impact of Inguri and Gali reservoirs on the  
environmental climate characteristics**

**РЕВАЗ САМУКАШВИЛИ**

**Влияние водохранилищ Ингури и Гали на  
климатические характеристики среды**



გამომცემლობა „უნივერსალი“  
Publishing House “UNIVERSAL”

თბილისი – Tbilisi – Тбилиси  
2016

უაქ: 556.55:551.5

ნაშრომში გამოკვლეულია ენგურის და გალის წყალსაცავების გავლენა მიმდებარე ტერიტორიის კლიმატურ მახასიათებლებზე (ჰაერის ტემპერატურა, აბსოლუტური და ფარდობითი ტენიანობა, ნალექების რაოდენობა).

განსაზღვრულია მიმდებარე ტერიტორიის ფართობითი ვარიაციები წელიწადის განმავლობაში, სადაც იგრძნობა წყალსცავების გავლენა გარემოს კლიმატურ მახასიათებლებზე.

**რედაქტორი:** სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გიორგი მელაძე.

**რეცენზებები:** გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი: ელიზბარ ელიზბარაშვილი,  
გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი ბაკური ბერიტაშვილი.

ავტორი მადლობას უხდის საქართველოს პოლიტექნიკური უნივერსიტეტის პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის მეცნიერთანამშრომელს ციცინო დიასამიძეს წიგნის ხელნაწერის დასაბუჭდად მომზადებისათვის.

© რ. სამუკაშვილი, 2016

გამომცემლობა „არიალსალი“, 2016

თბილისი, 0179, ი. ვაკევაძის გამზ. 19, თე: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30

E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-719-6

UDC: 556.5:551.1

In the present work the influence of Inguri and Gali reservoirs on the environmental climate characteristics (are temperature, absolute and relative humidity, wind velocity, amount of precipitation) is investigated.

The variation of areas where the impact of Inguri and Gali reservoirs is observed on the environmental climate characteristics is determined.

Editor: Dr. sciences (Agricul), Professor G. Meladze.

Reviewers: Dr. sciences (Geogr.) Professor E. Elizbarashvili,

Dr. sciences (Geogr.) B. Beritashvili.

© R. Samukashvili, 2016

Publishing House “UNIVERSAL”, 2016

---

19, I. Chavchavadze Ave., 0179, Tbilisi, Georgia ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30  
E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-719-6

УДКБЮ: 556.55:551.5.

В работе исследовано влияние водохранилищ Ингури и Гали на прилежащей территории (температура воздуха, абсолютная и относительная влажность, скорость ветра, количества осадков).

Определены вариации площади прилегающей территории в течение года, где чувствуется влияние водохранилищ на климатические характеристики среды.

Редактор: Доктор сельскохозяйственных наук,  
профессор Георгий Меладзе.

Рецензенти: Доктор географических наук,  
профессор Элизбар Элизбарашивили,  
доктор географических наук  
Бакури Бериташвили.

© Р. Самукашвили, 2016

Издательство “УНИВЕРСАЛ”, 2016

---

Тбилиси, 0179, пр. И.Чавчавадзе №19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30  
E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-719-6

## შინაარსი

შესაგალი	7
<b>თავი 1.</b> კლიმატის ანთროპოგენური ცვლილების ზოგადი დახასიათება, პრობლემის აქტუალობა	8
<b>თავი 2.</b> გარემოს ძირითადი კლიმატური მახასიათებლების ცვლილებების ზოგადი კანონზომიერებანი წყალსაცავების შექმნის პროცესში	33
<b>თავი 3.</b> მდინარე ენგურის წყალსაცავის კასკადის განლაგების რაიონის მოკლე კლიმატური დახასიათება	37
<b>თავი 4.</b> კვლევის მეთოდიკა	76
<b>თავი 5.</b> ენგურის აუზის წყალსაცავების კასკადის ზედაპირიდან აორთქლების პროცესების გავლენა ჰაერის ტენიანობის რეჟიმზე	82
<b>თავი 6.</b> მდინარე ენგურის წყალსაცავების კასკადის გავლენა გარემოს კლიმატზე	118
<b>თავი 7.</b> უწერისა და ურავის წყალსაცავების გავლენა გარემოს კლიმატზე	197
<b>დასკვნები</b>	227
<b>ლიტერატურა</b>	233

## შპსაგალი

ნაშრომში გამოკვლეულია ჯვარის, ხუდონისა და გალის წყალსაცავების გავლენა მიმდებარე ტერიტორიის კლიმატურ მახასიათებლებზე.

სხვადასხვა მეორედების (გეოგრაფიული ანალოგის, გამოთვლითი და სტატისტიკური) გამოყენებით დადგენილია ენგურის წყალსაცავების კასკადის გავლენის არეალი და ხარისხი ძირითადი კლიმატურმომქმნელი მეტეორელემენტების (ჰაერის ტემპერატურა, აბსოლუტური და ფარდობითი ტენიანობა, ქარის სიჩქარე, ნალექების როდენობა) საშუალო თვიურ სიდიდეებზე.

განსაზღვრულია მიმდებარე ტერიტორიის ფართობის ვარიაციები წლის განმავლობაში, სადაც იგრძნობა წყალსაცავების გავლენა გარემოს კლიმატურ მახასიათებლებზე.

დადგენილია გარემოს თერმულ რეჟიმზე წყალსაცავების გამატობები ან გამაცივებები გავლენის პერიოდების ხანგრძლივობა აღგილის აბსოლუტურ სიმაღლესა და წყალსაცავის პარამეტრების სიდიდეებისაგან დამოკიდებულებაზე.

ჩატარებულია წყალსაცავების გავლენის სტატისტიკური შეფასება სტიუდენტის პარამეტრების გამოყენებით.

## თავი 1.

### პლიგატის ანოროპგენური ცვლილების ზოგადი დახასიათება, პროგლომის აქციუალობა

როგორც ცნობილია, კლიმატი ითვლება გარემოს ეკოლოგიური მდგრადარების ერთ-ერთ კომპონენტად და ინდიკატორად. კლიმატის ძირითადი მახასიათებლების მნიშვნელობა (ჰაერის ტემპერატურა, ღრუბლიანობა, ქარის სიჩქარე და მიმართულება) ადამიანის სამეურნეო მოღვაწეობის ფართო სპექტრში ძალიან აქტუალურია. ტანამედროვე პირობებში კლიმატის ცვლილებებიმდინარეობს ორი მიმართულებით: პირველი წარმოადგენს კლიმატის ბუნებრივ ცვლილებას, რომელიც განპირობებულია მასზე დროის დიდ მონაკვეთში ასტროფიზიკური და გეოფიზიკური ფაქტორების კომპლექსური მოქმედებით. ხოლო მეორე – ანოროპოგენურ ცვლილებებს, რომლის გამომწვევი მოხეზია ადამიანის სამეურნეო საქმიანობა. კლიმატზე ანოროპოგენური ზემოქმედება ძირითადად ვლინდება ეკოლოგიური გარემოს ცალკეულ ნაწილებში და აქვს ნებატიური ხასიათი. ხოლო გარემოზე არსებული (საწარმოო ძალების ინტენსიური განვითარების შედეგად) ზემოქმედების მაშტაბების კრიტიკული ზღვრის შემთხვევაში დროის შედარებით მოკლე პერიოდში (მისი ბუნებრივი ცვლილებების ხანგრძლივობასთან შედარებით) კლიმატზე ანოროპოგენური გავლენის მაშტაბები იზრდება და განპირობებს მისი გლობალური, შეუქცევადი ცვლილებების შესაძლებლობას.

მეოცე საუკუნეში დაგროვილი ინსტრუმენტალური მეტეოროლოგიური დაკვირვებების მასალის ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ მის პირველ ნახევარში, განსაკუთრებით 20-30-იან წლებში, ადგილი ჰქონდა კლიმატის ბუნებრივი დათბობის პროცესს, რომელიც 40-იან წლებში შეწყდა და შეიცვალა აცივებით. აცივების სიდიდემ ჯერ კიდევ ვერ მიაღწია დათბობის სიდიდეს. კლიმატის თანამედროვე ბუნებრივი ცვლილები განსაკუთრებით შეიმჩნეოდა ჩრდილოეთ ნახევარსფეროში ზომიერ და მაღალ განედებში /1,2,3/.

კლიმატზე ადამიანის სამეურნეო საქმიანობის ანოროპოგენური გავლენა ძირითადად განპირობებულია ატმოსფეროს შემადგენლობის, მისი ენერგეტიკული ბალანსისა და

ქვეფენილი ზედაპირის ფიზიკური თვისებების ხელოვნური შეცვლით. ამ ფაქტორებიდან პირველი (ატმოსფეროს ქიმიური შემადგენლობის ხელოვნური ცვლილებები)არის ძალიან მნიშვნელოვანი და უკვე იწვევს კლიმატის გლობალურ ცვლილებებს, როგორც უშუალოდ (მაგალითად, CO<sub>2</sub>-ის კონცენტრაციის ზრდა). ისევე მათ ბაზაზე (სხვა აირები და მრავალი ორგანული შენაერთი) წარმოქმნილი აეროზოლების ნაწილაკების მეშვეობით. მზის რადიაციის განხევის, შთანთქმისა და არეკლვის შედეგად ეს აეროზოლები ახდენენ მნიშვნელოვან გავლენას სისტემა “დედამიწა-ატმოსფეროს” რადიაციულ და სითბურ ბალანსზე.

ამ ანთროპოგენურ ფაქტორებიდან ატმოსფეროს უშუალოდ სითბური გაჭუჭყიანების ეფექტი მიჩნეულია ეკოლოგიური თვალსაზრისით ცალკეული რეგიონებისათვის და კერძოდ, დიდი ქალაქებისათვის, კლიმატური პირობების გაუარესების საკმაოდ საშიშ მოვლენად.

ქვეფენილი ზედაპირის ვარიაცებთან დაკავშირებული კლიმატის ანთროპოგენული ცვლილებები არის ადამიანის სამეურნეო (სასოფლო-სამეურნეო, ენერგეტიკული და სხვა) მოღვაწეობის შედეგი, რაც თავის მხრივ განპირობებულია მისი ფიზიკური მახასიათებლების, კერძოდ, ალბედოს ზრდით ან შემცირებით და ამით გამოწვეული რადიაციული და სითბური ბალანსის სიდიდეების მკვეთრი ცვლილებით. როგორც წესი, ეს პროცესები იწვევს რეგიონალური ეკოლოგიური გარემოს მკვეთრ გაუარესებას, ზოგჯერ კი მათი მაშტაბის ზრდის შედეგად ადგილობრივი ფიტო და ზოოცენოზების ეკოლოგიურ კატასტროფასაც. ამ ნებატიურმა პროცესებმა მათი განვითარების ზოგიერთ ხელსაყრელ პირობებში შეიძლება მიიღოს გლობალური ხასიათი.

როგორც ცნობილი და დადგენილია /1/, კლიმატის განმსაზღვრელ მთავარ ფაქტორად ითვლება მზის რადიაცია და ქვეფენილი ზედაპირი. ამასთან ერთად, ატმოსფერული ცირკულაცია (ატმოსფერული პაერის მოძრაობა) ითვლება კლიმატის ერთ-ერთ ელემენტად და არა მის განმსაზღვრელ ფაქტორად. ამიტომ ბუნებრივია, რომ კლიმატურმოქმნელი ფაქტორების ცვლილებებით შეიძლება აისხნას კლიმატის ცვლილების მთავარი კანონზომიერება. ამიტომ აუცილებელი

ხდება ქვეფენილი ზედაპირის ანთროპოგენულ ცვლილებებთან (კერძოდ, წყალსაცავების მშენებლობასთან) დაკავშირებული კლიმატისა და შესაბამისად ეკოლოგიური გარემოს მახასიათებლების დინამიკის დადგენა საწყისი, კერძოდ, მეტეოროლოგიული მონაცემების უკმარისობის ან არასებობის შედეგად.

წინამდებარე სამუშოს მიზანია მდგრადულისა და ერისწყლის აუზებში აშენებული (გალი, ჯვრის) და დაღენილი (ხუდონის) წყალსაცავების გავლენის რაოდენობრივი შეფასება მიმდებარე ტერიტორიის ძირითად კლიმატურ მახასიათებლებზე (პაერის ტემპერატურა, ასოლუტური და ფარდობითი ტენიანობა, ქარის სიჩქარე, ნალექების რაოდენობა).

საქართველოს ტერიტორიაზე წყალსაცავების მშენებლობის პროცესი დაკავშირებულია მთელ რიგ პრობლემებთან, ორმელთა განხილვასა და ყოველმხრივ ანალიზს აქვს აქტუალური მნიშვნელობა.

როგორც ცნობილია, საქართველოს რესპუბლიკა მდიდარია აღდგენილი, ეკოლოგიურად სუფთა ენერგიის ისეთი წყაროებით, როგორიც არის წყლის, მზისა და ქარის ენერგიის რესურსებიენერგიის ამ სახეობებიდან ამჟამად ფართომაშეგაბიან გამოყენებას პოულობს მხოლოდ წყლის რესურსების ენერგია.

როგორც ცნობილია, ენერგეტიკა (თბოელექტროსადგურები, პიდროელექტროსადგურები, ატომური ელექტროსადგურები)წინ უნდა უსწრებდეს სახალხო მეურნეობის სხვა დარგების განვითარებას, თბოელექტროსადგურები მუშაობენ ორგანულ სათბობზე (ქვანანაშირი, ბუნებრივი აირი, მაზუთი) და ასრულებენ მთავარ როლს ატმოსფეროს, პიდროსფეროსა და ლითოსფეროს გაჭუჭყიანებაში.

ექსპლოატაციის პროცესში ნაკლებადსაიმედოა ატომური ელექტროსადგურები, როგორც ეს ერთხელ კიდევ დადასტურდა ჩერნიბილის ტრაგედიის დროს, ავარიის პირობებში დიდი რაოდენობით რადიაქტიური ნივთიერებების გამოყოფის შედეგად, უდიდეს საფრთხეს უქმნიან ბიოსფეროს ყველა კომპონენტებს, გარდა ამისა, სეისმურად აქტიურ რაიონებში, რომელთა რიცხვს მიეკუთვნება საქართველოს ტერიტორიაც, ატომური ელექტროსადგურების მშენებლობა დაუშვებელია.

ენერგეტიკოს ამ სახეობიდან ჰიდროენერგეტიკა ეკოლოგიური თვალსაზრისით წარმოადგენს ყველაზე სუფთა და იაფ სახეობას. ჰიდროელექტროსადგურები არ აჭუჭყიანებენ გარემოს (თბოელექტროსადგურებისა და ატომური ელექტროსადგურებისაგან განსხვავებით) და არ ხარჯავენ ატომსფერულ უანგბადს (თბოელექტროსადგურებისაგან განსხვავებით). ამასთან ერთად, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ის გარემოება, რომ ჰიდროენერგეტიკული რესურსებით საქართველო ერთ-ერთი უმაღლესი ქვეყანაა (ამჟამად ამ რესურსების მხოლოს 12%-ია ათვისებული). საქართველოს სახალხო მეურნეობა წელიწადში საჭიროებს დამატებით 4-5 მილიარდ კილოვატსათ ელექტროენერგიას, რაც მიუთითებს ახალი ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის აუცილებლობაზე. მიუხედავადი იმისა, რომ მათი მშენებლობა დაკავშირებული წყალსაცავების შექმნასთან, დასახლებული ტერიტორიის, ტყის მასივებისა და სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დატოვოვასთან და მათ დაკარგვასთან, წყალსაცავის ნაპირების გადამუშავებასთან და მდინარის კალაპოტში ნაპირების დეგრადაციასთან, ნიადაგის წყლების დონის აწევასთან, მიმდებარე ტერიტორიაზე ფაუნისა და ფლორის შესაძლო ცვლილებასთან, წყლის ხარისხის შეცვლასთან, კლიმატის ძირითადი მახასიათებლების ლოკალურ (ან ფართომაშტაბიან) ცვლილებასთან და სხვა.

გარდა ამ არახელსაყრელი მოვლენისა, წყალსაცავების მშენებლობა წყვეტს ისეთ მნიშვნელოვან ამოცანებს, როგორის არის ჰიდროგრაფიული ქსელის გაუმჯობესება, ჩამონადენის რეგულირება, დასახლებული ჰაერების, სამრეწველო და სხვა დანიშნულების ობიექტების წყალმომარაგება, ჰიდროენერგეტიკის აკუმულაცია და მთის მდინარეების ლიმიტირებული გავლენის თავიდან აცილება არიდულ რაიონებში სოფლის მეურნეობის მემცნარეობის მთელ რიგ დარგებზე და ამასთან დაკავშირებით სარწყავი მიწათმოქმედების განვითარება: დიდი წყალმოვარდნებისაგან, წყალდიდობებისაგან და დვარცოფებისაგან შესაძლო ზარალის შესუსტება ან მთლიანად მოსპობა და მათგან მოსახლეობისა და სასოფლო-სამეურნეო სავარგულებისა და და ობიექტების დაცვა, მიწის რეალური გამოყენების მიზნით ნაკლებპროდიქტიული სასოფლო-სამეურნეო

სავარგულების ნაცვლად უფრო პროდუქტიული წყლის მოცულობისა და მეურნეობის შექმნა, რეკრეაციული ზონების ორგანიზაცია და სხვა. ამ საკითხების წარმატებით გადაჭრისათვის უდავო ხდება დიდი მოცულობის წყალსაცავების უპრატესობა, მაგრამ უდავო ის ფაქტიც, მათ თან ახლავს ზემოაღნიშნული ნეგატიური მოვლენებიც, რომელთა გამორიცხვა და მინიმუმადე დაყვანა შესაძლებელია მცირე წყალსაცავიანი (2-20 კმ<sup>2</sup>) პიდროელექტროსადგურების მშენებლობით (მცირე, მიკრო, მინი ელექტროსადგურები) და დიდი ელექტროსადგურების უფრო მცირე საფეხურებად (კასკადებად) დაყოფა, როდესაც დიდი ელექტროსადგურებისა და კასკადების ენერგეტიკული მაჩვენებელი რჩება უცვლელი.

საქართველოს სეისმურ რაიონებში წყალსაცავების მშენებლობის პროცესში გათვალისწინებული უნდა იქნეს სეისმოაქტიურობის ხარისხი. როგორც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკის ინსტიტუტის სეისმოლოგიისა და სეისმობიების განყოფილების მიერ შესრულებული გამოკვლევების ანალიზი გვიჩვენებს, დასავლეთ კავკასია აღმოსავლეთ კავკასიისა და ჯავახეთის ზეგანის მსგავსად ხასიათდება მაღალი სეისმური აქტიურობით, რომელმაც აქ თავი იჩინა უკამასკნელ პერიოდში მთელი რიგი მძლავრი მიწისძვრების სახით.

დადგენილ იქნა, რომ ენგურის აუზში აშენებული პიდროენერგეტიკულიობიექტების სეისმურობის თვალსაზრისით არახელსაყრელ პირობებშია განლაგებული. მდ. ენგურის აუზი დაფარულია მიწიძვრის კერების წარმოშობის ზონებით, რომელთა სეისმური სიმძლავრე ჯერის წყალსაგავიდან ჩრდილოეთის მიმართულებით მკვეთრად იზრდაბა, განსაკუთრებით კი უტვირის სიღრმედ ნარღვევებთან დაკავშირებული მიწისძვრების კერათა პირველი რანგის ზანის განლაგების რაიონებში. ამ ნარღვევებთან არის დაკავშირებული ჩხელათის 1963 წლის 9 ბალიანი მიწისძვრა, ხოლო მის პარალელურ ნარღვევებთან – თებერდის ასეთივე სიმძლავრის მიწისძვრა. ამ მონაცემებითა და ბოლო გამოკვლევებით (აკად. ვ. სოლომენკო) ხუდონის, ნესკრის, ნაკრისა და სხვა უბნები განლაგებულია მიწისძვრის 10 ბალიან ზონაში.

როგორც ცნობილია მდ. ენგურისა და მისი მსგავსი წყალსაცავების ზემოქმედების ფიზიკური მექანიზმი მათი

განლაგების რაოდენობის სეისმური რეეიმზე მდგომარეობს იმაში, რომ წყალსაცავებში პიდრავლიკური წნევის გაზრდის შედეგად წყალმა სექტება ჩააღწიოს მიწისძვრების კერტების (ნარდვევების) განლაგების სიღრმემდე, რასაც მოხდევს ნარლვევებშიქანების გამორჩევა და სეისმური აქტივობა. ლიტერატურაში ცნობილია პიდროსეისმურობის ბევრი ფაქტი, მათ შორის მაღლივი კაშალების მქონე (103-221მ) წყალსაცავების შეფასების პროცესში და მისი დამთავრების შემდეგ ინიცირებული სუსტი და ძლიერი მიწისძვრების მოელი სერია.

ამრიგად, მდ. ენგურის აუზში წყალსაცავების კასკადის მშენებლობის აკრძალვის (კერძოდ, ხუდონის წყალსაცავის) ერთ-ერთ ძირითად მიზეზად სეიძლება ჩაითვალოს რეგიონის მაღალი პოტენციური სეისმურობა, რომლის რეალიზაციის კატალიზატორად გამოდის წყალსაცავში დიდი წნევის ქვეშ მოქცეული წყლის მასა და მისი პიდროგეოლოგიური პირობების ხელსაყრელი სპეციფიკა.

დიდი მასშტაბების პიდროენერგეტიკული მშენებლობასთან დაკავშირებული მოსალოდნელი ნებატიური მოვლენების მიუხედავად, ნათელია ისიც, რომ დღევანდელ მძიმე სიტუაციაში მყოფო საქართველოს რესპუბლიკის პირობებში აუცილებელია, პირველ რიგში, ენერგეტიკის და, კერძოდ პიდროენერგეტიკის განვითარება, რაც გულისხმობს წყალსაცავების მშევნებლობას. ამასთან ერთად აუცილებელია, ამ მშენებლობასთან დაკავშირებული, როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეების დეტალური ანალიზი, რათა გარემოს ეკოლოგიური მდგომარეობის გაუარესების გარეშე მოხდეს რესპუბლიკის წინაშე მდგომი უაღრესად აქტუალური ენერგეტიკული და ეკონომიკური ამოცანების წარმატებითი რეალიზაცია.

საქართველოს პირობებში პიდროენერგეტიკასთან დაკავშირებული წყალსაცავების მშენებლობა საზოგადოებრიობას აიძულებს ხმა აიმაღლოს პიდროენერგეტიკული მშენებლობიტ გამოწვეული მოსალოდნელი ნებატიური მოვლენების წინააღმდეგ, რაც შეძლება მოკლედ იქნეს წარმოდგენილი შემდეგი პრობლემების სახით: ცნობილია, რომ მთის მდინარეების ხეობებში განლაგებული დიდი პიდროელექტროსადგურების წყალსაცავები იწვევენ უაღრესად დეფიციტური სასოფლო-სამურნეო საგარეულების წყლით დატბორვას, რაც

არასასურველია მცირებიშიანი მთიანი რეგიონის პირობებში და მოსახლეობის ნაწილის გასახლების პირობებში გარკვეულად ამწვავებენ ამ რაიონებში დემოგრაფიულ სიტუაციას.

ისმება კითხვა: რა საის ეკოლოგიურ ძვრებს უნდა მოველოდეთ მიმდებარე ტერიტორიაზე, რომლებსაც შეუძლიათ უარყოფითი გავლენა მოახდინონ მის კლიმატზე, ადამიანის ისტორიულად ჩამოყალიბებულ საცხოვრებელ პირობებზე, ცხოველების, მცენარეების, მიკროორგანიზმების სამყაროზე და დიდი დირებულებების მქონე მატერიალური კულტურის ძეგლებზე? ხომ არ გახდა სელოფანური წყალსაცავი პათოგენური მიკროორგანიზმების გამრავლების, სტიმულირებისა და იმფექციურ დაავადებათა წყაროდ?

ყველა ამ პირობების გადაჭრა ითხოვს დროულ, ამომწურავ და პროფესიონალურად მაღალ დონეზე პასუხის გაცემას, რაც შეზღება განხორციელდეს წყალსაცავების ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების შედეგად.

ეკოლოგიური ექსპერტიზის ცატარებისას განიხილება და გაანალიზდება შემდეგი ჯგუფების ფაქტორები, რომლების მიღებულია საქართველოს ბუნების დაცვისა და სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის მიერ:

I ჯგუფი - უბედური შემთხვევები, რომლებიც გამოწვეულია კაშხალის ალბათური დანგრევის შედეგად ან წყალსაცავის მოწყობით გამოწვეული ინფექციური, არაინფექციური (მათ შორის პარაზიტული) დაავადებანი, წყლის ფაქტორის ირიბი ზემოქმედების შედეგად გამოწვეული დაავადებინი.

II ჯგუფი - ეკოსისტემის ბიოპროდუქტიულობის შეცვლა, წყალსაცავის თვითწმენდის უნარი და ბიოლოგიური ფაქტორებით გამოწვეული წყლის ხარისხის შეცვლა, თევზაროდიქტიულობა, ფიტო - და ზოოპლანქტონის, აგრეთვე წყალმცენარეების წარმოქმნა - განვითარება.

III ჯგუფი - პიდროლოგიური რეჟიმის შეცვლა მდინარის აუზში: წყალსაცავებში მიმდინარე ფილტრაცია და დალექვა. წყალსაცავის მიმდებარე რაიონში ტერიტორიის დაჭაობება, მიწისქვეშა და ზედაპირული წყლების დონეებისა და მათი ფიზიკურ - ქიმიური მახასიათებლების ფორმირება.

IV ჯგუფი - წყალსაცავის ნაპირების დამუშავება და ფორმირება, ფერდობებზე მიმდინარე პროცესების განვითარება და

გააქტიურება, ეგზოგენური და ენდოგენური პროცესები, რეგიონში სეისმური გააქტიურება.

V ჯგუფი - მიწისა და მცენარეული საფარის ცვლილება, გადაშენების პირზე მისული ფლორისა და ფაუნის ცალკეული წარმომადგენლების დაკარგვა, ობიექტის გავლენა ცხოველთა სამყაროზე.

VI ჯგუფი - ტემპერატურის, ტენიანობის, ნალექების რაოდენობისა და ღრუბლიანობის, ქარის სიჩქარისა და მიმართულების ცვლილება, ნისლის წარმოქმნა.

VII ჯგუფი - ქვედა ბიეფში მყოფი ჭალების ბუნებრივი განვითარების უნარის დაკარგვა წყალსაცავებში ლამის შეჩერებით; ქვედა ბიეფის დაცვა წყალდიდობებისაგან, ტერიტორიის დატენიანება და დაჭაობება, სასარგებლო წიაღისეულის აღგილდებარეობის დატბორვა.

VIII ჯგუფი - კულტურული და ისტორიული ძეგლების დატბორვა - დაზიანება, რეკრეაცია, მშენებლობით გამოწვეული ლანდშაფტების შეცვლა; ახალ დასახლებათა გავლენა ადგილობრივ მოსახლეობაზე. ადგილობრივი მოსახლეობის სოციალური პირობების შეცვლა წყალსაცავებიდან ამოღებული შლამისა და მყარი ნატანის გამოყენება სასოფლო-სამეურნეო და სხვა მიზნებისათვის, პუმეუსის ფენის მოხსნა და აგროსამრეწველო გამოყენება. ზემოაღნიშნული ფაქტორები სავარაუდოა და ესპერტიზის დროს დაზუსტებას მოითხოვს.

ეკოლოგიური ექცერტიზის ჩატარების პროცესში აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული ექსპერტიზის მიერ ენერგეტიკული და ეკონომიკური კრიზისის მარწუხებში მოქცეული საქართველოს მოსახლეობის მმიმე მდგომარეობა, რომლის ნეგატიური შედეგები მისი ცხოვრების ყველა სფეროში იგრძნობა: საქენერგოს მონაცემებით წელიწადში ერთ ოჯახს საქართველოში საშუალოდ მიერთებოდა (1963 წლის მონაცემებით) დაახლოებით 1500, გერმანიის ფრდერაციულ რესპუბლიკაში - 3400, ინგლისში - 3600, ამერიკის შეერთებულ შტატებში - 6000 კილოვატსაათი ენერგია და ა.შ. ეს მაშინ, როდესაც საქართველოში ერთ ოჯახზე საჭირო იყო 3300 კილოვატსაათი ელექტროენერგია (იგულისხმება 1963წ.), არსებულზე ორჯერ მეტი.

გარდა ამისა, რესპუბლიკის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე ზრუნვა აუცილებელს ხდის გაზეურების (რომელთა

ექსპლორაციის დროს იხარჯება ქანგბადი და გამოიყობა დიდი რაოდენობით მავნე ნახშირორჟანგი) ელექტროქურებით შეცვლას. ამჟამად ელექტროქურებით უზრუნველყოფილია საქართველოს მოსახლეობის 5%-ზე ნაკლები მაშინ, როდესაც ეს მაჩვენებელი ფინეთში, ნორვეგიაში და შვეიცარიაში 95%-ს აღწევს.

განსაკუთრებით აქტუალურად დგას სოფლის მოსახლეობის ელექტროენერგიით მომარაგების საკითხი, რომელიც დღევანდელ პირობებში გათბობის, ცხელი წყლის მიღებისა და საჭმლის მომხადებისათვის შეშას იყენებს, რასაც მოსდევს ტყეების მასიური განხეხვა (ყოველწლიურად იხეხება მესტის რაიონში 40000მ<sup>3</sup>, ამბოლაურის, ლენტეხისა და ონის რაიონში - 120000მ<sup>3</sup>, ხულოსა და ქედის რაიონებში - 185000მ<sup>3</sup> ხაზე და ა.შ.) და შედეგად ისეთი სტიქიური მოვლენების აქტივიზაცია, როგორიცაა თოვლის ზვავები, ლვარცოფები, მეწერები და სხვა, რის შედეგად სახეზეა მთის მოსახლეობის ბარში მიგრაციის მასიური შემთხვევები.

ამრიგად, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგებისა და აგრეთვე მოსახლეობის კომუნალური საჭიროებების გათვალისწინებით საქართველოში ელექტროენერგიის ამჟამინდელი მოხმარება 18 მილიარდი კოლოვატსათოდან უნდა გაიზარდოს 25 მილიარდ კილოვატსათამდე. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ენერგიის დღევანდელი მოხმარება არის დეფიციტური და ამ რთული მდგომარეობიდან გამოსავლის ერთადერთი გზა არის საქართველოს ელექტროენერგეტიკული ბაზის შემდგომი გაფართოება ისეთი მუდმივგანახლებადი ენერგიის წყაროების ხარჯზე, როგორიც არის პიდრორესურსები, გინაიდან სამწუხაროდ თბოელექტროსადგურებისათვის საჭირო ორგანული სათბობი ჩვენს ქვეყნას ჯერჯერებით არ გააჩნია და იგი იძულებულია სხვა ქვეყნებიდან ყოველწლიურად შემოიტანოს ენერგეტიკული კრიზისის პირობებში მვირად დირებული 2,5 მილიონი ტონა პირობითი სათბობი, რაც აღემატება ჩვენი შესაძლებლობების ფარგლებს. ამიტომაც უნდა იქნეს ათვისებული საქართველოს ტექნიკურად შესაძლო ასათვისებული პიდროენერგეტიკული რესურსების საერთო მარაგის (იგი შეადგენს დაახლოებით 60 მილიარდ კილოვატსათს) უფრო მეტი ნაწილი. როგორც აღინიშნა, დღეს ათვისებულია ამ მარაგის

მხოლოდ 12%. მაგალითად შვეიცარია, ნორვეგია, ავსტრია ათვისებულია პიდრორესურსების 90-95%, რასაც სხვა ფაქტორებს გარდა ხელს უწყობს პესების მიერ წარმოებული ელექტროენერგიის თბოსადგურებთან გაცილებით დაბალი თვითღირებულება.

ამიტომ, როგორც აღინიშნა, საქართველოს პიდროენერგეტიკული ბაზა წყალსაცავიანი პესების ხვედრითი წონის მნიშვნელოვანი გაზრდით უნდა გაფართოვდეს. ამასთანავე ერთად უნდა იქნეს გათვალისწინებული ის გარემოება, რომ მტკნარი წყალი სხვა ბუნებრივ რესურსებთან ერთად წარმოადგენს ქავების ბუნებრივ სიმდიდრეს და ახლო მომავალში წყლის დეფიციტის პრობლემის მკვეთრ გამწვავებასთან ერთად სხვა რესურსების მსგავსად შეიძენს მაღალ საბაზრო დირექტულებას.

ამის გამო აქტუალობას იძენს მთის მდინარეების ჩამონადენის დიდ წყალსაცავებში აკუმულირება და მისი საქართველოს ეკონომიკური ინტერესების სამსახურში ჩაყენება, ხოლო წყალსაცავების თანმხლები დასილვის პროცესების თავიდან ასაცილებლად ან ნაწილობრივ შესამცირებლად, მათთან ერთად, პარალელურად უნდა აშენდეს სახალხო მეურნეობისათვის და კერძოდ, მშენებლობისა და სხვა მიზნებისათვის უაღრესად სასარგებლო ნატანის შემკავებელი ნაგებობა – მოცულობა ”ჯიბე”.

როგორ ავღნიშნეთ, წყალსაცავის დაგეგმარებისა და მშენებლობის პროცესში აუცილებელია წყალსაცავების მიმდებარე ტერიტორიის კლიმატურ მახასიათებლებზე მათი, როგორც დაღებითი, ისე უარყოფითი გაგლების გულდასმით გამოკვლევა და აქედან გამომდინარე, გარემოს ეკოლოგიური წონასწორობის შეძლებისდაგვარად უმცირესი დანაკარგებით შენარჩუნება.

წყალსაცავების მშენებლობასთან და ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ეკოლოგიური პრობემების გადაწყვეტაში განსაზღვრული როლი ენიჭება ძირითადი კლიმატური მახასიათებლების მოსალოდნებლი ცვლილებების დინამიკის დადგენას. როგორც ცნობილია, ამ ცვლილებების რაოდგნობრივი მახასიათებლების მაჩვენებლები დამოკიდებული არიან როგორც წყალსაცავის პარამეტრების სიდიდეზე, ისევე მისი განლაგების

რაიონის გეომორფოლოგიურ და კლიმატურ პირობებზე. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს პიდროენერგეტიკის განვითარების პერსპექტივები და პიდრორესურსები დეტალურად დამუშავებული და შეფასებულია მონიგრაფიაში /4/, სადაც პარალელურად განხილულია აგრეთვე ეკოლოგიურად სუფთა ოვითგანახლებადი მზისა და ქარის ენერგორესურსები.

თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ენერგეტიკული კრიზისის პირობებში (XX საუკუნის მეორე ნახევარში) დედამიწის ზედაპირული წყლის რესურსების რაციონალური გამოყენებისა და პიდროენერგიის საერთო ენერგეტიკულ ბალანსში ჩართვის პრობლემა მზარდ აქტულობას იძენს. საქართველოს პირობებში განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს წყალსაცავების მშენებლობა მთის მდინარეებზე და განსაკუთრებით ისეთ დიდ მდინარეზე, როგორიც არის მდ. ენგური. მდინარე ენგურისა და მისი შენაკადების პიდროენერგიის გამოყენების პერსპექტივული გეგმა ითვალისწინებს წყალსაცავების კასკადის შექმნას და მათი ჩამონადენის წლიურ რეგულირებას.


მდინარე ენგურის კასკადის მთავარ წყალსაცავს წარმოადგენს ჯვრის წყალსაცავი, რომელიც განლაგებულია 510მ სსიმადლეზე ზღვის დონიდან. წყალსაცავის კაშხალის სიმადლე ტოლია 273 მეტრის, წყლის მოცულობა შეადგენს 1100მლნ.მ<sup>3</sup>. მისი სიგრძე ტოლია 27,5მ-ის, ხოლო სიგანე იცვლება 100-200 მეტრიდან 1500-1700 მეტრამდე. წყლის სარკის ფართობი ჯვრის წყალსაცავში იცვლება 6,1კვ.კმ-დან (მკვდარი მოცულობის დონის შემთხვევაში) 13,5კვ.კმ-დე (ნორმალური შეტბორვის დონის შემთხვევაში). წყალსაცავში წყლის საშუალო სიღრმე შეადგენს 61,5 მეტრს, მაქსიმალური - 226 მეტრს. წყალსაცავის სანაპირო ხაზის სიგრძე ნორმალური შეტბორვის დონის შემთხვევაში შეადგენს 61,6კმ-ს, ნორმალური ძეტბორვის შემთხვევაში წყალსაცავის დონე შეადგენს 510მ-ს, ხოლო მკვდარი მოცულობის შემთხვევაში კი 440მ-ს.

გალის წყალსაცავი აშენდა სოფ. რეჩხთან მდ. ერისწყლის გადაკეტვით, ამასთან ერთად მდ. ენგურიდან მდ. ერისწყალში დერივაციული გვირაბის საშუალებით მიეწოდება წყლის გარკვეული რაოდენობა, გალის წყალსაცავის დონე მკვდარი მოცულობის შემთხვევაში შეადგენს 96,5 მეტრს, ხოლო ნორმალური შეტბორვის შემთხვევაში - 100,6 მეტრს. წყლის

სარკის ფართობი მცირდება 7,2კვ.კმ-დან (მკვდარი მოცულობის დონის შემთხვევაში) 8,2კვ.კმ-მდე (ნორმალური შეტბორვის დონის შემთხვევაში). წყლის საშუალო სიმაღლე შეადგენს პირველ შემთხვევაში 17,7 მეტრს, ხოლო მაქსიმალური სიღრმე (მეორე შემთხვევაში) – 42,3 მეტრს. წყალსაცავის საშუალო სიგანე (ნორმალური შეტბორვის დონის შემთხვევაში) შეადგენს 1,0 კილომეტრს, ხოლო მაქსიმალური – 3,4 კილომეტრს. წყალსაცავის სანაპირო ხაზის სიგრძე (ნორმალური შეტბორვის დონის შემთხვევაში) შეადგენს 8,8 კილომეტრს.

პერსპექტიული საპროექტო გეგმების თანახმად ხუდონის წყალსაცავის დონე (ნორმალური შეტბორვის ანათვალის შემთხვევაში) სეადგენს 670 მეტრს, ხოლო მკვდარი დონის შემთხვევაში – 645 მეტრს. წყლის სარკის ფართობი შეადგენს, პირველ შემთხვევაში 4,0კვ.კმ-ს, ხოლო მეორე შემთხვევაში – 2,85კვ.კმ-ს. პირველ შემთხვევაში წყალსაცავის საშუალო სიღრმე შეადგენს 80 მეტრს, ხოლო მაქსიმალური სიღრმე – 145 მეტრს. წყალსაცავის საშუალო სიგანე (ნორმალური შეტბორვის დონის შემთხვევაში) შეადგენს 280 მეტრს, ხოლო მაქსიმალური სიგანე – 500 მეტრს. წყალსაცავის სანაპირო ხაზის სიგრძე ნორმალური შეტბორვის შემთხვევაში შეადგენს 8,0კმ-ს.

როგორც ცნობილია, წყალსაცავის მშენებლობა დაკავშირებულია ერთ-ერთი კლიმატწარმომქმნელი ფაქტორის – ქვეფენილი ზედაპირის ფიზიკური თვისებების მკვეთრ ცვლილებებთან, რაც იწვევს გარემოს კლიმატური მახასიათებლების შესაბამის ცვლილებებს. ამ ცვლილებების რაოდენობრივი მახასიათებლები დამოკიდებული არიან წყალსაცავის ზომებზე, ადგილობრივ ოროგრაფიულ და კლიმატურ პირობებზე და განპირობებულია სითბური ბალანსის, ტენიანობისა და ქარის რეჟიმის განსხვავებით წყლისა და მიწის ქვეფენილ ზედაპირებს შორის. ამიტომაც აქტუალურად დგას საკითხი გარემოს კლიმატზე წყალსაცავების გავლენის



ნახ. 1. ენგურისა და გალის წყალსაცავების აუზების  
რეგა-სქემა

პირობების შესწავლის შესახებ თვითონეულ კონკრეტულ შემთხვევაში.

მდ. ენგურის კასკადის წყალსაცავების (ისევე როგორც ნებისმიერი წყალსაცავის) გარემომცველ კლიმატურ მახასიათებლებზე გაფლენის პრობლემა წარმოადგენს პიდროლმეტეოროლოგიური ხასიათის როულ კომპლექსს, რომელიც შეიცვას ისეთ კომპონენტებს, როგორიცაა კასკადის წყალსაცავთა პიდროლოგიური რეჟიმი (რომელიც მოხაწილეობს წყალსაცავებში წყლის სარკის ფართობის ფორმირებაში), წყლის სარკის ფართობის დღედამური და შიდაწლიური ვარიაციები (განპირობებული მდინარეთა აუზებში გლაციო-მეტეოროლოგიური პროცესებით და პიდროლექტროსადგურების ექსპლოატაციის რეჟიმით), წყლის სარკის ზედაპირიდან აორთქლების სიდიდეების სეზონური მსვლელობა, წყლის სარკის ზედაპირის გავლენა გარემოს კლიმატურ პირობებზე უშუალოდ (ქარის სიჩქარისა და სითბური ბალანსის სიდიდეების ფორმირებაში და აორთქლების პროცესების მეშვეობით (ჰაურის ტენიანობის ზრდა წყალსაცავების განლაგების რაიონ ში ან მიმდებარე ტერიტორიაზე), ლრუბლიანობის რეჟიმისა და მასთან დაკავშირებული მთელი რიგი მეტეოროლოგიური მოვლენების, კერძოდ, ნალექების ლოკალური ცვლილებანი. ამ კომპლექსური პრობლემის გადაჭრის პროცესში განსაკუთრებული ყურადღება მიექცა იმ მეტეოროლოგიური პარამეტრების შეფასებას, რომლების პრევალირებენ მასში შემავალი ძირითადი კომონენტების ფორმირების პროცესში.

გამოკვლევას საფუძვლად დაედო იმ მრავალწლიანი მეტეოროლოგიური დაკვირვებების სედეგად მიღებული ინფორმაცია, რომლებიც ტარდებოდა წყალსაცავების განლაგების რაიონებში (რეგიონში) მდ. ენგურისა და დრის წყლის აუზებში წყალსაცავების შევსებამდე და შევსების შემდგომ პერიოდში.

მდ. ენგური წარმოადგენს დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთ უდიდეს მთის მდინარეს: მისი სიგრძე შეადგენს 221კმ-ს, სყალშემპრების ფართობი 4062კმ-ს, საერთო ვარდნა – 2600მ-ს. მდინარის აუზის წყალშემპრების საშუალო შერეული სიმაღლე შეადგენს 1840მ-ს. ენგური სათავეს იღებს კავკასიონის სამხრეთი ფერდობის გლაციოურ-ნივალურ ზონაში. სოფელ ლატალამდე იგი მოედინება მთის არაღრმა ხეობაში, ხოლო უფრო დაბლა სოფელ

ჯვრამდის – ღრმა ტყიამ ხეობაში. სოფ. ჯვართან მისი მარცხენა შენაკადის მაგანას შესართავამდე მდინარე მოედინება ფართო ხეობაში.

მდინარე ენგურის აუზი განლაგებულია ძლიერ დანაწევრებულ სამხრეთ კავკასიონის რელიეფის პირობებში. მდინარის მარჯვენა შენაკადები იკვებებიან ძირითადად მყინვარული და თოვლის წყლებით, ხოლო მარცხენა შენაკადები – ცხრილი1

წყალსაცავების ძირითადი მორფომეტრული მახასიათებლები (გ. მეტრულის მიხედვით)

ინდიკატორი	წყლის დონე, მ		მდინარე ენგურის დონე	სარეის ფართ., კმ²		სიღრმე, მ		შიგანე, კმ		ტერიტორიული დონე	
	ნორმა დონეზე შეტბორების დონე	მედ. მოცულობის დონე		ნორმ. შეტბორების დონე	მედ. მოცულობის დონე	საშუალო	უდიდესი	საშუალო	უდიდესი		
ჯვარი	510	440	1093	13.5	6.1	81.5	227	0.5	1.5	27.0	61.6
გალი	100.6	96.5		8.2	7.2	17.7	42.3	1.0	3.4	8.8	41.9
ხედონი	670	645		4.0	2.85	80.0	145	0.28	0.5	8.0	30

მდნარი თოვლისა დაწვიმისწყლებით, [ხოლო მარცხენა შენაკადები-მდნარი თოვლისა და წვიმის წყლებით.] ამ ნაშრომში განხილულ სამუშაოთა რაიონი მოიცავს ენგურის აუზის მთიან და წინამთიან ნაწილებს ურთულესი ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობებით. მდინარის ზემო და ქვემო დინებები განლაგებულია მესტიის რაიონში; სოფები ჯვარი ეპუთების წალენჯისის რაიონში.

მდინარე ერისწყლის აუზში უანლაგებულია გალის წყალსაცავი. მდინარე ერისწყალი წარმოადგენს მდ.ოქუმის მარცხენა შენაკადს, რომელიც ერთვის (ენგურის ჩრდილოეთი) შავ ზღვას. მდინარის სიგრძე შეადგენს 76 კმ-ს, წყალშემკრები აუზის ფართობი 297 კვ.კმ-ს. მდინარის საერთო ვარდნა ტოლია 789 მეტრის. აუზის წყალშემკრების საშუალო შერეული სიმაყლე შეადგენს 270 მეტრს. ერის წყალი დასაწყისს იღებს არამაღალ მთიან მასივში, იგი იკვებება მდნარი თოვლისა და წვიმის წყლებით; მისი კვება ძირითადად წვიმისაა.

მდინარე ენგურის ხეობაში პირველი პიდროლოგიური სამუშაოები დაწევბულია ამიერკავკასიის წელთა მეურნეობის მიერ სოფელ ჯვარში 1916 წელს. ეს დაკვირვებები მხოლოდ 1920 წლამდის გრძელდებოდა და განახლდა 1928 წელს. 1930 წელს პიდრომეტსელის გაფართოებასთან დაკავშირებით მდინარე ენგურის ზედა და შუა ღინებაში გაიხსნა ახალი სადგურები. 1948 წლიდან ენგურის აუზში არსებული პიდრომეტეოროლოგიურ დაკვირვებათა სადგურების ქსელი ფუნქციონირებდა საქართველოს რესპუბლიკის პიდრომეტსამსახურის სახით.

1955-1956 წლებში მდინარე ენგურისა და მისი შენაკადების ენერგეტიკული ათვისების მიზნით თბილწ=პიდროპროექტმა მდინარე ენგურისა და ერისწყლის აუზებში ხელახლა გახსნა სადგურების დამატებითი ქსელი.


ცხრილ 2-ში მოყვანილია პიდრომეტრული სადგურებისა და საგუშაგოების, ხოლო ცხრილ 3-ში იმ მეტეოროლოგიური სადგურების სია, რომელიც ფუნქციონირებდნენ (ნაწილი ახლაც ფუნქციონირებს) საკვლევ მდინარეთა აუზებში 1912-1977 წლების სხვადასხვა პერიოდში.

როგორც ამ ცხრილებში მოყვანილი ინფორმაციიდან ჩანს, საკვლევი პერიოდის განმავლიბაში მოცემულ რაიონში პიდრომეტრიული საგუშაგოებისა და მეტეოროლოგიური სადგურების რიცხვი იცვლებოდა გარკვეულ ფარგლებში, რაც დაკავშირებული იყო ზოგიერთ შემთხვევაში პრობლემის გადასაჭრელად საქმარისი ინფორმაციის მოპოვებასთან, ზოგიერთ შემთხვევაში კი-სათანადო ფინანსირებითა და შესაბამისად შესრულებული სამუშაოების მოცულობის შემცირებასთან.

მდინარე ენგურისა და ერისწყლის აუზებში პიდრომეტეოროლოგიური ქსელის განლაგების სქემა მოყვანილია ნახ.2-ზე (1975 წლის მონაცემებით). როგორც ამ სქემიდან ჩანს, 1975 წლის მონაცემების თანახმად, მდინარე ენგურისა და ერისწყლის აუზებში მუშაობდა 11 თანრიგის 6 მეტეოროლოგიური სადგური (მესტია, ხაიში, ჯვარი, ზუგდიდი, გალი, ფოცხო-ეწერი). ამ მეტეოროლოგურებიდან ერთი- ფოცხო-ეწერი ეპუთვნოდა თბილპიდროპროექტს, დანარჩენი ხუთი კი-პიდრომეტსამსახურის სამმართველოს. ამავე აუზებში სინქრონულად მუშაობდა პიდრომეტრული ქსელის 16 პუნქტი, რომელთაგან ოთხი (ენგური-ივარი, ენგური-ხაიში, მესტია-ჭალა, თხეიში-ხაიში) ეპუთვნოდა

პიდრომეტრსამსახურის სამმართველოს ხოლო დანარჩენი თერომეტი – თბილპიდროპროექტის (ენგური-დიზი, ენგური-ხუბერი, ენგური-კაშხაევის ქვემო ბიეფი, ენგური-დარჩელი, ენგური-ანაკლია, ნენსკრა-ლახამი, მაგანი შესართავთან, ოლორი შესართავთან, ერისწყალი ჩეგოლის ქვემოდ, გალის წყალსაცავი, წყალმიმწოდები არხი 1-ლი ჰესის ქვემოთ).

ამრიგად, საკვლევი მდინარეების აუზებში განლაგებული პიდრომეტრული საგუშაგოებისა და მეტეოროლოგიური სადგურების ქსელი იძლეოდა დასმული პრობლემის გადასაწყვეტად შესაბამის სათანადო მოცულობის ინფორმაციას.



ნახ. 2 მდ. ენგურისა და ერისწყლის აუზებში პიდრომეტეოროლოგიური ქსელიდ განლაგების სქემა

ნახ. 2-ზე მოყვანილი პირობითი აღნიშვნები იყოფა სამ ჯგუფად. პირველ ჯგუფში შედიან მეტეოროლოგიური სადგურები, რომლებიც გახსნილია პიდრომეტსამსახურის მიერ ესენია მეტეოსადგური მესტია (ა), ხაიში (ბ), ჯვარი (გ), ზუგდიდი (გ), გალი (დ), და ფოცხო- ეწრის ამაორთქლებელი სადგური (ე), რომელიც ორგანიზებულია პიდროპროექტის მიერ. მეორე ჯგუფში შედიან პიდრომეტრული ქსელის პუნქტები რომლებიც ენგურისა და ერისწყლის აუზებში ორგანიზებული იქნა, როგორც პიდრომეტსამსახურის სამმართველოს, ისევე პიდროპროექტის სახით. ესენია: ენგური – იფარი (1), ენგური – დიზი (2) ენგური – ხაიში (3), ენგური – ხუბერი (4), ენგურ - ქვემო ბიეფი, კაშხალი (5), ცხრილი 2

პიდრომეტრული სადგურებისა და საგუშაგოების სია, რომლების მოქმედებდნენ 1/1-1977 წლამდე

№	მდინარე	პუნქტი	თანრიგი	შესართავი დან მანძილი, კმ	წელშეკრევების ფართობი, კმ²	დარგობრივ უწყებრივი აუთვინილება
1	ენგური	იფარი	პ/სადგ.	155	362	პიდრომეტსამ.
2	"—"	დიზი	"	132	1616	"—"
3	"—"	ხაიში	"	110	2782	"—"
4	"—"	ხუბერი	"	94	3008	თბილპოდროპრ
5	"—"	კაშხალი	"	78	3174	"—"
6	"—"	დარჩელი	"	14	3656	"—"
7	"—"	ანაკლია	პ/სადგ.-წყ სადგ.	1.9	4060	"—"
8	მესტია- ჭალა	მესტია	პ/სად.	0.7	163	პიდრომეტსამ.
9	ნაკრა	ნაკი	"	5.0	128	"—"
10	ნენსკრა	ლახამი	"	3.2	468	თბილპოდროპრ
11	თხეიში	ხაიში	"	0.2	224	"—"
12	მაგანა	შესართავი	"	1.5	139	"—"
13	ილორი	"	"	0.2	69.7	"—"

ენგური – დარჩელი (6), ენგური – ანაკლია (7), მესტია – ჭალა (8), ნაკრა – ნაკრა (9), ნენსკა – ლახამი (10), თხეიში – ხაიში (11), მაგანა შესართავთან (12), ოდორი – შესართავთან (13), ერისწყალი

(14), გალის წყალსაცავი (15), წყალმიმმწოდებელი არხი (16). მესამე ჯგუფში შედიან პირობითი აღნიშვნები, რომლებიც წარმოდგენილი არიან სამკუთხედების (პიდრომეტსამსახურის მეტეო სადგურები და პიდროპროექტის ამაორთქლებელი სადგურები) და წრეხაზების (პიდრომეტსამსახურის და პიდროპროექტის პიდრომეტრული სადგურები, პიდროპროექტის წყალსაგუშაგოები) სახით. პიდრომეტეოროლოგიური სადგურები და საგუშაგოები აღჭურვილი იყო სტანდარტული ტიპის შესაბამისი ხელსაწყოებით. წყლის დონე იზომებოდა წყალმზომი ლარტყებით, ლატანით, საძირავებით (გვარლზე მიმაგრებული 50კგ წონის ტვირთით) და სპეციალური დისტანციური დანადგარებით. ზოგიერთ სადგურზე და საგუშაგოზე (დაზი, ცხრილი 3

მეტეოროლოგიური სადგურების სია, რომელნიც  
მოქმედებდნენ 1/1-1977წ.

Nº	სადგური	აბს. სიმაღლე, მ	შენიშვნა
<b>პიდრომეტსამმართველოს II თანრიგის სადგურები</b>			
1	შესტია	1445	
2	ხაიში	730	
3	ჯვარი	270	
4	ზუგდიდი	118	
<b>პიდრომეტსამმართველოს საგუშაგოები</b>			
1	მურგმელი	2100	
2	ჩოლაში	1590	
3	ბეჩო	1440	
4	ნაკი	1160	
5	ლაზამულა	992	
6	ლაზამი	800	
7	ანაკლია	2	
<b>ამაორთქლებელი სადგურები, თბილპიდროპროექტი</b>			
1	ფოცხო-ეწერი	399	
<b>II თანრიგის მეტეოროლოგიური სადგურები, თბილპიდროპროექტი</b>			
1	ფოცხო-ეწერი	399	

ხუბერი, ნენსკრა, ენგურის კაშხალი) მუშაობდნენ „ვალდაის“ ტიპის წყლის დონის თვითმწოდებელი. ჰიდროლოგიური და მეტეოროლოგიური დაკვირვებები წარმოებდა მიღებული მეთოდური მოთხოვნილებების შესაბამისად. მდინარეებზე და მათ შენაკადებზე წყლის ხარჯები იზომებოდა გვარლზე ან ლატანზე დამაგრებული სხვადასხვა მოდიფიკაციის წინასწარ ტარიღებული ჰიდროლოგიური ტრიალებით ან დისტანციური დანადგარებით.

პუნქტებში ფოცხო - ეწერში და ხუბერში ტარდებოდა დაკვირვებები აუზიდან და ამაორთქლებლიდან აორთქლების პროცესებზე. პარალელურად აუზში და ამაორთქლებლებში წარმოებდა დაკვირვებები პაერისა და წყლის ტემპერატურებზე ქარის სიჩქარეზე დამიმართულებაზე, ატმოსფერულ ნაკექებზე და პაერის ტენიანობაზე. ზამთრის პერიოდში, როდესაც აუზში და ამაორთქლებელში წყლის სედაპირი ყინულით იფარებოდა, დაკვირვებები წყლის ტემპერატურასა და აორთქლებს სიდიდეებზე წყდებოდა. ამ პერიოდისათვის აორთქლების დეკადური სიდიდეების აღსაღენად გამოყენებული იქნა ნ.გ. ნიკოლაევის ცნობილი გრაფიკი, რომელიც წარმოადგენს თოვლის საფარველის ზედაპირთან არსებულ აორთქლების სიდიდეებსა და პაერის ტემპერატურას შორის დამოკიდებულების მრუდს. ეს დამოკიდებულება მიღებულია სევანის ტბის სანაპირო სადგურებზე. ამრიგად, მიღებული იქნა აორთქლების წლიური სიდიდეები აუზის ამაორთქლებლებისათვის.

მდინარე ენგურისა და ერისწყლის აუზების მეტეოროლოგიური რეჟიმი დახასიათებული იქნა მეტეოროლოგიური სადგურების მრავალწლიური დაკვირვებების მასალის ანალიზის საფუძველზე. ამ სადგურების ნაწილი განლაგებულია უშუალოდ საკვლევი აუზების ტერიტორიაზე (სადგურები ჯვარი, ფოცხო-ეწერი, მესტია, ხაიში, გალი), ნაწილი კი ამ ტერიტორიების გარეთ სხვადასხვა დაშორების მანძილზე (ანაკლია, ზუგდიდი, ბერი, ყორულდაში, ოტობაია).

სადგური – ჯვარი მდებარეობს მდინარე ენგურის ხეობაში, იმ ადგილას, სადაც მდინარე გამოდის კოლხეთის დაბლობის მთისწინეთში. მოცემული ხეობა დასავლეთიდან შემოსაზღვრულია კოდორის, ხოლო აღმოსავლეთიდან – ენგურის ქედებით. მეტეოროლოგიური მდებარეობს სოფელ ჯვრის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში 70-80მ მანძილზე მდინარე მაგანას (ენგურის მარცხენა

შენაკადი) მარცხენა ნაპირიდან და 150მ მანძილზე მდ. ენგურიდან. მდ. მაგანა ენგურს ერთვის მარცხენა მხრიდან სოფ. ჯვრის მიდამოებში. მეტეომოედნის აბსოლუტური სიმაღლე სეადგენს 268მ-ს. მეტეოროლოგიური დაკვირვებები სოფ. ჯვარში დაიწყო 1931 წელს.

სადგური – ხაიში მდებარეობს მდ. ენგურის შუაწელზე, იქ სადაც მას ერთვის მარცხენა შენაკადი – მდ. ხაიშურა. მეტეომოედნი განლაგებულია მდ. ენგურის მარჯვენა სანაპიროზე 1-2 ჰექტარი ფართობის მქონე ტერასაზე და მიყვება ვიწროზოდ გზატკეცილს მდინარის გასწვრივ. მეტეომოედნის სიმაღლე შეადგენს 730 მ-ს. სადგური გაიხსნა 1931 წელს (რეგულარული დაკვირვებები დაიწყო 1932 წლიდან). ამ დრიდან 1992 წლამდე მუშაობდა უწყვეტად მესამე თანრიგის სადგურის პროგრამით.

სადგური – მესტია განლაგებულია მდ. ენგურის მარჯვენა შენაკადის მესტია-ჭალას მთიან ხეობაში. ჩრდილოეთიდან ის შემოსაზღვრულია კავკასიონის, ხოლო სამხრეთიდან – სვანეთის ქედით. მეტეომოედნი მდებარეობს მდ. მესტია-ჭალას მარჯვენა ნაპირთან 1441მ სიმაღლეზე ზღვის დონიდან. სადგური გასხსნილია 1930 წელს და უწყვეტად მუშაობს დაარსების მომენტიდან დღემდე. 1942 წლამდე სადგური მდებარეობდა უშუალოდ რაიონულ ცენტრ მესტიაში. შემდეგ გადატანილი იქნა 2,5გმ-ის დასორებით სამხრეთ – დასავლეთიდან თავისუფალ ველზე. 1941 წლის ნოემბრამდე სადგური მუშაობდა III თანრიგის პროგრამით, ხოლო სემდეგ 1992 წლამდე II თანრიგის პროგრამით.

სადგური – გალი მდებარეობს კოლხეთის დაბლობის ჩრდილო – აღმოსავლეთ ნაწილის შედარებით ამაღლებულ ზონაში. სადგური დაარსებული იქნა 1913 წლის ივნისში. სადგურის მუშაობის პერიოდებია 1913-1917წწ და 1928 წლიდან დღემდე. 1944 წლიდან 1947 წლამდე სადგური მდებარეობდა გალის ჩრდილოეთით მდებარე კოხორის მეურნეობის ტერიტორიაზე (სადგური გალი – კოხორა). 1947 წელს მეტეოსადგური გადატანილი იქნა ახალ ადგილზე, რეინიგზის სადგურის მაზლობლად 150მ მანძილზე. მეტეომოედნის სიმაღლი ზღვის დონიდან შეადგენს 63 მეტრს.

მეტეოსადგური - ანაკლია ფუნქციონირებს 1932 წლიდან. სადგური განლაგებულია კოლხეთის დაბლობის ჩრდილო-დასავლეთის კედლაზე დაბალი ნაწილის ტერიტორიაზე.

სადგურის გარშემო მყოფი შემოგარენის რელიეფი წარმოადგენს შავი ზეგის სანაპირო ზოლის დაბლობს. მეტეოროედნის ჩრდილოეთით 200-280მ მანძილზე მიედინება მდ.ენგური, ხოლო დასავლეთი მხრიდან კი 2,5-3კმ მანძილზე განლაგებულია ზღვის სანაპირო ზოლი. მეტეოროედნის აბსოლუტური სიმაღლე შეადგენს 2მეტრს.

მეტეოსადგური - ზუგდიდი გასსნილია 1849 წელს. მეტეოსადგური ზუგდიდი მდებარეობს კოლხეთის დაბლობის ჩრდილო-აღმოსავლეთი ზონის შედარებით ამაღლებულ ნაწილში. ქ.ზუგდიდის შემოგარენი ხასიათდება ბორცვიანი და ვაკე რელიეფით, მეტეოსადგური ზუგდიდი მდებარეობს ქ.ზუგდიდის ჩრდილოეთ ნაწილში მდ.ჩხოუს მარჯვენა სანაპიროზე 1178მ სიმაღლეზე ზღვია დონიდან.

მეტეოსადგური - ბენო გასსნილია 1912 წელს. იგი მდებარეობს სვანეთის მთების ცენტრალურ ნაწილში, პატარა მდინარე დოდირას ხეობაში, რომელიც მდ. ენგურის მარჯვენა შენაკადს წარმოადგენს. მეტეოროედნი განლაგებულია ზღვის დონიდან 1400 მეტრ სიმაღლეზე.

მეტეოსადგური - ოტობაია მუშაობს 1935 წლიდან. 1943 წელს სადგური დაიხურა. სადგური განლაგებულია კოლხეთის დაბლობის ჩრდილოეთ ზოლში 2კმ მანძილზე მდ. ენგურის მარჯვენა სანაპიროდან. შავი ზღვის სანაპიროდან იგი დაშორებულია 8კმ მანძილზე. სადგურის სიმაღლე ზღვის დონიდან შეადგენს 30 მეტრს.

მეტეოსადგური - ყორულდაში გასსნილია 1936 წელს. ის მუშაობდა 1992 წლამდე პატარ-პატარა შესვენებებით. ყორულდაში მდებარეობს კავკასიონის ცენტრალურ ნაწილში მდ. ცურუნგულისა და ყორულდაშის შერთვის ადგილზე მეტეოროედნი განლაგებულია მდინარეების – ყორუნდაშისა და უსახელოს შუამდინარეთში: მათი შერთვის ადგილიდან 35-40მ-ით მაღლა. მისი აბსოლუტური სიმაღლე შეადგენს 1970მ-ს.


როგორც ზემოთ აღინიშნა, მდ. ენგურის წყალსაცავთა კასკადის გარემოს კლიმატზე გავლენის პრობლემის შესწავლას საფუძვლად დაედო იმ სტაციონალური მრავალწლიანი ჰიდრომეტეოროლოგიური დაკვირვებების მასალის (ინფორმაციის) ანალიზი, რომლებიც ტარდებოდა წყალსაცავების შევსებამდე და შევსების შემდეგ პერიოდში. გამოყენებული იქნა აგრეთვე

სპეციალური საველე ექსპედიციების მასალები, რომლებიც მოაწყებული იქნა თბილპიდროპროექტის, თბილისის უნივერსიტეტის, კომპლექსური ექსპედიციის ”დაჭრილი ბუნების”, გარემოს დაცვის კომიტეტის, ბუნების დაცვის საზოგადოების, საქმთავარენერგოს და სატყეო მეურნეობის სამინისტროს მიერ.


1981 წლის მდგომარეობით ჯვრის წყალსაცავის შემოგარენში ფუნქციონირებდა შემდეგი პიდრომეტეოროლო - გიური სადგურები და საგუშაგოები: ხაიში (1930წლიდან), ენგურჰესი (1958წლიდან), ენგურჰესის კაშხალი, ქვემო ბიეფი(1968წლი). სადგური ხაიში ეკუთვნის საქართველოს პიდრომეტსამსახურის სამმართველოს; სადგურები-ენგურის პიდროელექტროსადგური და ენგურის პიდროელექტროსადგურის კაშხალი ეკუთვნის საქმთავარენერგოს, ხოლო საგუშაგო-ენგურის პიდროელექტროსადგურის ქვემო ბიეფი-თბილპიდროპროექტს. გალის წყალსაცავში მთავარი ჩამდინარე მდინარეებია დიდი ერისწყალი დარები. ჭალის წყალსაცავის ზონაში ფუნქციონირებდა ერთი მეტეოსადგური-გალი და ერთი საგუშაგო რები.

პიდროელექტროსადგურების მშენებლობას, როგორც საქართველოს რესაუბლიკის ეკონომიკური სიძლიერის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საფუძველს, აქს დიდი პერსპექტიული მნიშვნელობა. საქმარისია აღინიშნოს, რომ თანამედროვე პირობებში საქართველოს მთელი პიდროენერგოგრესურსების მხოლოდ 7-12% არის ათვისებული. ენერგეტიკული კოზისის პირობებში ენერგომატარებლებზე ფასების სწრაფი ტემპებით ზრდა განაპირობებს პიდროენერგეტიკული მსენებლობის კიდევ უფრო მზარდ აქტუალურ მნიშვნელობას საქართველოს ეკონომიკის ენერგიით უზრუნველყოფის საქმეში.

მიუხედავად იმისა, რომ პიდროენერგეტიკა წარმოადგენს ენერგეტიკის ერთ-ერთ ეკოლოგიურად სუფთა და უგნებელ სახეს, პიდროელექტროსადგურების წყალსაცავების მშენებლობას, როგორც აღინიშნა, მაინც შეაქს გარკვეული (პოზიტიური ან ნეგატიური) ცვლილებები გარემოს კლიმატის ძირითა მახასიათებლებში (პაერის ტემპერატურა, ტენიანობა, ქარის სიჩქარე, ღრუბლიანობა. ნალექები, რადიაციული რეჟიმი), რაც სათანადოდ უნდა გაანალიზდეს და რაოდენობრივად შეფასდეს.



h 0 2 4 6 8 10 h



h 0 2 4 6 8 10 h

ნახ. 3 ჰორიზონტის დახურულობა:

- ა) 1-ხაიში; 2-ჯვარი; 3-გალი;
- ბ) 1-მესტია; 2-საქარა; 3-ზუგდიდი.

ამ საკითხების დროულად და პალიტიკიურად გადაჭრას საქართველოს რესპუბლიკის, როგორც პიდროენერგორესურსების მდიდარი ქვეყნის, პირობებში ენიჭება პირველხარისხოვანი მნიშვნელობა.

მდინარე ენგურის აუზი საქართველოში წარმოადგენს პიდროენერგორესურსების პოტენციალით ერთ-ერთ მნიშვნელოვან რეგიონს.

აქ აშენებული და დაგეგმილი პიდროელექტროსადგურების სისტემა მნიშვნელოვან როლს თამაშობს და ითამაშებს მომავალში საქარტველოს სახალხო მეურნეობის იაფი ენერგიისთვის უზრუნველყოფის საქმეში. მდინარე ენგურის აუზში პიდროენერგოსადგურების წყალსაცავების კასკადის მშენებლობას შეაქვს გარკვეული ცვლილებები გარემოს მიკროკლიმატის ძირითადი მახასიათებლების სიდიდეებში, მათ სეზონურ და წლიურ მსვლელობაში, რაც საჭიროებს მათ ეოველმხრივ ანალიზს და რაოდენობრივ შეფასებას.

მდინარე ენგურისა და ერისწყლის აუზებში ჯერისა და გალის წყალსაცავების შექმნამდე და შექმნის შემდეგ, მათი გარემოს კლიმატზე გავლენის საკითხი გახდა ფართო დისკუსიის საგანი, რამაც განაპირობა ჯერის, გალისა და ასაშენებლად დაგეგმილი ხუდონის წყალსაცავისათვის და პრობლემის შესწავლისა და ობიექტური შეფასების აუცილებლობა.

წინამდებარე გამოკვლევაში მდინარე ენგურისა და ერისწყლის აუზებში განლაგებული პიდრომეტეოროლოგიური სადგურებისა და საგუშაგოების მრავალწლიური დაკვირვებების ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე რაოდენობრივად შეფასებული იქნება მდინარე ენგურის წყალსაცავების კასკადის გავლენა გარემოს კლიმატის ძირითად მახასიათებლებზე. ემპირიული გზით მიღებული შედეგები შემოწმებული იქნება ლიტერატურაში არსებული ცნობილი მეთოდების გამოყენებით [5]. პრობლემის სპეციფიკაში დეტალურად გარკვევის მიზნით მდინარე ენგურის წყალსაცავების შემოგარენში პერსპექტივაში უკიდურესად საჭირო და აუცილებელია გარემოს მონიტორინგის

სადგურების ორგანიზაცია, რომელიც შესაძლებელს გახდის საკმაო მოცულობის და მაღალი ხარისხის კომპლექსური ინფორმაციის მიღებას.

## თავი 2.

### გარემოს ძირითადი პლიტატური მახასიათებლების ცვლილებების ზოგადი კანონზომიერებანი ტყალსაცავების შექმნის პროცესში

პიდროველექტროსადგურების მშენებლობის დროს წყალსაცავების შექმნა იწვევს გარემოს მიკროკლიმატის ძირითადი მახასიათებლების განსაზღვრულ ცვლილებებს, რაც დაკავშირებულია წყალსაცავის სითბური ბალანსის მდგრელების (სითბოს ტურბულენტური ნაკადი, აორთქლებაზე ან კონდენსაციაზე დახარჯული ან გამოყოფილი სითბოს ნაკადი, წყლის ზედაპირსა და მის ქვემოთ მდებარე ფენებს შორის სითბოს ნაკადი) სიღიღის არსებით ცვლილებებთან ხმელეთის სანაპირო ზოლის სითბური ბალანსის მდგრელებობან შედარებით, ე.ი. ადგილი აქვს წყალსაცავების აკვატორიაზე და სანაპიროზე მეტეოროლოგიური პროცესების ფორმირების უნერგეტიკული ბაზის ერთმანეთისაგან საგრძნობ განსხვავებას, რაც დამოკიდებულია ქვეფენილი ზედაპირის, როგორც ერთ-ერთი ძირითადი კლიმატწარმომქმნელი ფაქტორის, ფიზიკური თვისებების მკვეთრ ცვლილებებზე.

როგორც მრავალრიცხოვანი გამოკვლევების შედეგად მიღებული ინფორმაციის ანალიზი გვიჩვენებს, წყალსაცავების ძირითად კლიმატურ მახასიათებლებზე გვლენის სიდიდე უკუპროპორციულიასანაპირო ზოლიდან დაშორების მანძილისა. გარდა იმისა, რომ წყალსაცავის აკვატორიაზე ფორმირდება თავისებური მიკროლიმატი, გამოყოფა აგრეთვე მისი ზემოქმედების სამი ზონა: მუდმივი, ცვალებადი და ეპიზოდური გავლენის ზონები, რომელთა გეომეტრული სიდიდე დამოკიდებულია წყალსაცავის ფართობსა და მიცულობაზე, მისი განლაგების ფიზიკურ-გეოგრაფიულ პირობებზე, მათ შორის ნაპირებისა და ფერდობების მორფომეტრულ მახასიათებლებზე, წლის სეზონებზე და სხვა.

მთავარი რეგიონებში განლაგებული წყალსაცავების გარემოს კლიმატზე ზემოქმედების ხარისხი დამოკიდებულია აგრეთვე ზემოაღნიშნული ფაქტორების გარდა ადგილის რელიეფის დანაწევრების ხარისხზე და წყალსაცავის განლაგების

აბსოლუტურ სიმაღლეზე, რაც განსაკუთრებულ გავლენას ახდენს წყლის სარკიდან აორთქლების პროცესების ინტენსივობაზე (აბსოლუტური სიმაღლის ზრდასთან ერთად აორთქლების ინტენსივობა მცირდება) და ქარის ოქიმული მახასიათებლებზე: სიჩქარესა და მიმართულებაზე. ამის შედეგად მთიან რაიონებში დაბლობ ადგილებთან შედარებით წყალსაცავების ზემოქმედების ფაქტი ზონა სუსტად არის გამოხატული.

როგორც ზემოთ აღინიშნა, წყალსაცავის აკვატორიაზე და მიმდებარე ტერიტორიაზე ძირითადი კლიმატურმოქმნელი მეტეოროლოგიური ტების ცვლილებების სიდიდეები დამოკიდებულია წყალსაცავის სითბური ბალანსის, კერძოდ, მისი მთავარი მდგრელის-რადიაციული ბალანსის მკვეთრ ცვლილებებთან, რაც წყლის მასის დიდი სითბოტევადობით არის გამოწვეული. ამიტომაც გაზაფხულზე წყალსაცავები გამაგრილებელ ზემოქმედებას ახდენენ მიმდებარე ტერიტორიაზე, შემოღომით კი, პირიქით, ათბოძენ მას.

როგორს წესი, წყალსაცავების სანაპიროზე წარმოიქმნება „ზღვისპირა კლიმატის“ ნიშნები: იზრდება ჰაერის სინოტივე, მცირდება დღე-დამური ტემპერატურის ამპლიტუდა, წარმოიქმნება ბრიზული ცირკულაცია, რამდენადმე გადაადგილდება დროში და იზრდება უფინვო პერიოდის ხანგრძლივობა(10-20 დღე სხვადასხვა გეოგრაფიულ პირობებში), ე.ი. წყალსაცავების ზემოქმედების ზონაში კლიმატის კონტინენტურობა წინა პერიოდთან შედარებით რამდენადმე მცირდება, ხოლო ნახევრადარიდულ და არიდულ რაიონებში ადამიანის საცხოვრებელი პირობები შედარებით ლომფორტული ხდება.

სხვადასხვა ბუნებრივ ზონებში განლაგებური იდენტური პარამეტრების მქონე მსხვილი წყალსაცავების (რომელთა ფართობი აღემატება  $10^4 \text{ ჰ}^2$ ) ზემოქმედებით გამოწვეული ძირითადი კლიმატური პარამეტრების ცვლილებები განსხვავდება ერთმანეთისაგან; არიდულ და ნახევრადარიდულ ზონებში წყალსაცავების გავლენა აღინიშნება უფრო ნაკლებ მანძილზე, მაშინ როდესაც ნორმალური და ჭარბი სინოტივის მქონე ზონაში იგი ვრცელდება გაცილებით დიდ ტერიტორიაზე. პირველ შემთხვევაში მიეროკლიმატის მახასიათებლებების ცვლილება ატარებს მკვეთრ, ხოლო მეორე შემთხვევაში კი-შერბილებულ ხასიათს. გერტიკალური მიმართულებებით შედარებით მსხვილი

წყალსაცავების შემთხვევაში გარემოს კლიმატური მახასიათებლების ცვლილებები ვრცელდება ტროპოსფეროს ქვედა ნაწილზე 200-300მ სიმაღლეში (ბრატსკის, კუიბიშევის წყალსაცავები /6/).

წლის განმავლობაში ძირითად კლიმატურმომქმნელ მეტეორელემენტებზე (ჰაერის ტემპერატურა, აბსოლუტური და ფარდობითი ტენიანობა, ქარის სიჩქარე და მიმართულება, ღრუბლიანობა) წყალსაცავების გავლენის ხასიათი იცვლება. მაგალითად, გაზაფხულზე (აპრილი, მაისი) ჰაერის ტემპერატურა წყლის ზედაპიზე უფრო დაბალია, ხოლო შემოდგომაზე (სექტემბერი, ოქტომბერი) მაღალი ვიდრე სანაპიროზე, რაც პირველ შემთხვევაში განაპირობებს წყალსაცავის გამაცივებელ, ხოლო მეორე შემთხვევაში კი- გამათბობელ ზემოქმედებას გარემოს კლიმატზე. წელიწადის განმავლობაში კი, სეზონების მიუხედავად, წყალსაცავების გავლენის ზონაში ჰაერის ტემპერატურის დღე-დღმური მსვლელობა რბილდება, ტემპერატურის ექსტრემალურ მნიშვნელობებს შორის სხვაობა მცირდება (ე.ი. ტემპერატურის დღე-დღმური ამპლიტუდა მცირდება) წყალსაცავისაგან გარკვეულ მანძილზე განლაგებულ მეტეოსადგურებთან შედარებით. რაც შეეხება აბსოლუტურ და ფარდობით სინოტივეს, წყალსაცავებში წყლის მნიშვნელოვანი ფართობის სარკის წარმოქმნა განაპირობებს აორთქლების და შესაბამისად ამ მეტეოლემენტების სიდიდეთა ზრდას სანაპიროსთან შედარებით. წყალსაცავების გავლენით იცვლება აგრეთვე ქარის სიჩქარე და მიმართულება. წყალსაცავების მიერ ქარის სიჩქარე სანაპიროსთან შედარებით შეიძლება გადიდდეს 20-60%-ის ფარგლებში იმ შემთხვევაში, როდესაც წყალსაცავებზე ქარის მიმართულება ემთხვევა წყლით დაფარული ხეობის მიმართულებას. წყალსაცავების გავლენის ზონაში მკვეთრად მცირდება უქარო დღეთა რიცხვი.

წყალსაცავების შექმნის შედეგად იცვლება ქარის სიჩქარის დღედამური მსვლელობის კანონზომიერებებიც (წყალსაცავის აკვატორიაზე ქარის მაქსიმალური სიჩქარე აღინიშნება დამით, მინიმალური-დღისით; სანაპიროზე კი- პირიქით: ქარის მაქსიმალური სიჩქარე აღინიშნება დღის სათებში, ხოლო მინიმალური-დღილით), რაც დამოკიდებულია დღე-თამის განმავლობაში ატმოსფეროს მიწისპირა და წყლისპირა ფენებში

მიმდინარე ფიზიკური პროცესების სპეციფიკაზე: დღისით წლის თბილ პერიოდში წყალსაცავების სანაპიროზე ადგილი აქვს თერმული კონვექციის ძლიერ განვითარებას, რაც იწვევს ქარის სიჩქარის ზრდას, ამავე დროს აკვატორიაზე დღისით აღინიშნება ატმოსფეროს მდგრადი სტრატიფიკაცია და მცირე ინტენსივობის ტურბულენტური ცვლა, რაც იწვევს აქ ქარის სიჩქარია შემცირებას. დამით წყალსაცავის სანაპირო ზოლში თერმული კონვექცია ქრება, ხოლო ჰაერის ტურბულენტური ცვლა სუსტდება, რის შედეგად ქარის სიჩქარე მნიშვნელოვნად მცირდება. ამ დროს წყლის ზედაპირი უფრო თბილია, ვიდრე ხმელეთის, რასაც თან სდევს ქარის სიჩქარის ზრდა. ასეთია ბრიზული ცირკულაციის წარმოქმნის მექანიზმი. ბრიზული ცირკულაცია დიდ წყალსაცავებზე ვრცელდება სანაპირო ზოლის პერიოდებში მანძილზე.

წყალსაცავის ზედაპირზე ჰაერის სინოტივის ზრდა გარკვეულ გავლენას ახდენს ღრუბლიანობის რეჟიმზე დაკვირვებების მასალის ანალიზით დადგენილია, რომ წყალსაცავის აკვატორიაზე დამის საათებში იზრდება დღეთა რიცხვი დაბალი იარუსის თრუბლიანობით, ხოლო დღისით ღრუბლები აკვატორიაზე იშლება და ფორმირდება სანაპიროზე დიდ წყალსაცავებს შეუძლია გარკვეული გავლენა (შემცირების მიმართულებით) მოახდინონ აგრეთვე საშუალო და ზედა იარუსის ღრუბლიანობაზეც.

როგორც დაკვირვებები გვიჩვენებს, წლის თბილ პერიოდში ნალექების რაოდენობა წყალსაცავის სანაპიროზე რამდენადმე იზრდება, ხოლო აკვატორიაზე მცირდება. ვოლგოგრადის წყალსაცავის სანაპიროზე ჩატარებული ხანგრძლივი დაკვირვებების შედეგად გამოირკვა, რომ იგნის-ოქტომბერში ნალექთა ჯამი აკვატორიაზე 10-20%-ით ნაკლებია, ვიდრე სანაპიროზე. წლის ციკ პერიოდში, როდესაც წყალსაცავის შედარებით თბილ ზედაპირზე ჰაერის ცივი მასის ადვექცია ხდება, მასში კონდენსაციური პროცესების შედეგად წარმოქმნება ქ.წ. ადვექციური ნისლი. ნისლის არსებობის ხანგრძლივობა განსაკუთრებით დიდია დამის საათებში უქარო ამინდის შემთხვევაში /7/.

### თავი 3.

#### მდინარე ენგურის წყალსაცავის პასპადის ბანლაბების ფაირნის მოპლე კლიმატური დახასიათება

საკვლევი რაიონის კლიმატური მახასიათებლების თავისებურებები განპირობებულია მზის რადიაციის, ქვეფენილი ზედაპირის ფიზიკური თვისებებისა და ოროგრაფიული ფაქტორის კომპლექსური სინქრონული მოქმედებით. კლიმატური მახასიათებლების სიდიდეებზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ცირკულაციური პროცესები.

მზის სხივური ენერგია არის ის ენერგეტიკული ბაზა, რომელიც მთავარ როლს თამაშობა ამინდის, კლიმატის ძირითადი თავისებურებებისა და მათი ცვლილებების კანონზომიერებების ჩამოყალიბებაში. როგორც ცნობილია, ატმოსფეროში მიმდინარე ჟველა პროცესის რეალიზაცია ხდება იმ სხივური ენერგიის ხარჯზე, რომელსაც დედამიწა მზისგან ღებულობს. საკვლევი რაიონის რადიაციული რეჟიმი დამოკიდებულია გეოგრაფიული განედის სიდიდეზე (რომელიც განსაზღვრავს მზის სიმაღლესა და დღის ხანგრძლივობას), მზის ნათების ხანგრძლივობაზე და ღრუბლიანობის რეჟიმის თავისებურებაზე, პორიზონტალურ ზედაპირზე მოსული მრავალწლიური ჯამური რადიაცია წელიწადში შეადგენს 5000-5500მჯ/მ<sup>2</sup>, მზის ნათების ხანგრძლივობა 2000-2200სთ-ს, საერთო ღრუბლიანობა 6.0 ბალს. ადგილის აბსოლუტური სიმაღლის სრდასთან ერთად პორიზონტის ხაკეტილობის მუდმივობის შემთხვევაში ჯამური რადიაციის სიდიდე იზრდება. წლის განმავლობაში მზის ნათების ხანგრძლივობა მაქსიმალურია ივნისში (250-260სთ) და მინიმალურია ღეკემბერში (90-100სთ). ასევე ჯამური რადიაციისა და რადიაციული ბალანსის აბსოლუტური მაქსიმუმი აღინიშნება ივნისში, მინიმუმი-ღეკემბერში. აბსოლუტური სიმაღლის ზრდასთან ერთად 100 მეტრიდან 600მეტრის დიაპაზონში (ამ დიაპაზონშია განლაგებული გალის, ჯვრისა და დაბეგმილი ხუდონის წყალსაცავი). მრავალწლიური მონაცემებით პარის საშუალო წლიური ტემპერატურა იცვლება 13.8-10.0° ფარგლებში

ნიადაგის ზედაპირის საშუალო წლიური ტემპერატურა ამ სიმაღლეებზე ტოლია  $11.5^{\circ}$  (რჩხა უცვლელი), წყლის ორთქლის საშუალო დრეკადობა მცირდება  $12.2^{\circ}\text{C}$ -დან  $10.2^{\circ}\text{C}$ -მდე დრუბლიანობა -  $6.3$  ბალიდან  $5.6$  ბალამდე, ქვეფენილი ზედაპირის ალბედო მატულობს  $23\%-დან 27\%-მდე$ , ეფექტური გამოსხივების მრავალწლიური ჯამების საშუალო მნიშვნელობა კი  $1248.0 \text{მ}^2/\text{მ}^2$ -დან  $1412.7 \text{მ}^2/\text{მ}^2$ -მდე, რადიაციული ბალანსის მრავალწლიური საშუალო ჯამი იზრდება  $2387.1 \text{მ}^2/\text{მ}^2$ -დან  $2681.1 \text{მ}^2/\text{მ}^2$ -მდე.

მდ. ენგურია აუზი ხასიათდება როული ოროგრაფიული პირობებით. იგი შემოფარგლულია ჩრდილოეთიდან კავკასიონის მთავარი ქედით, სამხრეთი-სვანეთის, ჩრდილო-დასავლეთით სვან-აფხაზეთის ქედით. მდ. ენგურის აუზი დასავლეთის მხრიდან ესაზღვრება მდ. ერისწყლის წყალშემპრებს. მდ. ენგურის აუზის სიმაღლეთა დიაპაზონში ( $2520\text{m}$ ) კლიმატი იცვლება ნოტიო სუბტროპიკულიდან მაღალმთიანი ტუნდრისა და გლაციურ-ნივალური კლიმატებით. /8/-ში მოცემულია საკვლევი ენგურის აუზის მეზოკლიმატური დარაიონება, რომელიც წარმოდგენილია ზემო სვანეთის, ოდოშისა და აფხაზეთის მთიანი და წინამთიანი და კოლხეთის დაბლობის ზღვისპირა რაიონებით.

ზემო სვანეთის მიკროკლიმატური რაიონი ( $\text{რომელიც } \text{არის}$  მდ. ენგურის დინების ზემო ნაწილში) ჩრდილოეთიდან და აღმოსავლეთიდან დაცულია კავკასიონის მთავარი ქედით ცივი არქტიკული ჰაერის მასების შემოჭრისაგან, ხოლო სამხრეთიდან და დასავლეთიდან – სვანეთის, სამეგრელოსა და კოლხეთის ქედებით შავი ზღვის ნოტიო ჰაერის მასებისაგან, რის შედეგად ამ რაიონის კლიმატი საქმარისად რბილი და ნოტიო არის. აქევე უნდა აღინიშნოს, რომ ამ რაიონის მიკროროგრაფიული სტრუქტურა ძალიან როულია, რაც ქვეფენილი ზედაპირის მრავალსახეობასთან ერთად განაპირობებს მისი შემადგენელი ნაწილების მიკროკლიმატური თავისებურებების მრავალსახეობას.

საკვლევი წყალსაცავების კასკადი განლაგებულია მდ. ენგურის აუზის შეუა ნაწილში და აფხაზეთ-ოდიშის მთისა და წინამთის მეზოკლიმატურ რაიონში, ჯვრისა და ხედონის წყალსაცავები დასავლეთიდან და სამხრეთიდან შემოსაზღვრულია, კოდორისა და სამეგრელოს ქედებით და მათი გვერდითი შვერილებით. ენგურის აუზის ეს ნაწილი წარმოადგენს ვიწრო დრმა ხეობას კლდოვანი ნაპირებით. რაც შეეხება გალის

წყალსაცავს, იგი განლაგებულია მესამე მეზოკლიმატურ ძლიერ დანაწევრებულ ბორცვიან-დაბლობიან რელიეფის მქონე რაიონში, რომელიც გადადის კოლხეთის დაბლობის უმნიშვნელო სიმაღლის მქონე ზღვისპირა ბრტყელ ზოლში.

როგორორც ავღნიშნეთ, მდ. ენგურისა და ერისწყლის აუზის კლიმატური მახასიათებლები მნიშვნელოვნად განპირობებულია ცირკულარული ფაქტორებით: უმთავრესად მთელი ამიერკავკასიისათვის დამახასიათებელი მაკროცირკულაციური და აგრეთვე ადგილობრივი, ლოკალური გენეზისის მქონე მეზო და მიკროცირკულაციური პროცესებით, რომლებიც განპირობებულია სხვადასხვა თროგრაფიული წარმონაქმნების ქვეფენილი ზედაპირის თერმული არაერთგვაროვნებით.

ამიერკავკასიისა და კერძოდ, საქართველოს ტერიტორიაზე პარას მასების შემოჭრის გამომწვევი მაკროცირკულაციური სინოპტიკური პროცესები დაჯგუფებულია ხუთ ძირითად ტიპად: დასავლეთის, აღმოსავლეთის, ორმხრივი შემოჭრები (სინქრონულად დასავლეთიდან და აღმოსავლეთიდან), ანტიციკლონური მდგომარეობა და ამიერკავკასიია სამხრეთ რაიონებში განვითარებული ტალღური აღრევები, გარდა ამის წყალსაცავების კასკადის განლაგების რაიონში ამინდისა და კლიმატის ფორმირებაში მთელი წლის განმავლობაში მონაწილობდნენ კონვექციური პროცესები და ადგილობრივი ცირკულაცია, რომელიც განპირობებულია რელიეფის დიდი დანაწევრებით, შავი ზღვის გავლენით და მუდმივი გამყინვარების დიდი არეალის არსებობით კავკასიონის მთის ქედების სისტემაზე /9,10/.

ამრიგად, ყველა ამ ზემოაღნიშნული მაკროცირკულაციური სინოპტიკური პროცესების გავლენით მნიშვნელოვანწილად ფორმირდება საკვლევი წყალსაცავების კასკადის რაიონის ძირითადი კლიმატური მახასიათებლები.

როგორც ამ რაიონში განლაგებული მეტეოსადგურების და სინოპტიკური რუკების სინქრონული განხილვა და ანალიზი გვიჩვენებს, ჯვრის, ხუდონისა და გალის წყალსაცავების კასკადის განლაგების რაიონში (სადგური ჯვარი, გალი) და ზემო სვანეთის ქვაბულში (სად. მესტია) ნალექების წლიური რაოდენობა (%) სინოპტიკური პროცესების ტიპებზე დამოკიდებულებით შემდეგნაირად ნაწილდება: სადგური ჯვარის

მონაცემებით დასავლეთის პროცესებზე (დასავლეთის ციფრი და თბილი ფრონტები, ოკლუზის ფრონტები და პროცესები, სამხრეთის ციკლონები და ციკლონალური პროცესები) მოდის 83%, აგმოსავლეთის პროცესებზე (აღმოსავლეთიდან ციფრი ფრონტების შემოსვლა)-1%, ორმხრივ შემოჭრაზე (აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან ციფრი ფრონტების სინქრონული შემოჭრა)- 1%, სამხრეთიდან ტალღურ აღრევებზე- 23%, აგმოსფეროს ანტიციკლონალურ მდგომარეობაზე (შიდამასიური პროცესები)-2%. სადგურ მესტიის მონაცემებით შესაბამისად-74, 2, 1, 20 და 3%.

წლის განმავლობაში ამ პროცესებთან დაკავშირებით მოსული ნალექების რაოდენობამ (მმ) შეადგინა შესაბამისად: სადგურ ჯვარზე-16 18, 21, 21, 510 და 30მმ (სულ 2200მმ), სადგურ ხაიშში-887,17,13,213 და 30მმ (სულ 1166მმ), სადგურ მესტიასი- 683,19,13,182 და 318მმ (სულ 928მმ).

ამრიგად, წყალსაცავების კასკადის განლაგების რაიონში მოსული მთელი ნალექების თითქმის ნახევარი დაკავშირებულია ციფრი ფრონტების გავლისთან. ანალოგიურ მოვლენას (მდ. ენგურის აუზის მსგავსად) ადგილი აქვს მდ. რიონისა და ცხენისწყლის აუზში, რაც მოწმობს იმაზე, რომ დასავლეთ საქართველოს ჩრდილოეთ ნახევრის შინაგან რაიონებში ნსლექების რეჟიმის ფორმირების სინოპტიკური პრცესები იდენტურია (ე.ი. ჰაერის მასების ფიზიკური თვისებები, სიმძლავრე და თერმოდინამიკური მახასიათებლები).

როგორც ნალექებზე ინფორმაციის ანალიზიდან ჩანს, მათი ფორმირების პროცესში წყალსაცავების განლაგების რაიონში მთავარ როლს ასრულებს დასავლეთის პროცესები, მეორე ადგილზე არიან ტალღური პროცესები სამხრეთიდან. რაც შეეხება აგმოსავლეთის პროცესებს, ორმხრივ შემოჭრებსა და ანტიციკლონურ მდგომარეობას (შიდამასიური პროცესები), მათი წვლილი ნალექების წლიური ჯამის ფორმირებაში თითქმის ერთნაირია (1-2%). მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ცალკეულ თვეებში ეს თანაფარდობები შეიძლება რამდენადმე შეიცვალოს. სინოპტიკური პროცესები ტიპების მიხედვით ნალექების რაოდენობის აღნიშნული განაწილების მიღებული კანონზომიერებები სამართლიანია ზემო სვანეთის ქაბულისათვის (მესტიის მეტეოროსადგური).

როგორც ნალექების ანალიზი გვიჩვენებს, ენგურისა და ერისწყლის აუზებზე ცივი ფრონტების გავლასთან დაკავშირებულია წელიწადის განმავლობაში მოსული ნალექების ჯამის თითქმის ნახევარი: 49% (ჯვარი), 48% (მესტია). ვინაიდან დასავლეთ კავკასიონის მთიანი რაიონებისათვის მაკროცირკულაციური პროცესების რეალიზაცია სივრცეში თითქმის არ იცვლება. ამის გამო ნალექების რაოდენობის განაწილების მიღებული კანონზომიერებები პროცესების ტიპიზაციის მიხედვით სამართლიანია არა საკვლევი წყალსაცავების კასადის განლაგების რაიონისა და ზემო სვანეთის ქაბულისათვის, არამედ დასავლეთ სქართველოს რიგი მდინარეების (ცხენისწყალი, რიონი) აუზებისათვისაც, რაც მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ წყალსაცავების გარემოს კლიმატზე გავლენის შესაფასებლად პუნქტ-ეტალონებად (ფონური მახასიათებლების სახით) შეიძლება აღებული იქნას მეზობელი მდინარეების აუზებში განლაგებული მეტეოსადგურების კლიმატური მახასიათებლების მონაცემები, რასაც აქვს გარკვეული მეთოდური მნიშვნელობა დასმული პრობლემის კორექტულდ გადაწყვეტის საქმეში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ნალექების წარმოქმნის პროცესში ამა თი იმ სინოპტიკური პროცესის სვედრითი წონის ტოლობის მიუხედავად რელიეფის ფაქტორის გავლენით ნალექების რაოდენობა არსებითად შეიძლება იცვლებოდეს. ასე მაგალითად, ნალექების წლიური ჯამი დასავლეთის ცივი ფრონტების გავლის შედეგად ენგურის აუზში ჯვრიდან მესტიამდე მცირდება 6518მ-ით მიუხედავად სინოპტიკური პროცესების იდენტურობისა, რაც მიუთითებს რელიეფის ლოკალური თავისებურებების გარკვეულ გავლენაზე ცირკულაციური პროცესების ფორმირებაზე.

ცირკილაციური, რადიაციული და ოროგრაფიული ფაქტორების გავლენით ყალიბდება ატმოსფერული წნევის ველი და შესაბამისად ქარის რეჟიმის მახასიათებლები (მიმართულება და სიჩქარე). წლის ცივ პერიოდში საქართველოს ტერიტორიაზე ამინდისა და კერძოდ, ქარის რეჟიმის ფორმირება ხდება კავკასიის აღმოსავლეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით განლაგებული მაღალი წნევის და შავ ზღვაზე და მის დასავლეთ მდებარე დაბალი წნევის არების ურთიერთქმედებით. ამ სიტუაციის დროს

ბარიული გრადიენტი მიმართულია აღმოსავლეთიდან (ჩრდილო-აღმოსავლეთიდან) დასავლეთისაკენ (სამხრეთ-დასავლეთისაკენ), ე.ი. ქარიან აღმოსავლეთის (სამხრეთ-დასავლეთის) მიმართულების ქარები. ზაფხულში კი სექტემბრის ჩათვლით დასავლეთ ევროპის ტერიტორიაზე და კერძოდ, შავი ზღვის აკვატორიაზე ფორმირდება მაღალი წნევის, ხოლო სამხრეთ-დასავლეთ აუზში – დაბალი წნევის არე. ამ შემთხვევაში ბარიული გრადიენტები მიმართულია პირიქით (ზამთართან შედარებით) დასავლეთიდან და ჩრდილო-დასავლეთიდან აღმოსავლეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით და შესაბამისად ქარიან დასავლეთისა და ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულების ქარები.

წლის გარდამავალ პერიოდში (ცივიდან თბილისაკენ და პირიქით) ადგილი აქვს ამ ორი ძირითადი სიტუაციის ტრანსფორმაციის პროცესს, რაც სათანადოდ ცვლის ქარის რეჟიმსაც.

უნდა აღინიშნოს, რომ საკვლევი ტერიტორიის რთული ნეკლიეფი არსებით გავლენას ახდენს ბარიული წარმონაქმნების გავლენის შედეგად ფორმირებული ქარის რეჟიმის მახასიათებლებზე: სიჩქარეზე და მიმართულებაზე. ამ ფაქტს ადასტურებს, მაგალითად, შესაბამისი ინფორმაციისა და ატმოსფერული წნევის განაწილების ანალიზი იანვარში. ამ თვეში პარის მასების უპირატესი გადატანა დასავლეთ საქართველოსა და კერძოდ, წყალსაცავთა კასკადის განლაგების ტერიტორიაზე ხდება აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით, მაგრამ რაიონის რთულ რელიეფს ამ პროცესში შეაქვს თავისი არსებითი კორექტივები. ზემო სეანეთის ქვაბულში ამ თვეში, ისევე როგორც მთელი წლის განმავლობაში, უპირატესად ადგილი აქვს წყნარ, უქარო ამინდს (60% წლის განმავლობაში), რაც აისხება ქვაბულის შემომსაზღვრელი ქედების გავლენით, მიუხედავად იმისა, რომ აქ თხემების ნაწილში ქარის სიჩქარე აღწევს 60/წ-ს.

ჯვრისა და ხედონის წყალსაცავების განლაგების რაიონში მდ. ენგურის ხეობას სოფ. ხებერამდე აქვს ჩრდილი – დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოდავლეთისაკენ მიმართულება, სემდეგ კი იგი მიემართება ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ, რაც განაპირობებს ხეობის შესაბამისი მიმართულების ქარემს. ხუდონის წყალსაცავზე და ჯვრის წყალსაცავის ჩრდილოეთ ნაწილში ქარებს უპირატესად აქვს აღმოსავლეთისა და ჩრდილო-

დასავლეთის, ხოლო სამხრეთ ნაწილში - ჩრდილოეთის მიმართულება. ამასთან ერთად ქარის სიჩქარე ჩრდილოეთიდან სამხრეთის მიმართულებით იზრდება. აქ ზამთრის პერიოდში ძალიან იშვიათია უქარო დღეთა რიცხვი (10%).

უნდა აღინიშნოს, რომ ზამთარში ჰაერის ცივი მასები მთის თხემებიდან იცვლიან რა ბარიული გრადიენტით განპირობებული ძირითად მიმართულებას, ფიონების სახით ეშვებიან ფერდობებზე მდინარეების კალაპოტის მიმართულებით. ჩრდილოეთის ქარების განმეორადობა შეადგენს 55-60%-ს, ხოლო ზამთარში იგი აღწევს 75-85%-ს მაშინ, როდესაც სამხრეთის მიმართულების ქარების განმეორადობა ტოლია 5-8%-ის. ძლიერი ქარიანი დღეების მაქსიმალური რიცხვი წელიწადში მრავალწლიანი მონაცემებით აღწევს 110-ს, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ამ წყალსაცავების წყლის სარეკის ზედაპირიდან წარმოქმნილი ორთქლი არ გროვდება წყალსაცავებზე და მათ სიახლოვეს და ქარების მეშვეობით საქმით ინტენსიურად გადაიტანება ხეობის გასწვრივ.

როგორც უკვე აღინიშნა, წლის თბილ პერიოდში (ივლისი) შავ ზღვაზე განლაგებულია მაღალი წნევის, ხოლო კავკასიონის ცენტრალურ ნაწილში - დაბალი წნევის არე, რაც განაპირობებს დასავლეთის მიმართულების ქარების არსებობას. ამ პერიოდში ზემო სვანეთის ქვაბულში ჭარბობს სამხრეთ-დასავლეთის მიმართულების ქარები (30-40% მეტია, ბეზო). ხაიშში დასავლეთის მიმართულების ქარების უდიდესი განმეორადობა აღწევს 44%-ს, ხოლო აღმოსავლეთის მიმართულების ქარებისა - 28%-ს, მაშინ როდესაც ამ რაიონში ატმოსფეროს ცირკულაციაში გაბატონებულია ძირითადად დასავლეთის პორცენტი, ხოლო ჯვრის წყალსაცავების სამხრეთ ნაწილში - ჩრდილოეთისა და სამხრეთის ქარების განმეორადობა თითქმის უტოლდება ერთმანეთს (31 და 34% შესაბამისად). აქ იზრდება უქარო დღეთა რიცხვი, ხოლო ზემო სვანეთის ქვაბულში კი პირიქით იგი მცირდება, მთა-ხეობების ცირკულაციის ინტენსიური განვითარების შედეგად. პარალელურად იზრდება დღეების რიცხვი ძლიერი ქარით.

ამ მონაცემებით ნათელი ხდება საკვლევი რაიონის რელიეფის გავლენის მნიშვნელობა და მისი თავისებურებანი ქარის რეჟიმის მახასიათებლებზე წლის განმავლობაში. ნახ.4-ზე მოყვანილი მაგალითის სახით ქარის მიმართულებების

განმეორადობა რვა რუმბისათვის სად. ხაიშში წლის  
განმავლობაში.

#### ცხრილი 4

ქარის საშუალო ოვიური და წლიური სიჩქარე (გ/წ)

სადგური	სიმაღლე მ	წ კ ე												წელი
		I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	
მესტია	1441	0.6	0.8	1.2	1.6	1.7	1.4	1.4	1.2	1.0	0.7	0.6	0.6	1.1
ბერი	1270	0.6	0.7	1.1	1.0	1.6	1.3	1.6	1.1	1.0	0.7	0.5	0.4	1.0
ხაიშში	730	2.0	2.0	2.3	2.6	2.6	2.6	2.6	2.5	2.0	1.8	2.0	2.2	2.3
ჯვარი	268	6.9	6.3	4.6	4.4	3.8	2.8	2.2	2.7	3.5	6.4	6.4	7.8	4.7
ზუგდიდი	117	1.4	1.5	2.1	1.8	1.4	1.2	1.0	0.8	0.8	0.8	1.1	1.1	1.3
გალი	63	0.9	1.1	1.2	1.1	1.0	1.0	0.9	0.8	0.8	0.7	0.8	0.8	0.9
ანაკლია	3	2.8	2.8	2.8	2.5	2.0	1.7	1.6	1.6	1.6	2.0	2.8	2.5	2.2

როგორც ნაჩვენებია /11-ში, ჯვრის წყალსაცავის სამხრეთზე წილში ქარის სიჩქარით 27მ/წ შეიძლება ადგილი ქონდეს ყოველწლიურად, 31მ/წ-ს წელიწადში ერთხელ, 34მ/წ-20 წელიწადში ერთხელ. ქარის სიჩქარის შესაძლებელი მაქსიმალური სიღიღები ზემო სვანეთის ქვაბულში გაცილებით დაბალია, ვიდრე ჯვრის წყალსაცავზე: მათ შეიძლება შეადგინონ ერთხელ 16მ/წ ყოველწლიურად, ხოლო 26მ/წ-20 წელიწადში ერთხელ.


როგორც ცხრილში: მონაცემების ანალიზი გვიჩვენებს, ქარის მაქსიმალური საშუალო ოვიური და წლიური სიჩქარეები აღინიშნება საღგურ ჯვარზე, მინიმალური- საღგურ გალში. ზღვის სანაპირო ზოლში ქარის რეჟიმის ეს მახასიათებლები მატულობს (სადგური ანაკლია).

ქარის სიჩქარის წლიურ და დღე-დამურ მსგლელობაში ენგურის აუზის ზემო, შეა და ქვედა მონაკვეთებისათვის შეიმჩნევა სპეციფიკური თავისებურებანი: ქარის სიჩქარე აუზის ზემო წელში (ზემოსვანეთის ქვაბული) მაქსიმალურია წლის თბილი პერიოდის (მთა-ხეობის ცირკულაციის ინტენსივობის ზრდის შედეგად), ხოლო ქვედა წელში (წყალსაცავების განლაგების ზრდის შედეგად), (წყალსაცავების განლაგების ტერიტორიაზე) წლის ცივი პერიოდის განმავლობაში (ცივი ფრონტისა და ციკლონების აქტივიზაციის პერიოდი): ანაკლიაში ნოემბერ- მარტის განმავლობაში ქარის საშუალო ოვიური

სიჩქარე იცვლება 2,5 (დეკმბერში)-2,8მ/წმ-ის (ნოემბერი, იანვარი,თებერვალი, მარტი) ფარგლებში, ჯვარში ნოემბერ-თ ბერვლის განმავლობაში (6,3მ/წმ-თებერვალი, 7,8მ/წმ დეკმბერი). ენგურის აუზის შუა წელში ქარის სიჩქარის მაქსიმუმი აღინიშნება გარდამავალი პერიოდის შემთხვევაში (აპრილი).

განსაკუთრებული თავისებურებით ხასიათდება ქარის სიჩქარის დღედამური მსვლელობა მდ. ენგურის აუზის სხვადასხვა ნაწილში: ჯვრის წყალსაცავის სამხრეთ ნაწილში ქარის სიჩქარე მაქსიმალურია დილის საათებში, როდესაც ადგილი აქვს წყალსაცავის მიმდებარე გადაცივებას მოსაზღვრე მთის ხეობებში ინტენსიურ რადიაციულ, ხოლო ზემო სგანეთის ქვაბულში იგი მაქსიმალურია დღის მეორე ნახევარში (13 და 19 საათებში), როდესაც მთის რელიეფის ელემენტების ექსპოზიციებისა და დახრილობის კუთხეების მრავალსახეობის გავლენით ქვევენილი ზედაპირის თერმული არაერთგვაროვნება მაქსიმალურად კონტრასტული ხდება, რასაც, როგორც წესი, თან ახლავს კონკრეტური პროცესების ინტენსიური განვითარება.

როგორც საშუალო თვიური, ისე საშუალო წლიური ტემპერატურების განაწილებას ენგურისა და ერისწყლის აუზებში აქვს რთული სახე, რაც განპირობებულია მათი მაფორმირებელი ისეთი ფაქტორების სინქრონული გავლენით, როგორიცაა აუზების (განსაკუთრებით მდ.ენგურის აუზის) დიდი ვერტიკალური და პორიზონტალური განვენილობა, რელიეფის ძლიერი დანაწევრება და მისი მორფომეტრული პარამეტრების მრავალსახეობა და დიფერენციაცია, სხვადასხვა ორიენტაციისა და დახრილობის მქონე ფერდობების აბსოლუტურ და ფარდობით სიმაღლეთა ფართო სპექტრი, ზღვის სანაპირო ხაზიდან დაშორების მანძილების დიდი დიაპაზონი და სხვა. ამ ფაქტორების მეტნაკლებად გათვალისწინება და ჰაერის ტემპერატურის ველის განაწილების კანონზომიერებებზე მათი გავლენის შესწავლა შესაძლებელია საკვლევი მდინარეების აუზებში ყოვლის მომცველი მეტეოროლოგიური და მიკროკლიმატური დაკვირვებების სადგურების ქსელის სათანადო ოპგანიზაციით. მაგრამ, სამწუხაროდ, საკვლევი მდინარეების აუზებში ეს ქსელი გარკვეულად შეზღუდულია და



ნახ. 4 ქარის მიმართულების განმეორება სადგურ ხაიშვი, %

დრესდლეობით ჩვენ საშუალება გვაქვს ამ რაიონების ძირითადი კლიმატურმომქმნელი მეტეორლეგმენტების ნორმების (მათ შორის ტემპერატურის) დროში და სივწცეში ცვლილებების შესასწავლად ვისარგებლოთ მხოლოდ 7 მეტეოსადგურის (ანაკლია, ზუგდიდი, ჭვარი, ხაიში, ბეჩო, გალი, მესტია) ინფორმაციით.

რაც შეეხება სპეციალური პროგრამებით ჩატარებული მოკლევადიანი (მოკლეპერიოდიანი) მეტეოროლოგიური და პიდროლოგიური დაკვირვებათა მასალებს, მათ გააჩნიათ სპეციფიკური დანიშნულება და ამ პრობლემების გადასაჭრელად ვერ გამოღვება. ზემოაღნიშნული მეტეოროლოგიურ სადგურებზე მოპოვებული ინფორმაცია არ იძლევა საშუალებას რომ შესწავლილი და გაანალიზებული იქნეს ძირითადი კლიმატური მახასიათებლების ველების მიკროსტრუქტურული თავისებურებები (მდინარეების, აუზების განლაგების მიკროკლიმატი).

საკლევი მდინარეების აუზებში კლიმატური მახასიათებლების მნიშვნელობების საჭირო სიმაღლეებზე ექსტრაპოლაციის სასუალებით მიღების მიზნებისათვის აგრეთვე გამოყენებული იქნა ანაკლიის, ყორულდაშისა და მამისონის უდალტებილების მეტეოსადგურებზე მოპოვებული ინფორმაცია, რომელზედაც გარკვეულგავლენას ახდენს განლაგების რაიონის რელიეფის თავისებურებები (ფერდობის, უდელტებილისა და ზღვის სანაპიროს ეფექტები).

როგორც მრავალწლიური მეტეოროლოგიური დაკვირვებების ინფორმაციის ანალიზი გვიჩვენებს, მდ. ენგურისა და ერისწყლის აუზებში აბსოლუტური სიმაღლის ზრდასთან ერთად საშუალო წლიური ტემპერატურა ეცემა  $14^{\circ}$ -დან (ანაკლია, მდ. ენგურის შესართავთან)  $0^{\circ}$ -მდე. ენგურის სთავეებთან (2500მ-ის სიმედლეზე). მდინარის აუზის მაღალმთიან ზონაში საშუალო წლიური ტემპერატურა სიმაღლის 1000მ-ით ზრდისას საშუალოდ ეცემა  $6^{\circ}$ -ით ე.ი. ტემპერატურით ვერტიკალური გრადიენტი ტოლია  $0.6^{\circ}/100\text{მ}$ . ზამთრის ყველაზე ცივ თვეში ნელიზოთერმა მდინარის აუზის წინამთიან ნაწილში არ ეშვება 700მ-ზე დაბლა.


მდ. ენგურის აუზისათვის ჰაერის ტემპერატურის ნორმების აბსოლუტურ სიმაღლეზე დამოკიდებულება ანალიტიკურად სეიძლება იქნეს წარმოდგრნილი წრფივი ფუნქციის სახით  $t=f(H)$ . ამასთან ერთად დამოკიდებულება  $t=f(H)$  ყოველი თვისათვის

წარმოიდგინება ორი წრფივი ფუნქციის სახით, რაც განპირობებულია ტემპერატურის ნორმების ადგილის სიმაღლეზე დამოკიდებულებების სპეციფიკური თავისებურებებით: აუზის ზღვისპირა დაბლობ და მთისწინა ნაწილში ტემპერატურის ნორმები მისი აბსოლუტური მაქსიმუმების ანალოგიურად აბსოლუტური სიმაღლის ზრდის მიუხედავად მატულობს, ტემპერატურის გრადიენტი კი ნიშანს იცვლის. ამ მოვლენას ადგილი აქვს წლის თბილი პერიოდის (განსაკუთრებით მკვეთრად ზაფხულის) განმავლობაში, როდესაც ხმელეთთან სედარებით ცივი შავი ზღვის გაფლენით ზღვის სნაპიროდან დაშორების შემთხვევაში გარკვეულ მანძილზე, მიუხედავად ადგილის აბსოლუტური სიმაღლის მატებისა, ტემპერატურის მნიშვნელობები იზრდება, ხოლო ცივ პერიოდში (როდესაც ზღვა ხმელეთთან შედარებით უფრო თბილია) – მცირდება. ამის შედეგად დამოკიდებულებას  $t=f(H)$  ყოველი თვისათვის მდ. ენგურის აუზის ორი ნაწილის (ერთის მხრივ, დაბლობი, წინამთიანი და მეორეს მხრივ, მთიანი და მაღალმთიანი) თერმული რეჟიმის თავისებურებების დინამიკის გათვალისწინებით, ანალიტიკურად წარმოდგენის შედეგად აქვს ორი სახე.

### ცხრილი 5

დამოკიდებულებაში  $t=aH+b$  შემავალი კოეფიციენტების  
ა და ბ მნიშვნელობები

a b	თ ვ ე											
	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII
აუზის მთიანი ნაწილი												
aa	-8.75	-8.50	-7.00	-6.50	-5.00	-5.00	-2.00	-2.00	-6.75	-7.50	-8.00	-9.50
bb	6.25	7.20	9.80	14.30	18.40	21.00	22.4	22.80	21.20	17.50	12.60	9.10
აუზის მთისწინეთი ნაწილი												
aa	-5.0	-4.0	-4.0	-6.0	-4.0	0.0	-3.0	-4.0	-4.0	-4.0	-4.0	-2.0
bb	5.5	6.2	8.8	12.0	16.4	20.0	22.8	28.2	19.8	15.4	13.4	7.2
მანძილი ზღვის ხაზიდან												
ɛ, გ გ	0.2	0.2	0.2	0.2	0.2	0.2	0.7	0.7	0.3	0.3	0.3	0.3



ნახ. 5 დამოკიდებულება  $t=f(H)$  მდ. ენგურის აუზი

მაგრამ შავი ზღვის გავლენის არეალის სიდიდე წლის განმავლობაში ტემპერატურის გრადიენტის ფორმირებაზე ხასიათდება განსაკუთრებული ვარიაციებით, ე.ი. ზღვის სანაპირო ხაზიდან დაშორების მანძილის სიდიდე, სადაც ტემპერატურის გრადიენტი განიცდის მკვეთრ ცვლილებებს, თვიდან თვემდე

იცვლება, რაც განპირობებულია წლის განმავლობაში შავი ზღვისა და მიმდინარე ტერიტორიის ენერგეტიკული პოტენციალის ცვალებადობით. დამოკიდებულებაში  $t=aH+b$ . შემადგენელი კოეფიციენტების ა და ბ მნიშვნელობები მოცემულია ცხრილში 5.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ტემპერატურის ნორმების აბსოლუტურ სიმაღლეზე დამოკიდებულების ანალიტიკური გამოსახულებები არ შეიძლება გამოყენებული იქნეს მიმდებარე ტერიტორიის ოერთულ რეჟიმზე წყალსაცავების გავლენის რაოდენობრივი შეფასების მიზნით, ვინაიდან ამ გამოსახულებების აგებისას გასაშუალების პროცესში დაშვებული შეცდომების სიდიდე გაცილებით ადემატება წყალსაცავების კასკადის გავლენით გამოწვეულ ტემპერატურულ ცვლილებებს.

დამოკიდებულება  $t=aH+b$  წრფივი ფუნქციის სახით წარმოდგენისას მხედველობაში არ არის მიღებული რელიეფის თავისებურებების გავლენა პაერის ტემპერატურის ვერტიკალურ განაწილებაზე, როდესაც პაერის ტემპერატურის სიდიდეზე უფრო საგრძნობ გავლენას ახდენენ რელიეფის თავისებურებებით გამოწვეული ტემპერატურული ცვლილებები (მაგალითად, ატმოსფეროს ინვერსიული მდგრამარეობა), ვიდრე ადგილის აბსოლუტური სიმაღლით გამოწვეული ცვლილებები. ასეთი მოვლენები შეიმჩნევა ჯვრისა (268<sup>0</sup>) და ზუგდიდის (118<sup>0</sup>) ტემპერატურის შედარებისას, როდესაც მიუხედავად თავისი გაცილებით დიდი აბსოლუტური სიმაღლისა, ჯვარში, საშუალოდ, წლის განმავლობაში უფრო თბილა, ვიდრე ზუგდიდში.

უნდა აღინიშნოს, რომ ტემპერატურის გრადიენტების მნიშვნელობები არსებითად განსხვავდებიან წლის თბილი და ცივი პერიოდებისათვის. წლის თბილ პერიოდში ადგილი აქვს თბობრუნვის პრიოცესების ინტენსიურ ზრდას, რაც ამცირებს ტემპერატურის მნიშვნელობებს შორის სხვაობების სიდიდეს ენგურის აუზის სხვადასხვა აბსოლუტურ სიმაღლეზე. ამის შედეგად ტემპერატურის ვერტიკალური გრადიენტების მნიშვნელობები წლის თბილ პერიოდში თითქმის 3-ჯერ ნაკლებია ცივ პერიოდთან შედარებით:  $0.4-0.38^0/100\delta$  და  $1.2-2.0^0/100\delta$  შესაბამისად.

საკმარისია აღინიშნოს, რომ ნორმალური შეტბორვის დონის შესაბამისი სიმაღლეებისათვის, რაც შეადგენს ჯვრის წყალსაცავისათვის 510δ-ს, ენგურის პესისათვის – 325δ-ს; პაერის

ტემპერატურის ნორმებს შორის სხვაობა მაქსიმალურია დეკემბერში  $2.2^0$ , მინიმალურია ივნისში –  $0.3^0$ . ამასთან ერთად, ტემპერატურის ნორმის გრადიენტი წლის განმავლობაში არ იცვლის ნიშანს, რაც მოწმობს იმ ფაქტზე, რომ ენგურის აუზის ამ მონაცემში ტემპერატურის რეჟიმის ფორმირებაში მთავარ როლს თამაშობს ადგილის აბსოლუტური სიმაღლე და არა რელიეფის ფორმა, თუმცა ამ უკანასკნელის გავლენა პირველ ნახევარკილომეტრიან მაღლივ ზონაში საკმარისად მკვეთრად ვლინდება. ცხრილ 6-ში მოცემულია აკაერის საშუალო თვიური და წლიური ტემპერატურის მნიშვნელობები (ნორმები) ენგურის აუზის 3-1441მ მაღლივი დიაპაზონისათვის.

#### ცხრილი 6

პაერის ტემპერატურის საშუალო თვიური და წლიური  
მნიშვნელობები (ნორმები, გრადუსი)

სადგური	H, მ	თ ვ ე												წე ლი
		I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	
ანაკლია	3	5.4	6.2	8.6	11.8	16.4	20.2	22.8	22.9	19.6	15.4	11.4	7.2	14.0
ხუდონი	117	4.9	5.5	8.2	12.3	17.0	20.8	22.6	22.7	19.2	15.1	10.5	6.7	13.8
ჯავარი	268	4.8	5.0	6.1	12.5	16.9	19.7	21.9	22.2	19.4	15.8	11.2	7.0	13.7
ენგურის პეტიონ ნუდ	325	3.7	4.4	7.7	12.4	16.7	19.5	21.8	22.0	19.2	15.5	10.5	6.4	13.3
ჯერის წყნარი	510	1.9	2.8	6.4	11.5	16.1	18.9	21.5	21.5	18.2	13.7	8.4	4.2	12.1
ხაიში	730	0.1	1.0	5.0	10.3	15.4	18.3	20.8	21.0	16.9	11.4	5.8	1.3	10.6
ბეჭო	1270	-4.7	-3.3	0.3	5.8	11.5	14.4	17.2	17.0	12.6	7.7	2.4	-2.9	6.5
მესტია	1441	-6.0	-4.6	-0.5	5.2	11.0	14.0	16.4	16.2	12.0	7.1	1.6	-4.1	5.7
გალი	63	5.0	5.9	8.2	12.7	16.7	20.3	22.2	22.2	19.6	14.7	10.3	6.8	12.5

როგორც ცნობილია, კლიმატური მახასიათებლების განაწილება დგინდება იმ ინფორმაციით, რომელიც ოფიციალურად მიღებულია, როგორც კლიმატური მახასიათებლების ნორმები /12/. ამ ნორმების გამოთვლას საფუძვლად დაედო ის მონაცემები, რომელთა ხანგრძლივობა სეადგენს 70-75 წელს, რაც იძლევა მეტეორარამეტრების დროში საკმარისად მდგრად ნორმებს, რომელთა მნიშვნელობები ინფორმაციის მოცემულობის შემდგომი ზრდის შემთხვევაში რჩება

მუდმივი. ამას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ ძირითადი კლიმატურმოქმნელი მეტეოლოგიური მათ შორის პაერის ტემპერატურის) სტატისტიკური მახასიათებლების რიცხვითი მნიშვნელობები დაკვირვებათა პერიოდის ხანგრძლივობის გაზრდით 1990 წლამდე ფაქტიურად არ იცვლებოდა, ე.ი. რჩება საშუალო მნიშვნელობის განსაზღვრის სტანდარტული ცდომილების ზღვრებში.

როგორც ცხრილი 6-დან ჩანს, საკვლევი რაიონის ყველა პუნქტში, იანვრიდან დაწყებული, ტემპერატურები მონოტონურად იზრდება და ივლის-აგვისტოში აღწევს თავის მაქსიმალურ მნიშვნელობას. ტემპერატურის ნორმების ექსტრემალური მნიშვნელობების (დაფიქსირებული ზამთრისა და ზაფხულის თვეებში) ამპლიტუდა ზღვის დონიდან აბსოლუტური სიმაღლის ზრდასთან ერთად მატულობს: ოუ ზღვის დონეზე სადგურ ანაკლიაში იგი შეადგენს  $17.6^{\circ}$ -ს, მესტიაში  $1441\text{მ}$  სიმაღლეზე მატულობს  $4.9^{\circ}$ -ით და უტოლდება  $22.4^{\circ}$ -ს.

როგორც ცხრილ 6-ში მოყვანილი ინფორმაციის ანალიზი გვიჩვენებს, მდ. ენგურისა და ერისწყლის საკვლევი აუზების ქვემო ( $700\text{მ}$ -ის ქვემო) წელში მეტეოროლოგიური გაგებით ზამთარი არ დგება, ე.ი. ამ ზონაში პაერის ტემპერატურის მრავალწლიანი საშუალო მნიშვნელობები წლის განმავლობაში რჩება დადებითი, ხოლო ხაიშიდან ( $730\text{მ}$ ) დაწყებული მესტიის ჩათვლით ( $1441\text{მ}$ ) ენგურის აუზის მონაკვეთში ზამთრის ხანგრძლივობა მატულობს 28 დღიდან 116 დღემდე.

პერიოდი ტემპერატურის ექსტრემალური მნიშვნელობები ახასიათებენ კლიმატის ანომალურ პირობებს. მდ. ენგურის საკვლევ აუზში ტემპერატურის აბსოლუტური მინიმუმი იცვლება - $17^{\circ}$ -დან ზღვის სანაპირო ზოლში  $-40^{\circ}$ -მდე და დაბლა მაღალმთიან რაიონებში აუზის გარემომცველი ქედების მწვერვალების ზონაში. ჯვრის, გალისა და ენგურის პაეს-ის განლაგების რაიონებში იგი შეადგენს  $-21$ ,  $-220^{\circ}$ -ს.

მდ. ენგურის აუზში პაერის ტემპერატურის აბსოლუტური მაქსიმუმი სიმაღლის ზრდასთან ერთად ეცემა  $40^{\circ}$ -დან ( $3\text{მ}$ )  $15^{\circ}$ -მდე ( $4000\text{მ}$ ). შავი ზღვის სანაპიროზე მისი მნიშვნელობა ერთი გრადუსით დაბალია მიმდებარე დაბლობ რაიონებთან სედარებით. აბსოლუტური მაქსიმუმი  $-41^{\circ}$  არნიშნულია  $700\text{მ}$  სიმაღლეზე სადგურ ხაიშში, სადაც მინიმუმადე უცემა შედარებით

დაშორებული სავი ზღვისა და კავკასიონის თოვლ-მყინვარიანი ველების გამაცივებელი გავლენა. ამრიგად, ენგურის წყალსაცავების კასკადის განლაგების რაონტში პარამეტრების მაქსიმუმი შეადგენს 40-41<sup>0</sup>-ს.

რაც შეეხება პარამეტრის ტემპერატურის აბსოლუტური მინიმუმებისა და აბსოლუტური მაქსიმუმების საშუალო მნიშვნელობებს, ამ პარამეტრებიდან აუზის აბსოლუტური სიმაღლის ზრდასთან ერთად ( $0-4000\text{მ}$  დიაპაზონში) პირველი ეცემა -6<sup>0</sup>-დან -30<sup>0</sup>-მდე, ხოლო მეორე - 36<sup>0</sup>-დან (3მ) 15<sup>0</sup>-მდე ( $3500\text{მ}$ ).

მიუხედავად იმისა, რომ პარამეტრის ტემპერატურის საშუალო თვიური და წლიური მნიშვნელობების ნორმები ითვლებიან კლიმატის ერთ-ერთ ძირითად მახასიათებლებად, მათი კომპლექსური შესწავლის მიზნით აუცილებელია სასუალო ტემპერატურის მნიშვნელობების დროში ცვალებადობის განაწილების გამოკვლევა. ცხრილში 7 მოყვანილია ტემპერატურის საშუალო თვიური და წლიური მნიშვნელობების სტატისტიკური მახასიათებლები  $t$ ,  $\sigma$ ,  $\mu$ ,  $\delta$ ,  $C_v$ ,  $A_s$ ,  $\sigma_{AS}$ ,  $E$ ,  $\sigma_E$  ოთხი მეტეოსადგურისათვის (ზუგდიდი, ჯვარი, ხაიში, მესტია).

როგორც ამ ცხრილში მოყვანილი ასიმეტრიისა და ექსცესის მნიშვნელობების ანალიზი გვიჩვენებს, მდ. ენგურის აუზში საშუალო თვიური და წლიური ტემპერატურის განაწილება ძალიან ახლოა ნორმალურ განაწილებასთან. საშუალო წლიური ტემპერატურის საშუალო კვადრატული გადახრა ამ ოთხი სადგურისათვის იცვლება  $0.6^0$  (ხაიში, ზუგდიდი) –  $0.8^0$  (ჯვარი) ფარგლებში, ხოლო საშუალო მნიშვნელობის განსაზღვრის სტანდარტული ცდომილება იცვლება  $0.06$  –  $0.10$  ფარგლებში. ტემპერატურის ცვალებადობა მაქსიმალურია ზამთრის ( $6$  აღწევს  $2.4^0$ ). მინიმალურია ზაფხულის ( $6$  ეცემა  $1^0$ -მდე) და შუალედურია (ზაფხულისა და ზამთრის მნიშვნელობებს შორის) გაზაფხულისა და შემოდგომის გარდამავალ პერიოდებში. ვარიაციის კოეფიციენტს მინიმალური მნიშვნელობები აქვს (ეცემა  $0.05$ -მდე) ზაფხულის, ხოლო მაქსიმალური მნიშვნელობები (აღწევს  $19.6$ ) – ზამთრის პერიოდში.

მეტეოსადგურებში ჯვარი, გალი, ხაიში, ზუგდიდი საშუალო წლიური ტემპერატურის განაწილებას აქვს დადებითი ( $0.05$ – $0.31$ ) ხოლო სადგურ მესტიაში – უარყოფითი ასიმეტრია ( $-0.02$ ). წლის

განმავლობაში ტემპერატურების განაწილების ასიმეტრიას დადებითი მნიშვნელობები ძირითადად აქვს ზაფხულის, ხოლო უარყოფითი მნიშვნელობები—წლის დანარჩენი პერიოდების განმავლობაში, რაც დამოკიდებულია წლის სხვადასხვა პერიოდში საშუალო და მოდალური მნიშვნელობების სიდიდეთა ცვლილებებზე.

რაც შეეხება მრავალწლიური საშუალო თვეური ტემპერატურების ექსცესს, წლის დროის უდიდესი ნაწილისათვის (7–8 თვე) იგი უპირტესად უარყოფითია, რაც აიხსნება იმ გარემოებით, რომ საშუალოდან დიდი მნიშვნელობების გადახრების ალბათობა მეტია, ვიდრე პატარა მნიშვნელობებისა, რაც შეესაბამება ამ ელემენტის ნორმალური განაწილების კანონს.

საშუალო წლიური ტემპერატურის განაწილებას დროში ძირითადად აქვს დადებითი ექსცესი და ასიმეტრია.

მდ. ენგურის აუზის წყალსაცავების კასკადის განლაგების რაიონში ჰაერის ტენიანობის რეგისტრის დახასიათების მიზნით აქ განვიხილავთ ისეთ პრამეტრებს, როგორიცაა წყლის ორთქლის დრეკადობა (აბსოლუტური ტენიანობა), ჰაერის ფარდობითი ტენიანობა და ტენიანობის დეფიციტი. მდ. ენგურისა და ერისწყლის აუზებშიწყლის ორთქლის დრეკადობის საშუალო წლიური მნიშვნელობების სივრცობრივი განაწილების ანალიზი გვიჩვენებს, რომ აუზის ზღვისპირა ნაწილში მისი მნიშვნელობა შეადგენს დაბალობებით 14 ჰპა-ს. აუზის აბსოლუტური სიმაღლის ზრდასთან ერთად, რასაც თან სდევს ატმოსფეროს მასისა და მასში მყოფი წყლის ორთქლის რაოდენობის შემცირება, სინქრონულად ეცემა წყლის ორთქლის დრეკადობის სიდიდე და 3500მ სიმაღლეზე იგი სეადგენს მხოლოდ 4ჰპა, ზღვის დონის სესაბამისი მნიშვნელობის 30%-სე ნაკლებს.

წლის განმავლობაში წყლის ორთქლის დრეკადობის საშუალო თვიური მნიშვნელობები მინიმალურია იანვარში, რაც სეადგენს აუზის დაბლობ ნაწილში 6-7ჰპა, ჯვრისწყალსაცვის 5.0-

### ცხრილი 7

პაკისტანის ტემპერატურის სტატისტიკური განხილვები

( $t, \theta, \sigma_\theta, \mu, \delta, C_v, A_s, \sigma_{As}, E, \sigma_E$ )

თვე	$\bar{V}_{\text{კლ.}}^{\text{მდ}}$	სტატისტიკური განხილვები									
		$t$	$\theta$	$\sigma_\theta$	$\mu$	$\delta$	$C_v$	$A_s$	$\sigma_{As}$	$E$	$\sigma_E$
I	52	-5.6	2.06	0.2	0.27	5	0.36	-0.74	0.33	-0.29	0.67
II	53	-4.1	2.06	0.20	0.28	7	0.51	-0.48	0.33	-0.12	0.67
III	52	-0.5	1.75	0.17	0.24	53	3.89	0.20	0.33	0.48	0.67
IV	52	8.6	1.63	0.16	0.23	5	0.29	0.14	0.33	-0.58	0.67
V	51	10.9	1.03	0.10	0.14	1	0.09	-0.70	0.34	0.10	0.69
VI	54	13.8	1.12	0.11	0.15	1	0.08	-0.06	0.33	-0.04	0.67
VII	54	16.6	1.11	0.11	0.15	1	0.07	0.01	0.33	-0.43	0.67
VIII	54	16.2	1.26	0.12	0.17	1	0.08	0.51	0.33	0.37	0.67
IX	56	12.1	1.29	0.12	0.17	8	0.11	-0.19	0.33	0.08	0.66
X	55	6.5	1.82	0.95	0.25	4	0.26	0.40	0.33	-0.10	0.67
XI	54	1.9	1.61	0.15	0.22	12	0.85	0.70	0.33	0.28	0.67
XII	52	-3.8	2.30	0.72	0.33	9	0.61	-0.44	0.33	-0.88	0.67
$\bar{V}_{\text{კლ.}}$	47	5.8	0.67	0.07	0.10	2	0.12	-0.002	0.36	0.46	0.71

Յերակ 7  
(Ցաջրմբլյան 1)

Հայրուս Ըստքրամշուրու ԿԾԱՀՈՒՑՈՒՄՆԻ ՁԱԿԱԽՈՏԵԲԼԵՅՅԵՐՈ

( $t, \sigma_a, \mu, \delta, C_v, A_s, \sigma_{as}, E, \sigma_E$ )

արգ	ջայռ.	ԵՐԱԾՈՒՅՈՒՆՐՈ ՁԱԿԱԽՈՏԵԲԼԵՅՅԵՐՈ									
		$\mu$	$\sigma_a$	$C_v$	$A_s$	$\sigma_{as}$	$E$	$\sigma_E$	$b$	$s$	$\sigma$
I	54	-0.1	1.96	0.19	0.27	208	19.6	-0.40	0.33	-0.57	-.067
II	54	1.4	2.06	0.20	0.28	20	1.47	-0.87	0.33	1.74	0.67
III	54	5.0	1.93	0.19	0.26	15	0.39	-0.50	0.33	-0.41	0.67
IV	54	10.6	1.67	0.16	0.23	2	0.16	0.36	0.33	0.2	0.67
V	54	15.3	1.19	0.11	0.16	1	0.06	-0.22	0.33	-0.03	0.67
VI	53	18.3	1.7	0.11	0.16	1	0.06	-0.7	0.33	-0.91	0.67
VII	54	20.7	1.15	0.11	0.16	1	0.06	-0.24	0.38	-1.43	0.67
VIII	53	20.7	1.35	0.13	0.09	1	0.07	-0.06	0.36	-0.64	0.67
IX	54	16.8	1.39	0.13	0.19	1	0.08	-0.11	0.33	0.25	0.67
X	54	11.0	1.57	0.15	0.21	2	0.14	0.35	0.33	-0.10	0.67
XI	52	6.0	1.59	0.10	0.22	4	0.27	-0.47	-0.33	0.47	0.67
XII	53	1.5	1.85	0.18	0.25	17	1.23	0.14	0.33	-1.18	0.67
Վյջո	50	10.6	0.64	0.06	0.09	1	0.06	0.05	0.35	0.39	0.65

Յերակ 7  
(Ցաջրմբլյան 2)

Յայրուս Ըստքրամշարուս ԿԾՀՅՈՒՅՆՅԱՆՐՈ ՁԱԿԱԽՈՏՅԱԼԵՅՅԵՐՈ

( $t, \sigma_a, \mu, \delta, C_v, A_s, \sigma_{as}, E, \sigma_E$ )

ԴՐՅ	ՎԵՐ.	ԵՐԱԾՈՒՅՈՒՆՐՈ ՁԱԿԱԽՈՏՅԱԼԵՅՅԵՐՈ							
		$\sigma_a$	$\mu$	$\delta$	$C_v$	$A_s$	$\sigma_{as}$	$E$	$\sigma_E$
$\Sigma \quad \Sigma \quad \Sigma$									
I	49	252	2.08	0.21	0.30	6	-0.40	-0.31	0.35
II	49	5.6	2.30	0.23	0.33	6	0.41	-0.40	0.35
III	50	8.0	2.16	0.22	0.31	4	0.26	0.11	0.35
IV	49	12.9	1.93	0.13	0.28	2	0.15	0.30	0.35
V	49	17.1	1.52	0.15	0.22	1	0.09	-0.26	0.35
VI	50	20.1	1.25	0.13	0.18	1	0.06	-0.05	0.35
VII	50	21.9	1.10	0.11	0.16	1	0.05	0.09	0.36
VIII	51	22.4	1.46	0.14	0.20	1	0.07	0.61	0.34
IX	51	19.7	1.61	0.16	0.23	1	0.08	0.35	0.34
X	51	15.6	2.10	0.21	0.29	2	0.13	0.12	0.37
XI	50	11.5	2.18	0.22	0.31	3	0.19	-0.15	0.35
XII	49	7.6	2.35	0.24	0.34	4	0.31	0.21	0.35
ՎԵՐ	46	14.0	0.76	0.08	0.11	1	0.06	0.25	0.36

ცხრილი 7  
(გაგრძელება 3)

პაკრის ტემპერატურის სტაციონარული განხილვები

( $t$ ,  $\sigma$ ,  $\mu$ ,  $\delta$ ,  $C_v$ ,  $A_s$ ,  $\sigma_{AS}$ ,  $E$ ,  $\sigma_E$ )

თვე	დღეებ. წლ.	სტაციონარული განხილვები								
		$t$	$\sigma$	$\mu$	$\delta$	$C_v$	$A_s$	$\sigma_{AS}$	$E$	$\sigma_E$
I	56	5.1	2.24	0.21	0.30	6	0.44	-0.17	0.33	-0.05
II	57	5.8	2.30	0.26	0.30	6	0.40	-0.15	0.32	-0.10
III	57	8.2	2.06	0.19	0.27	3	0.25	-0.15	0.32	-0.48
IV	57	12.7	1.69	0.16	0.22	2	0.13	0.48	0.34	0.71
V	57	17.1	1.27	0.18	0.25	1	0.11	-0.20	0.32	-0.13
VI	56	20.4	1.22	0.12	0.16	1	0.06	0.03	0.33	-1.01
VII	57	22.4	1.11	0.10	0.15	1	0.06	0.33	0.32	-0.17
VIII	56	22.51	1.38	0.13	0.18	1	0.06	-0.03	0.33	0.27
IX	56	19.4	1.32	0.12	0.18	1	0.07	-0.08	0.33	0.95
X	57	14.8	1.78	0.17	0.24	2	0.12	-0.05	-0.32	-0.29
XI	56	10.8	1.67	0.16	0.22	2	0.15	0.50	0.33	0.23
XII	55	6.9	2.09	0.20	0.28	4	0.30	-0.73	0.33	-0.97
VII	52	13.8	0.66	0.06	0.09	1	0.05	-0.31	0.34	0.27
										0.68

### 3ხრიდო 8

წელის თროქლის საშუალო ოფიციალური და წლიური მნიშვნელობები  
(ნირმები, კბა)



საღგური	ვ											
	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII
ქსტია	3.4	3.6	4.4	6.3	8.6	10.6	12.6	12.3	10.1	7.4	5.6	4.0
ჯგრი	5.5	5.8	6.7	9.2	13.1	17.0	20.9	20.7	16.5	11.3	8.1	6.1
ზუგდიდი	6.3	6.5	7.5	10.0	14.2	18.4	22.3	22.5	18.3	13.0	9.4	7.2
ხაია	5.1	5.4	6.3	8.5	12.0	15.0	18.0	17.8	14.4	10.6	7.8	5.8
გალი	6.4	6.5	7.2	10.2	14.3	17.7	21.5	21.5	18.2	13.2	9.6	7.6
												11.8

5.6პა, ზემო სვანეთის ქვაბულში (1000-1500გ) – 4.0-4.5პა. წყლის ორთქლის დრეკადობის მაქსიმალური მნიშვნელობები აღინიშნება ზაფხულის (ივლისი, აგვისტო) თვეებში: ზღვისპირა დაბლობ ნაწილში იგი სეადგენს 22-24პა-ს, ჯვრის წყალსაცავის განლაგების ზონაში – 18პა, ზემო სვანეთის ქვაბულში – 14-16პა (1000-1500გ).

ამრიგად, წყლის ორთქლის სიდიდის წლიური მსვლელობა ემთხვევა ჰაერის ტემპერატურის წლიურ მსვლელობას. ანალოგიურ მოვლენას აქვს ადგილი წყლის ორთქლის დრეკადობის დღე-ღამურ მსვლელობაშიძის მაქსიმუმი აღინიშნება შუადღის საათებსი მინიმუმი კი – დიღის საათებში. ამ კანონზომიერებაში თავისი კორქტივები შეაქვს აუზის ზრდის სანაპირო ზოლში ბრიზების ზღვის მდგენელს (წყლის ორთქლის დრეკადობა მაქსიმალური ხდება ამ მდგრენელის ზემოქმედებით) შუადღის საათებში და მთიან ნაწილში კი მთა-ხეობების ცირკულაციის მთის მდგენელს: ზემო სვანეთის ქვაბულში მისი ზეგავლენით წყლის ორთქლის დრეკადობა მაქსიმალური ხდება ღამის საათებში (1სთ, სადგ. მესტია) მიუხედავად იმისა, რომ ჰაერის მაქსიმალური ტემპერატურა აქ აღინიშნება შუადღის საათებში.

წყლის ორთქლის დრეკადობის საშუალო თვიური და სასუალო წლიური მნიშვნელობები (ნორმები) მდ. ენგურისა ფდა ერისწყლის აუზებისათვის მოცემულია ცრილში 8.

წყლის ორთქლის დრეკადობის საშუალო თვიური და წლიური სიდიდეების დამოკიდებულება აუზის აბსოლუტურ სიმაღლეზე ანალიტიკურად სეიძლება წარმოდგენილი იქნას წრფივი ფუნქციის სახით:  $I_0=aH+b$ . დამოკიდებულებაში კოეფიციენტს  $a$ ,  $b$  აქვს ცალკეული თვეებისათვის კონკრეტული მნიშვნელობები. ვინაიდან აბსოლუტური სიმაღლის ზრდასთან ერთად წყლის ორთქლის დრეკადობის (აბსოლუტური ტენიანობის) სიდიდეები მცირდება; კოეფიციენტი  $b$  არის უარყოფითი.  $a$  და  $b$  კოეფიციენტების მნიშვნელობები მოცემულია ცხრილში 9.



ნახ. 6 დამოკიდებულება  $e=f(H)$ . მდ. ქბილის აუზი

ცხრილი 9

$a$  და  $b$  კოეფიციენტების მნიშვნელობები  
დამოკიდებულებაში  $I_0=aH+b$

b	თ ვ ე გ											
	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII
a	-2.5	-2.6	-4.0	-4.0	-4.0	-6.0	-7.5	-7.5	-7.5	-5.0	-4.0	-1.5
b	6.5	6.6	8.4	10.4	14.4	19.7	23.5	23.6	19.5	14.5	10.4	5.9

წყლის ორთქლის დრეკადობის საშუალო თვიური მნიშვნელობების (ნორმების) დამოკიდებულება ადგილის აბსოლუტურ სიმაღლეზე საკვლევი რაიონისათვის მოცემულია ნახ. 6-ზე.

წყლის ორთქლის დრეკადობის სტატისტიკური მახასიათებლები იძლევიან ამ ელემენტის დროში განაწილების თავისებურებებზე წარმოდგენას. წყლის ორთქლის დრეკადობის საშუალო წლიური მნიშვნელობები წყალსაცავების კასკადის განლაგების რაიონში იცვლებიან 7.4-13.0ჰა საზღვრებში (ცხრ. 10). მათი საშუალო კვადრატული გადახრების მნიშვნელობები შეადგენს 0.4-0.5ჰა-ს მინიმუმით ზამთრით და მაქსიმუმით (დრეკადობის საშუალო წლიური მნიშვნელობების განსაზღვრის სტანდარტული ცდომილება იცვლება 0.06-0.08ჰა-ს ფარგლებში, , ნ<sub>ء</sub>-0.04 -0.06ჰა, მ -0.6-0.8 ჰა ფარგლებში, ხოლო საშუალო წლიური მნიშვნელობების განსაზღვრის სტანდარტული ცდომილება არ არემატება 1%-ს, საშუალო თვიური მნიშვნელობებისა კი - 3%-ს. ვარიაციის კოეფიციენტი  $C_v$  იცვლება 0.03-0.05 საზღვრებში წლიური და 0.05-0.17 თვიური მნიშვნელობებისათვის.

ამასთან ერთად წლის თბილ პერიოდში წყლის ორთქლის დრეკადობის სიდიდეები უფრო შედარებით, სტაბილურია ( $C_v=0.05-0.06$ ), ვიდრე ცივ პერიოდში ( $C_v=0.12-0.17$ ). ცხრილში მოყვანილი ასიმეტრიისა და ექსცესის დაბალი მნიშვნელობები მიუთითებენ იმ გარემოებაზე, რომ წყლის ორთქლის დრეკადობის განაწილება დროში ემორჩილება ნორმალური განაწილების კანონებს.

ფარდობითი ტენიანობა პაერის ტემპერატურისა და წყლის ორთქლის დრეკადობისაგან განსხვავებით არის არასტაბილური პარამეტრი და ხასიათდება დროის მცირე მონაკვეთში დიდი ცვალებადობით. აბსოლუტური ტენიანობისაგან განსხვავებით, ფარდობითი ტენიანობის სიდიდის დამოკიდებულება პაერის ტემპერატურაზე უკუპროპორციულია, რაც განაპირობრბს მისი დღე-დამური მნიშვნელობების სვლის გრაფიკზე მინიმუმს შეადგისა და მაქსიმუმს, -დამის საათებში (პაერის ტემპერატურისა და აბსოლუტური ტენიანობის მნიშვნელობების მინიმუმის დადგომის მომენტში).

ცხრილი 10

პაკრის ტემპერატურის სტატისტიკური განახლებლები

$$(l, \sigma_e, \mu, \delta, C_v, A_s, \sigma_{As}, E, \sigma_E)$$

თვე	დღეებ. n	სტატისტიკური განახლებლები									
		l	ε	σ <sub>e</sub>	μ	δ	C <sub>v</sub>	A <sub>s</sub>	σ <sub>As</sub>	E	σ <sub>E</sub>
I	49	3,49	0,58	0,06	0,08	2	0,17	0,07	0,35	0,22	0,70
II	47	3,6	0,60	0,06	0,09	3	0,17	0,12	0,36	0,52	0,71
III	48	4,4	0,60	0,06	0,09	2	0,14	0,14	0,36	0,88	0,71
IV	48	6,3	0,64	0,07	0,09	1	0,10	0,28	0,35	0,58	0,71
V	50	8,6	0,50	0,06	0,08	1	0,07	0,25	0,35	0,21	0,69
VI	51	10,6	0,60	0,06	0,08	1	0,06	0,28	0,35	-0,70	0,69
VII	50	12,6	0,70	0,07	0,10	1	0,06	0,54	0,34	0,21	0,69
VIII	50	12,3	0,77	0,08	0,11	1	0,06	0,22	0,35	-0,62	0,69
IX	51	10,1	0,64	0,01	0,09	1	0,06	0,16	0,34	-0,37	0,69
X	50	7,4	0,79	0,08	0,11	1	0,11	0,18	0,34	-0,35	0,69
XI	50	5,6	0,60	0,06	0,08	1	0,11	0,40	0,34	-0,08	0,69
XII	47	5,0	0,60	0,06	0,09	2	0,16	0,23	0,36	-0,93	0,71
VII	44	7,4	0,37	0,04	0,06	1	0,05	0,53	0,37	-0,40	0,74

ცარილი 10  
(გაგრძელება 1)

პაკისტანის ტემპერატურის სტატისტიკური მახასიათებლები

(I, გ, გ<sub>0</sub>, გ, გ<sub>1</sub>, გ<sub>2</sub>, გ<sub>3</sub>, გ<sub>4</sub>, გ<sub>5</sub>, გ<sub>6</sub>, გ<sub>7</sub>, გ<sub>8</sub>, გ<sub>9</sub>, გ<sub>10</sub>)

თვე	დღეების რაოდ. n	სტატისტიკური მახასიათებლები									
		b	s	o	g	o	C <sub>v</sub>	A <sub>s</sub>	ε <sub>AS</sub>	E	ε <sub>E</sub>
I	49	5,1	0,75	0,08	0,11	2	0,15	0,03	0,35	0,26	0,70
II	50	5,4	0,69	0,07	0,10	2	0,13	-0,14	0,36	-0,54	0,69
III	82	6,3	0,67	0,07	0,09	1	0,11	0,43	0,34	0,55	0,68
IV	53	8,8	0,65	0,08	0,12	1	0,10	0,47	0,34	-0,99	0,67
V	53	12,0	0,81	0,08	0,11	1	0,67	-0,32	0,34	-0,01	0,67
VI	52	5,0	0,94	0,09	0,13	1	0,05	0,32	0,34	-0,19	0,68
VII	52	18,0	0,94	0,09	0,18	1	0,06	-0,26	0,34	-0,19	0,68
VIII	51	17,8	0,81	0,06	0,11	1	0,05	0,10	0,34	-0,20	0,69
IX	52	14,4	0,57	0,09	0,12	1	0,05	0,07	0,34	0,39	0,68
X	52	10,6	0,99	0,10	0,14	1	0,09	0,00	0,34	-0,30	0,68
XI	51	7,8	0,77	0,08	0,11	1	0,10	0,52	0,34	-0,12	0,69
XII	50	5,8	0,80	0,08	0,11	2	0,14	0,24	0,35	-0,89	0,69
VIII	46	10,5	0,39	0,04	0,06	1	0,04	0,48	0,36	0,02	0,72

ცხრილი 10  
(გაგრძელება 2)

პაკისტანის ტემპერატურის სტატისტიკური მახასიათებლები

( $\mu, \sigma, \mu, \delta, C_v, A_s, \sigma_{As}, E, \sigma_E$ )

ოვე	დანებ. წლ.	სტატისტიკური მახასიათებლები									
		$\mu$	$\sigma$	$\mu$	$\delta$	$C_v$	$A_s$	$\sigma_{As}$	$E$	$\sigma_E$	
I	48	5,5	0,83	0,08	0,12	2	0,15	0,35	0,35	-0,15	0,71
II	50	5,8	0,67	0,07	0,10	2	0,12	0,04	0,35	-0,48	0,69
III	49	6,7	0,71	0,07	0,10	1	0,11	0,79	0,35	0,07	0,70
IV	50	9,2	0,80	0,09	0,13	1	0,10	0,65	0,35	-0,44	0,69
V	49	13,1	0,99	0,10	0,14	1	0,08	0,21	0,35	0,21	0,70
VI	48	17,0	1,08	0,11	0,16	1	0,06	0,16	0,36	0,15	0,71
VII	49	20,9	1,25	0,18	0,18	1	0,06	0,61	0,35	-0,64	0,70
VIII	50	20,7	1,21	0,12	0,17	1	0,06	0,06	0,35	-0,61	0,69
IX	51	16,5	1,48	0,15	0,21	1	0,09	0,76	0,34	0,78	0,69
X	51	11,8	1,19	0,12	0,17	2	0,11	0,63	0,34	0,34	0,69
XI	49	8,1	0,96	0,10	0,14	2	0,12	0,45	0,35	-0,51	0,70
XII	48	6,1	0,76	0,06	0,11	2	0,12	0,11	0,35	0,48	0,71
ყველი	48	11,7	0,54	0,06	0,06	1	0,06	0,30	0,35	-0,01	0,75

ცარილი 10  
(გაგრძელება 3)

პარტიას გემპერატურის სტატისტიკური მახასიათებლები

( $\mu, \sigma, \mu, \delta, C_v, A_s, \sigma_{AS}, E, \sigma_E$ )

თვე	დაბეჭ.წ.	სტატისტიკური განასიათებლები									
		$\mu$	$\sigma$	$\mu$	$\delta$	$C_v$	$A_s$	$\sigma_{AS}$	$E$	$\sigma_E$	
I	55	6.3	0.75	0.07	0.10	2	0.12	0.46	0.33	-0.41	0.68
II	56	6.5	0.80	0.09	0.11	2	0.10	0.01	0.33	-0.44	0.65
III	57	7.5	0.74	0.07	0.10	1	0.10	0.02	0.32	0.41	0.65
IV	55	10.0	0.88	0.08	0.12	1	0.09	0.01	0.33	-0.51	0.65
V	57	14.2	0.78	0.07	0.10	1	0.07	0.29	0.32	-0.16	0.65
VI	56	18.4	1.09	0.140	0.15	1	0.06	0.18	0.33	-0.65	0.65
VII	58	22.3	1.22	0.11	0.16	1	0.05	0.09	0.02	-0.61	0.64
VIII	58	22.5	1.34	0.12	0.08	1	0.06	0.01	0.32	-0.63	0.64
IX	56	18.3	1.42	0.13	0.19	1	0.08	0.46	0.33	0.04	0.65
X	56	13.0	1.25	0.12	0.17	1	0.10	0.16	0.33	-0.43	0.65
XI	57	9.4	0.91	0.09	0.12	1	0.10	0.05	0.82	-1.05	0.65
XII	56	7.2	0.85	0.08	0.11	2	0.12	0.13	0.33	-1.05	0.65
წლები	51	12.9	0.43	0.04	0.06	1	0.03	0.30	0.34	-0.99	0.69

წყალსაცავების კასკადის განლაგების რაიონში ფარდობითი ტენიანობის განაწილებას აქვს რთული ხასიათი და იგი არ ემორჩილება აბსოლუტური სიმაღლის ცვლასთან დაკავშირებულ ცალსახა კანონზომიერებებს (ნახ.7). ენგურის აუზის ძლიერად დანაწევრებული რელიეფი განსაზღვრულ გავლენას ახდენს როგორც ზოგად ცირკულაციურ პროცესებზე, ისევე ქმნის მთა-სეობების ცირკულაციისა და ფიონების განსაკუთრებულ რეჟიმს, რაც იწვევს ფარდობითი ტენიანობის ლოკალურ ცვლილებებს. მუხედავად ამისა, თვალსაჩინოა ფარდობითი ტენიანობის ადგილის აბსოლუტურ სიმაღლეზე დამოკიდებულების (0-1.2კმ დიაპაზონში) ზღვიერთი თავისებურება: მდგრადურის აუზის ზღვისპირა ნაწილში ადგილი აქვს ფარდობითი ტენიანობის მაქსიმალურ მნიშვნელობებს, რომლებიც ზღვის სანაპირო ხაზიდან დაშორებით თანდათან მცირდება და აღწევს მინიმუმს 0.3-0.5კმ დიაპაზონში. შემდეგ კი აუზის აბსოლუტური სიმაღლის ზრდასთან ერთად ადგილი აქვს ჰაერის ტემპერატურის დაცემას და შესაბამისად, ფარდობითი ტენიანობის ზრდას, რაც დამახასიათებელია ყველა თვისათვის, გარდა მაის-აგვისტოს პერიოდისა, როდესაც აბსოლუტური სიმაღლის ზრდასთან ერთად 0-1.6კმ დიაპაზონში ადინიშნება ფარდობითი ტენიანობის შემცირება. ამ მეტეორელემნტების მაქსიმალური მნიშვნელობები აგვისტო-აპრილის პერიოდში 0.8-1.6კმ სიმაღლების დიაპაზონში. ამის შემდეგ კი ატმოსფეროში წყლის ორთქლის რაოდენობის საერთო შემცირების ტენდენციების გაძლიერებასთან დაკავშირებით ფარდობითი ტენიანობის მნიშვნელობები ისევ მცირდება,

მაგრამ, როგორც აღინიშნა, ფარდობითი ტენიანობის წლიურ მსვლელობაში მნიშვნელოვანი კორექტივები შეაქვს რელიეფისა და ქარის რეჟიმის თავისებურებებს, რაც განაპირობებს ამ მეტეორელემნტების ლოკალურ ხასიათსაც: წყალსაცავების განლაგების ზონაში (ჯვარი, ხუდონი) და ზემო სვანეთი ქვაბულში ადგილობრივი ცირკულაციური პროცესების განვითარების შედეგად (განსაკუთრებით ფიონების შემთხვევაში) ფარდობითი ტენიანობის სიდიდეები მცირდება. ფარდობითი ტენიანობის საშუალო თვიური და საშუალო წლიური მნიშვნელობები წყალსაცავების განლაგების რაიონში მოცემულია ცხრილში 11.

### ცხრილი 11

ჰაერის ფარდობითი ტენიანობის საშუალო თვიური  
და საშუალო წლიური მნიშვნელობები, %


საღგური	თ ვ ე												წელი
	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	
მესტია	80	78	74	72	68	70	70	71	76	78	79	80	75
ხაიში	81	79	74	70	71	73	74	74	78	81	80	82	76
ჯვარი	63	66	67	67	70	73	80	77	78	65	60	58	68
გალი	73	71	70	70	73	76	77	79	78	77	77	74	71
ზუგდიდი	74	73	73	72	76	78	82	82	83	79	74	72	76
ანაკლია	76	76	76	78	83	84	85	86	86	82	76	74	80

უნდა აღინიშნოს, რომ ტენიანობის პარამეტრების რუკების შედეგენისას შეუძლებელია გათვალისწინებული იქნეს მათი ველების რთული მიკროსტრუქტურა და ამის გამო ეს რუკები ატარებენ გარავეულ სქემატურ ხასიათს.

მიკროორგანიზმის ფაქტორის გავლენის შეფასება მეტეოროლოგიურებისა და კერძოდ, ფარდობითი ტენიანობის სიდიდეებზე და მათ სვლაზე დროსა და სივრცეში (დოფულამური და წლიური მსვლელობა) წარმოადგენს რთულ პრობლემას, რომლის გადაჭრა საჭიროებს საკვლევი რეგიონის მიკრორელიეფის დიფერენციაციას და სათანადო მრავალწლიური კომპლექსური დაკვირვებების ორგანიზაციას, რაც დაკავშირებულია დიდ სირთულეებთან და ამიტომ სამი საღგურის-გალის, ჯვრისა და ხაიშის მეტეორონაცემების ანალიზის საფუძველზე ამ რაიონისათვის შეუძლებელია მიკლორელიმატური მახასიათებლებისა და კერძოდ, ფარდობითი ტენიანობის დროში და სივრცეში ცვლილების ძირითადი კანონზომიერებების დადგენა, რის შედეგად ამ მეტეოროლოგიურების განაწილების თავისებურებანი ატარებენ მეზოკლიმატურ (ფონურ) ხასიათს.

ატმოსფერული ნალექები ეპუთვნიან ძირითადი კლიმატურმომქმნელი მეტეოროლოგიურების რიცხვს. მდინარე ენგურისა და ერისწყლის აუზებში ატმოსფერული ნალექების დროში და სივრცეში განაწილებას აქვს რთული ხასიათი. ამ პრობლემის გადაჭრა მოითხოვს აუზის მაღალ ზონებში (ზღვის

დონოდან დაწყებული) ნალექებზე მეტეოროლოგიური დაკვირვების ქსელის ორგანიზაციას.



ნახ. 7 დამოკიდებულება  $E=f(H)$ , მდ. ენგურის აუზი

როგორც ცნობილია, მეტეორსადგურებზე ნალექებზე დაკვირვებების ქსელი ძირითადად განლაგებულია მდ. ენგურის

ხეობის ფსკერზე და მოიცავს 2100მ სიმაღლეების დიაპაზონს. ამ დაკვირვებებს არ შეუძლია მოგვცეს ნალექების რაოდენობის ტერიტორიული განაწილების ობიექტური კანონზომიერებები, როგორც პაერის ტემპერატურის, აბსოლუტური და ფარდობითი ტენიანობის შემთხვევაში, ასევე ადგილი აქვს ტერიტორიის დასერილობისა და დანაწილების უშუალო გავლენით განპირობებულ ატმოსფერული ნალექების ველის არაერთგაროვნებას, რაც განაპირობებს ნალექების ფაქტიური განაწილების რთულ სურათს.

მდინარე ენგურის აუზისა და კერძოდ, წყალსაცავების კასკადის განლაგების რაონის ნებისმიერ აბსოლუტურ სიმაღლეზე ნალექების რაოდენობის (ისევე, როგორც პაერის ტემპერატურს აბსილუტური და ფარდობითი ტენიანობის შემთხვევაში) განსაზღვრის მიზნით გამოყენებული იქნა მისი ადგილის აბსოლუტურ სიმაღლეზე დამოკიდებულების გრაფიკები. ნალექების რაოდენობის მნიშვნელობები წყალსაცავების განლაგების სიმაღლეებისათვის განსაზღვრული იქნა ამ გრაფიკების გამოყენებით ინტერპოლაციის მეთოდის დაშუალებით (ნახ. 8).

როგორც ატმოსფერული ნალექების ნორმების ანალიზი გვიჩვენებს, მდ. ენგურის აუზის ზღვისპირა ნაწილში ნალექების წლიური რაოდენობა იცვლება 1400-1500მ-ის ფარგლებში; ხოლო ზემო სვანეთის ფამოქვაბულში (მეტია, 910მ) იგი შეადგენს მხოლოდ 900მმ-ს. შემდეგში აბსოლუტური სიმაღლის ზრდასთან ერთად (3000-3500მ) ნალექების რაოდენობა მატულობს და აღწევს 2000-2500მმ-ს.

მდინარე ენგურის აუზის სხვადასხვა მაღლივ ზონაში ნალექების წარმოქმნის მექანიზმი ხასიათდება სპეციფიკური თავისებურებებით: წელიწადის განმავლობაში საკვლევი მდინარეების აუზებში ნალექწარმომქმნელ პროცესებზე პრევალირებულ გავლენას ახდენს დასავლეთის მიმართულების ადგენციური პოცესები, რომელთა რიალიზაციის პერიოდში შავი ზღვიდან შემოჭრილი ტენიანი არამდგრადი პაერის მასები იკავებენ მდ. ენგურის აუზის ზღვისპირა დაბლობ ნაწილს და სამეგრელოსა და კოდორის ქედების მთისწინა ნაწილში შეჩერებისას განიცდიან ინტენსიურ კონდენსაციას, ხოლო მდ. ენგურის ვიწრო ხეობაში შესვლისას ადგილი აქვს ამ მასების

კონვერგენციას, რასაც თან ახლავს ინტენსიური ნალექარმომქმნა, რომელიც თავის მაქსიმუმს აღწევს მეტეოსადგურ ჯვრის მიდამოებში: აქ ნალექების წლიური რაოდენობა აღწევს 2160მმ-ს.


მდინარე ენგურის აუზის ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ მიმართულ საშუალო ნაწილში ჯვრის წყალსაცავი მჭიდროდ არის ჩაკეტილი დასავლეთიდან და აღმოსავლეთიდან კოდორისა და სამეგრელოს ქედებით, რომლებიც ზღუდავენ შავი ზღვიდან წამოსული დასავლეთის მიმართულების ჰაერის ტენიანი მასების შედწევას, რის შედეგადაც აქ წრმოიქმნება ნალექების პლუვიომეტრული ჩრდილი მათი მინიმუმით. ამის გამო ჯვრის წყალსაცავის ჩრდილო ნაწილში ნალექების წლიური რაოდენობა 400-500მმ-ით ნაკლებია მის სამხრეთ ნაწილთან შედარებით. ნალექების უარყოფითი გრადიენტების ზონა აქ ვრცელდება მესტიის, ზემოსვანეთი ქაბულამდე. შემდეგ კი ენგურის ხეობის ორიენტაციის ცვლილებასთან დაკავშირებით ნალექების გრადიენტი ხდება დადგითი და მურკებულში ნალექების წლიური ჯამი შეადგენს 1040მმ-ს, ხოლო აუზის მაღალმთიან ნაწილში იგი აღწევს 2800მმ და მეტს.

ამრიგად, წლის განმავლობაში ჯვრის წყალსაცავის ჩრდილოეთი ნაწილი იმყოფება პლუვიომეტრულ ჩრდილში, რის შედეგადაც იგი ღებულობს ნალექების გაცილებით ნაკლებ რაოდენობას სამხრეთ ნაწილთან შედარებით.

წლის როგორც ცივი, ისე თბილი პერიოდის განმავლობაში ნალექარმომქმნელი პროცესების განმსაზღვრელ ფაქტორად ენგურისა და ერისწყლის აუზებში ითვლება დასავლეთის აღვემეტი პროცესები. ნალექების რაოდენობის წლიური მსვლელობა ასეთია: ჯვარში ნალექების საშუალო თვიური ჯამი (ნორმა) მაქსიმალურია ივლისში, ხოლო საიშში -ოქტომბერში; ნალექების მინიმუმი აღინიშნება ჯვარში აპრილში, ხოლო საიშში- თებერვალში და აპრილში,

ნალექების თვიური ჯამების სიმაყლეზე დამოკიდებულია მდ. ემგურის აუზისათვის(0-1600მ დიაპაზონში) მოცემულია ნახ.8-ზე. როგორც მასზე ჩანს, წლის განმავლობაში ნალექების ნორმებს მაქსიმალური მნიშვნელობა აქვს 0.3-0.4კმ სიმაღლის დიაპაზონში. ამ სიმაღლეების დიაპაზონისათვის მაღლების თვიური ნორმების მაქსიმალური სიდიდე მერყეობს 149მმ-და აპრილში 230მმ-და

(ივლისში). ნორმების მინიმალური სიდიდეები აღნიშნულია 1440მ სიმაღლეზე და მერყეობს 50მმ-დან (მარტი) 100მმ-მდე (ოქტომბერი). წლის ყველა თვეში ნალექების რაოდენობის თვიური ნორმები აუზის აბსოლუტური სიმაღლის ზრდასთან ერთად მატულობენ-



ნახ. 8 დამოკიდებულება  $P=f(H)$ , მდ. ენგურის აუზი

აღწევენ მაქსიმუმს 300-400მ სიმაღლეებზე, შემდეგ კი (მიუხედავად სიმაღლის ზრდისა) კლებულობები და აღწევენ მინიმუმს 1400-1500მ სიმაღლეზე.

ნაზ.8-ზე წარმოდგენილი ნალექების ნორმების თვიური მსვლელობის მრუდები წარმოდგენას გვაძლევს ამ მეტეორელემნტის დროში ცვლილებების კანონზომიერებებზე ისეთი მეზოკლიმატური რაიონებისათვის, როგორიცაა: მდ. ენგურის აუზის დაბლობი ნაწილი (ზუგდიდი), წინამთის რაიონი(ჯვარი, გალი), ზემო სვანეთის ქვაბული (ხაიში, მესტია). როგორც გრაფიკიდან ჩანს, წელიწადის განმავლობაში სხვაობის სიდიდე ნალექების ექსტრემალურ მნიშვნელობებს შორის ენგურის აუზის აბსოლუტური სიმაღლის ზრდასთან ერთად კლებუკობს და მინიმუმს აღწევს ზემო სვანეთის მეზოკლიმატურ რაიონში (მესტია).

რაც შეეხება ნალექების სხვადასხვა სახეობის (მყარი, თხევადი) ალბათობას ჯვრის, ხუდონისა და გალის წყალსაცავების განლაგების რაიონში, ნალექების 10-15%-ს შეადგენებ მყარი სახის ნალექები. აუზის აბსოლუტური სიმაღლის ზრდასთან ერთად იზრდება მყარი ნალექების ალბატობა და მათი ხევდრითი წონა ნალექების წლიურ ჯამებში.


თოვლის სახით მოსული ნალექები წარმოქმნიან თოვლის საფარს. მდ. ენგურისა და ერისწყლის აუზებში მდგრადი თოვლის საფარი წარმოიქმნება 650-700მ სიმაღლეზე. 600მ სიმაღლეზე (ხეუბერი) მდგრადი თოვლის საფარი 100 ზამთრიდან წარმოიქმნება მხოლოდ 23 ზამთარში, 730მ სიმაღლეზე კი (ხაიში) მდგრადი თოვლის საფარი არ არსებობს.

მდგრადი თოვლის საფარის წარმოქმნის პროცესი დაკავშირებულია ჰაერის დადებითი ტემპერატურების 0°-ზე გადასვლის მოქმენტან და წარმოადგენს განსაკუთრებულ ინტერესს წყალსაცავების კასკადის წყლის სარკის ზედაპირიდან აორთქლების პროცესების შესწავლის მიზნით, ვინაიდან ყინულით დაფარული წყლის სარკის ზედაპირიდან აორთქლების პროცესების მექანიზმი და ინტენსივობა განსხვავდება წყლის თავისუფალი სარკის ზედაპირიდან აორთქლების პროცესების მექანიზმიდან და ინტენსივობიდან, რასაც წყალსაცავების კასკადის მიმდებარე ტერიტორიის კლიმატზე გავლენის სიდიდეში შეაქვს განსაზღვრული ცვლილებები.

უნდა აღინიშნოს, რომ მდგრადი თოვლის საფარის არსებობის ხანგრძლივობა ჯვრის წყალსაცავის განლაგების


რაიონში შეადგენს 25-65დღეს, ზემო სვანეთის ქვაბულში 65-200დღეს და მეტს (აბსოლუტური სიმაღლის სიდიდის მიხედვით).

გარდა აბსოლუტური სიმაღლისა, მდგრადი თოვლის საფარის წარმოქმნის, არსებობის ხანგრძლივობისა და რღვევის პროცესები დამოკიდებულია სინოპტიკური პროცესების თავისებურებებზე, რომელთა ინტენსივობა ფართო დიაპაზონში იცვლება.



ნახ. 9 დამოკიდებულება  $n=f(H)$ , მდ. ენგურის აუზი ნახაზზე 9 წარმოდგენილია ქარის საშუალო თვიური სიჩქარეების დამოკიდებულება ადგილის აბსოლუტურ სიმაღლეზე. როგორც ამ გრაფიკიდან ჩანს, შავი ზღვის სანაპირო ზოლში წლის განმავლობაში ქარის სიჩქარის საშუალო თვიური მნიშვნელობები იცვლება 1.4-1.7გ/წმ ფარგლებში. სანაპირო ხაზიდან დაახლოებით 0.1-0.2გმ-ს დაშორებით, ქარის სიჩქარის სიდიდეები იცვლება 0.7-1.7გ/წმ ფარგლებში. ადგილის აბსოლუტური სიმაღლის ზრდასთან ერთად მატულობს და აღწევს მაქსიმალურ მნიშვნელობებს (ივლისის გარდა) 0.3-0.4გმ სიმაღლეებზე. ივლისში ქარის სიჩქარის მაქსიმუმი აღინიშნება 0.7-0.8გმ სიმაღლეზე ზღვის დონიდან. აბსოლუტური სიმაღლის შემდგომი ზრდის შემთხვევაში ქარის

სიჩქარე მცირდება და აღწევს მინიმუმს 1.6კმ სიმაღლეზე ივლისსა და ოქტომბერ- იანვრის განმავლობაში და 1.2კმ სიმაღლეზე თებერვალ- სექტემბრის განმავლობაში. ქარის სიჩქარის ზღვისპირა მაქსიმუმი განპირობებულია ბრიზებით, ხოლო მაქსიმუმი 0.4კმ სიმაღლეზე კი- მდ. ენგურის მორფომეტრული დავისებურებებით: ხეობის ამ ვიწრო ნაწილში ქარის სიჩქარე მატულობს.



ნახ. 10 დამოკიდებულება  $v=f(H)$ , მდ. ენგურის აუზი

## თავი 4. პგლევის მეთოდიკა

მდინარე ენგურის წყალსაცავის კასკადის გარემოს კლიმატზე გავლენის შესაფასებლად ჩვენს მიერ გამოყენებული იქნება:

1. მთავარი გეოფიზიკური ობსერვატორიის მეთოდი,
2. გეოგრაფიული ანალოგიის მეთოდი (სივრცულ-დროითი სხვაობების მეთოდი).
3. სტიუდენტის პარამეტრების საშუალო მნიშვნელობების სტატისტიკური შეფასების მეთოდი.

მთავარი გეოფიზიკური ობსერვატორიის გამოთვლითი მეთოდი დამუშავებულია ამ ინსტიტუტის კილექტივის მიერ მ. პ. ტიმოფეევის ხელმძღვანელობით. ეს მეთოდი ემყარება იმ დაშვებას, რომ წყალსაცავის მიმდებარე ტერიტორიის მეტეოროლოგიური პირობები განისაზღვრება დაცემული რადიაციული ენერგიის სიდიდით და წყალსაცავში წლის ზედაპირსა, მის მიმდებარე ჰაერის ფენებსა და წყლის სიღრმივ მასებს შორის თვითბრუნვით. ამ პროცესების ფიზიკური არსი აღიწერება ქვეფენილი ზედაპირის სითბური ბალანსის განტოლებით, რომელიც თავისი სტრუქტურით განსხვავდება ქვეფენილი ზედაორის სხვადასხვა სახეობისათვის.

წყალი-ჰაერის და ჰაერი-წყლის საკონტაქტო ზედაპირებზე მიმდინარე პროცესების აღწერის მიზნით გარდა სითბური ბალანსის განტოლებისა გამოიყენება სითბოს, ტენის გადატანისა და მოძრაობის განტოლებები.

როგორ ცნიბილია, სითბოს, ტენისა და მოძრაობის რაოდენობის გადაცემის ძირითად მექანიზმად ითვლება ტურბულენტური ცვლა, რომელიც განსაზღვრავს ტემპერატურის, ტენიანობისა და ქარის სიჩქარისა და მიმართულების განაწილებას როგორც წყალსაცავის ზედაპირზე, ისევე მიმდებარე ტერიტორიაზე.

გეოფიზიკურ ობსერვატორიაში დამუშავებული მეთოდიები თეორიული საფუძვლები მიცემულია მ. პ. ტიმოფეევის შრომაში /5/. ამ შრომაში წარმოდგენილი ფორმულები აღწერენ ჰაერის ნაკადის წყალსაცავიდან ხმელეთზე გადასვლის მომენტში მისი ტემპერატურისა და ტენიანობის ცვლილებებს:

$$t_1 - t' = (t_b - t')(1 - F_t)\varphi \quad (4.1)$$

$$\epsilon_1 - \epsilon' = (E_b - \epsilon')(1 - F_e)\varphi \quad (4.2)$$

სადაც,  $t_1$ -არის ქარის მიმართულებით წყალსაცავის სანაპირო ხაზიდან მოცემულ მანძილზეპაერის ტემპერატურა ( $^0C$ );

$t'$ -პაერის ტემპერატურა წყალსაცავის შექმნამდე, ან ტემპერატურა წყალსაცავის გავლენის საზღვრებს იქით;

$t_1$ -წყლის ზედაპირის ტემპერატურა წყალსაცავში;

$F_t$ -ფუნქცია, რომელიც ითვალისწინებს წყალსაცავის ატმოსფეროსთან თბობრუნვას;

$\Phi$ -ფუნქცია, რომელიც ითვალისწინებს ხმელეთის ატმოსფეროსთან თბო-და ტენბრუნვას;

$\epsilon'$ -პაერის ტენიანობა (წყლის ორთქლის დრეკადობა) ხმელეთზე წყლის ხაზიდან მოცემულ მანძილზე ქარის მიმართულებით (პპა);

$\epsilon_1$ -პაერის ტენიანობა ხმელეთზე წყალსაცავის შექმნამდე ან ტენიანობა წყალსაცავის გავლენის საზღვრებს გარეთ;

$E_b$ -წყალსაცავში წყლის ზედაპირის ტემპერატურის შესაბამისი წყლის ორთქლის მაქსიმალური დრეკადობა (პპა).

ფუნქციები  $F_t$ ,  $F_e$  და  $\Phi$  დამოკიდებული არიან ტურბულენტობის კოეფიციენტებზე, ქარის სიჩქარეზე, სიხისტის პარამეტრებზე და წყალსაცავის ზომებზე.  $F_e$ -არის ფუნქცია, რომელიც ითვალისწინებს წყალსაცავის ატმოსფეროსთან ტენბრუნვას.

ფუნქციების  $(1 - F_t)\varphi$  და  $(1 - F_e)\varphi$  მნიშვნელობები 2გ სიმაღლისათვის მოცემულია /13/-ში.

ამ მეტეოროლოგიური პარამეტრების ცვლილებების გამოსათვლელ მოცემულ განტოლებებში საწყის მონაცემებად ითვლება მეტეოროდგურების ინფორმაცია 2გ სიმაღლეზე. ქვეფენილი ზედაპირიდან სხვადასხვა დონეზე წყალსაცავის გავლენით გამოწვეული პაერის ტემპერატურისა და ტენიანობის სიდიდეების ცვლილების გამოსავლენად გამოიყენება შემდეგი განოსახულებები:

$$\alpha = \frac{(1 - F_1)Sz}{(1 - F_t)S_2} \quad (4.3)$$

$$\beta = \frac{(1 - F_e)Sz}{(1 - F_t)S_2} \quad (4.4)$$

რომლებიც წარმოდგენილია ცხრილების სახით /13/. ამ გამოსახულებებში  $(1 - F_t)\varphi_z$  და  $(1 - F_e)\varphi_z$  არიან ამ ფუნქციების მნიშვნელობები  $Z$  სიმაღლეზე, ხოლო  $(1 - F_t)\varphi_2$  და  $(1 - F_e)\varphi_2$ -ამავე ფუნქციების მნიშვნელობები ქვევენილი ზედაპირიდან 28 სიმაღლეზე წყალსაცავის ზომებისა და წყლის ხაზიდან მოცემულ წერტილამდე.  $\alpha$  და  $\beta$  ნიშვნელობები მოყვანილია სპეიალურ ცხრილში /13/.

წყალსაცავის სანაპიროზე ჰაერის ტემპერატურისა და ტენიანობის ცვლილებების გამოთვლის დროს მხედველობაში მიიღება შესწორებები, რომლებიც განპირობებულია წყალსაცავის განლაგების გეომორფილოგიური პირობებით, ქვეფენილი ზედაპირის თავისებურებებითა და გარემოს ლანდშაფტზეზემოქმედების შედეგებით.

ტემპერატურისა და ტენიანობის მაქსიმალური ცვლილებები აღინიშნება წყალსაცავის ცენტრში:

$$\Delta t = (t_b - t')F_t, \quad \Delta e = (e_b - e')F_e \quad (4.5)$$

აქედან უნდა აღინიშნოს, რომ წყალსაცავების გარემოს კლიმატზე გავლენის შეფასებას ხშირ სემთხვევაში ართულებს წყლის ზედაპირის ტემპერატურის შესახებ ინფორმაციის არარსებობა და მისი მიღება რეგიონისათვის შესაბამისი ფუნქციონალური დამოკიდებულებით (როგორც ჰაერის ტემპერატურისა და ტემპერატურიდ შემთხვევებში) წარმოადგენს გარკვეულ სიძნელეებს.

გეოგრაფიული ანალოგების მეთოდი წარმოადგენს მოქმედ წყლისაცავანალოგებზე მიღებული ადგილობრივი კლიმატის დინამიკისა და რაოდეობრივი ცვლილებების ანალიზის შედეგების ექსტრაპოლაციას ასაშანებელი წყალსაცავის შესაძლო გავლენის ზონაზე. წყალსაცავ-ანალოგების შერჩევა ხდება მსგავსების კრიტერიუმით, რაც გულისხმობს კლიმატური ზონის, მცენარეული საფარის გარკვეულწილად იღენტურობას, მორფომეტრიის

ერთობასა და ლანდშაფტის ერთგვაროვნებას. უნდა აღინიშნოს, რომ წყალსაცავ-ანალოგების შერჩევაწარმოადგენს საკმაოდ რთულ ამოცანას, განსაკუთრებით მთიანი რეგიონის პირობებში.

ადგილობრივი კლიმატის წყალსაცავის გავლენით გამოწვეული ცვლილებების შეფასება ხდება მოქმედ წყალსაცავზე მიღებული მეტეოროლოგიური ელემენტების სივრცულ-დროითი სხვაობებით. ოუ არის სათანადო შესაძლებლობა, გამოთვლები სრულდება მეტეოროლოგურების რამდენიმე წყვილისათვეს. სადგურების კონკრეტულ შესაძარებელ წყვილში ერთი სადგური განლაგებულია წყალსაცავის გავლენის ზონაში, მეორე კი-ზონის გარეთ. სადგურების ამ წყვილებისათვის წყალსაცავების აშენებამდე და აშენების შემდეგი პერიოდისათვის გამოითვლება მეტეოროლოგიური ელემენტების საშუალო მნიშვნელობების სხვაობები. შემდეგ კი განისაზღვრება ამ სხვაობების სიდიდეები, რომელთა მნიშვნელობა განპირობებულია წყალსაცავის გავლენით.

თუკი ანალოგიურ გეოგრაფიულ პირობებში მყოფი სხვადასხვა პუნქტისათვის სრულდება მეტეოროლოგურების მნიშვნელობების სხვაობების მუდმივობა, მაშინ გეოგრაფიული ანალოგების მეთოდი აღწევს მიზანს.

გარემოს კლიმატზე წყალსაცავის გავლენის სიდიდის შეფასება შეიძლება მოხდეს საშუალო მნიშვნელობების შეფასების სტატისტიკური მეთოდით სტიუდენტის პარამეტრის გამოყენებითაც. ამ მიზნით მეტეოროლოგურებზე დაკვირვების შედეგად მიღებული მრავალწლიანი რიგი წყალსაცავის გავლენის ზონაში მოთავსებული პუნქტისათვის იყოფა ორ ნაწილად: წყალსაცავის აშენებამდე და აშენების შემდეგი პერიოდისათვის. დაკვირვებათა რიგის ცალკეული ნაწილისათვის ითვლიან მეტეოროლოგურების საშუალო მრავალწლიურ მნიშვნელობებს ( $X_1$  და  $X_2$ ) და საშუალო კვადრატულ გადახრებს ( $\bar{x}_1$  და  $\bar{x}_2$ ). შემდეგ კი განისაზღვრება  $t$  პარამეტრი.

$$t = \frac{\bar{x}_2 - \bar{x}_1}{\sqrt{\frac{n\sigma_1^2 + m\sigma_2^2}{n+m}}} \sqrt{\frac{nm(n+m-2)}{n+m}} \quad (4.6)$$

რომელიც ემორჩილება სტიუდენტის განაწილების განონების  $n+m-2$  თავისუფლების ხარისხით. აქ  $n$  და  $m$  არის წევრების

რიცხვი დაკვირვებების რიგში. **F**-ს იმ მაღალი მნიშვნელობების შემთხვევაში, რომლებიც აღემატებიან სათანადო ცხრილში მოყვანილ მის მნიშვნელობებს მოცემული თავისუფლების ხარისხისა და მნიშვნელობების დროს, საშუალოებები **X<sub>1</sub>** და **X<sub>2</sub>** არ მიეკუთვნება ერთი და იგივე გენერალურ ერთობლიობას. თვლიან, რომ საშუალოებს შორის განსხვავება არსებითია და განსაზღვრული აღბათობით შეიძლება ლაპარაკი წყალსაცავის აღიმატებ გავლენის ეფექტის შესახებ.

ორი მეზობელი პუნქტის მეტეოლემენტების მნიშვნელობების შედარებისას, რომლებიც განლგებულია წყალსაცავის გავლენის არეალში და მის გარეთ კრიტერიუმი გამოიყენება ამ პუნქტებში ელემენტის მნიშვნელობების სხვაობების რიგისადმი. საერთო N მოცულობის სხვაობათ რიგი თანმიმდევრულად იყოფა ორ ნაწილად: ერთ ნაწილში n. ხოლო მეორე ნაწილში m წევრების რაოდენობით (მოცულობით) რიგის თვითონეული ნაწილისათვის გამოითვლება საშუალო მნიშვნელობები და სხვაობების კვადრატული გადახრები. n-ის, m-ის და N-ის შესაბამისობისათვის განისაზღვრება t<sub>გაჭ.</sub> მნიშვნელობა. თუკი აღმოჩნდება, რომ t<sub>კრიტ.</sub>-ს ცხრილიდან აღებული მნიშვნელობა აღემატება t<sub>გაჭ.</sub>-ს, მაშინ რიგი ერთგვაროვანია, რაც ნიშნავს, რომ მეტეოლემენტების სიდიდეებზე წყალსაცავის გავლენა არ აღინიშნება. თუკი t<sub>კრიტ.</sub> < t<sub>გაჭ.</sub>, მაშინ მეტეოლემენტების რიგების ერთგვაროვნება დარღვეულია და გარკვეულწილად ადგილი აქვს წყალსაცავის გავლენას.

ქვეფენილი ზედაპირის სითბური ბალანსის ცალკეულ მდგრელებზე (რადიაციული ბალანსი, ეფექტური გამოსხივება) ჯვრის წყალსაცავის გავლენის აღმოჩნდის მიზნით გამოთვლილი იქნება მათი მნიშვნელობები წყალსაცავის შექმნამდე და წყალსაცავის არსებობის გათვალისწინებით. ამასთან ერთად, რადიაციული ბალანსი (B), ჯამური რადიაცია (Q), ეფექტური გამოსხივება (J<sub>ეფ.</sub>) გამოთვლილი იქნება სათანადო ლიტერატურაში /14/ არსებული ფორმულით:

სადაც  $B$  არის ქვეფენილი ზედაპირის რადიაციული ბალანსი,  $Q$  ჯამური რდიაცია,  $\alpha$ -ქვეფენილი სედაპირის ალბედო,  $I_{\text{ფ}}\text{-ფენილური}$  გამოსხივება. ჯამური რადიაციის თვიური ჯამები გამოთვლილი იქნა ფორმულით:

$$Q-Q_a[1-(a+b\eta)\eta] \quad (4.8)$$

სადაც  $Q_a$ -არის შესაძლო ჯამური რადიაცია (მოწმენდილი ცის შემთხვევაში)  $a$ -ღრუბლიანობის რაოდენობა ერთეულის ნაწილებში;  $a$  და  $b$  არიან მუდმივები, რომლებიც გეოგრაფიული განედის დიაპაზონისათვის  $40-45^{\circ}$ -ს შეადგენენ  $0,38$ -ს, ე.ი.  $a-b=0,38/14$ .

ქვეფენილი ზედაპირის ალბედოს საშუალო თვიური მნიშვნელობები განსაზღვრული იქნა სათანადო აქტინომეტრიული დაკირვებების მასალიდან. წყალსაცავის წყლის ზედაპირისათვის ალბედოს მნიშვნელობები განისაზღვრება  $/15/-30$  მოყვანილი ცხრილებიდან მზის სიმაღლის სიდიდისა და დრუბლიანობის რაოდენობის მიხედვით.

ეფექტური გამოსხივების თვიური ჯამები განსაზღვრული იქნა ფორმულით:

$$I_{\text{ფ}} = I_0(1-C_n)+\alpha \quad (4.9)$$

სადაც  $I_0$ -არის ეფექტური გამოსხივება მოწმენდილი ცის შემთხვევაში, რომელიც განისაზღვრება ჰაერის ტემპერატურისა და ტენიანობის დახმარებით:

$$I_0 = \alpha T^{4.7} - 0.23e \quad (11.7-0.23e) \quad (4.10)$$

სადაც  $\alpha$  ითვალისწინებს ეფექტური გამოსხივების სიდიდეზე ქვეფენილი ზედაპირისა და ჰაერის ტემპერატურის სხვაობის გავლენას და გამოითვლება ფორმულით:

$$\alpha = 4.05 T^3 (\tau_{\text{ფ}} - T) \quad (4.11)$$

სადაც  $\tau_{\text{ფ}}$  არის კოეფიციენტი, რომელიც ახასიათებს გამოსხივებული ზედაპირის თვისებების განსხვავებას შავი სხეულის გამოსხივებისაგან.  $\tau$ -ის მნიშვნელობა ტოლია  $0,95$ -ის;

$\alpha$ -არისსტეფანის მუდმივი, რომელიც ტოლია  $8.18 \cdot 10^{-11} \frac{\text{კალ}}{\text{სმ}^2}$ ;

$T$ -არის ჰაერის ტემპერატურა კელვინის შალით;

$\tau_{\text{ფ}}$ -არის ქვეფენილი ზედაპირის ტემპერატურებ, ასევე კელვინის გრადუსებში;

$e$ -არის წყლის ორთქლის დრეკადობა (ჰპა);

(1-C<sub>n</sub>)-არის ღრუბლიანობის გავლენა ეფექტური გამოსხივების სიდიდეზე, სადაც ი-არის ღრუბლიანობის რაოდენობა ერთეულის ნაწილებში;

С-არის კოეფიციენტი, რომელიც დამოკიდებულია ადგილის განედის სიდიდეზე და საკვლევი რაონისათვის იგი ტოლია 0.68-სა.

### თავი 5.

#### ენგზრის აუზის ტყალსაცავების პასპალის ზედაპირიდან აორთქლების პროცესების ბაზლენა ჰამრის ფანიანობის რეზიგზე

პატარა ფართობის წყალსაცავების ზედაპირიდან აორთქლების პროცესების შესწავლა ბუნებრივ პირობებში წარმოადგენს პრობლემას, რომელიც განპირობებულია ატმოსფეროში მიმდინარე რთული თერმოპიდროდინამიკური მოვლენების დიდი კომპლექსის არსებობასთან. ამ სახის წყალსაცავების ზედაპირიდან აორთქლების ხვედრითი სიდიდე წყალსაცავების წყლის ბალანსის ფორმირებაში უმნიშვნელოა, მაგრამ იგი თავისი აბსოლუტური სიდიდით შეიძლება გახდეს მნიშვნელოვანი. ამიტომ აორთქლების პროცესების ინტენსივობის შეფასებას აქვს აქტუალური მნიშვნელობა, როგორც წყალსაცავებში წყლის ბალანსის, ისევე მიმდებარე ტერიტორიის ტენიანობის რეჟიმის ფორმირებაში.

ბუნებრივ პირობებში აორთქლების პროცესებზე მრავალრიცხოვანი დაკვირვებებით დადგენილია აორთქლების პროცესების ძირითადი, ფუმდამენტალური კანონზომიერებანი:

1.აორთქლების სიდიდე დამოკიდებულია ქარის სიჩქარეზე. ქარის სიჩქარის ზრდასთან ერთად სინქრონულად მატულობს აორთქლების ინტენსივობა.

2.წყალსაცავის ზედაპირიდან აორთქლების ინტენსივობა დამოკიდებულია წყლისა და ჰაერის ტემპერატურების სხვაობის სიდიდეზე.

3.აორთქლების სიდიდე დამოკიდებულია ჰაერის ტენიანობის დეფიციტის სიდიდეზე.

ხელოვნური წყალსაცავებიდან წყლის აორთქლების პროცესები განისაზღვრება სხვადასხვა მეთოდით /16,17,18,19,20/. პატარა ზომების წყალსაცავებისთვის აორთქლებაზე დაკვირვებები წარმოებს მცურავი ამაორთქლებლების საშუალებით. ამაორთქლებლების საშუალებით მიღებული ინფორმაციის ინტერპრეტაციის პროცესში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ამაორთქლებელში და ბუნებრივ ან ხელოვნურ წყალსაცავში მიმდინარე აორთქლების პროცესების იდენტიფიკაციის საკითხს და მიღებული სიდიდეების თანაფარდობის რაოდენობრივ დადგენას, ე.ო. იმის დადგენას, თუ რა სიზუსტით ასახავს აორთქლების პროცესების ამაორთქლებლის საშუალებით მოდელირება ბუნებრივ პირობებში მიმდინარე აორთქლების პროცესებს, მიუხედავათ მათ შორის არსებულ უ წყლის სარგის ხედაპირის, სიღრმისა და სხვა მახასიათებლების სხვაობისა.

აქ დგება რედუქციის კოეფიციენტების (ამაორთქლებლით მიღებული აორთქლებისა და ბუნებრივ პირობებში არსებულ აორთქლების სიდიდეებს შორის) განსაზღვრის უაღრესად მნიშვნელოვანი პრობლემა. რედუქციის კოეფიციენტები განისაზღვრება ემპირიული გზით, რამაც გვიჩვნა, რომ მცურავი ამაორთქლებლების რედუქციის კოეფიციენტებს აქვთ ლოკალური მნიშვნელობა და დამოკიდებულია წყალსაცავის მახასიათებლებზე და წლის დროზე.

უნდა აღინიშნოს, რომ რედუქციის კოეფიციენტების უნივერსალური მნიშვნელობების ძიების მრავალრიცხვოვანი ცდა მარცხით დამთავრდა, რის შედეგად მცურავი ამაორთქლებლებზე მიღებული ინფორმაციის გამოყენების დიაპაზონი მკვეთრად შემცირდა. ამაორთქლებლების მეშვეობით ჩატარებულმა მრავალრიცხვოვანმა ექსპერიმენტებმა დაადგინა, აორთქლების სიდიდეების მნიშვნელობების დამოკიდებულება მისი განმსაზღვრელი ძირითადი ფიზიკური ფაქტორებისგან ემპირული ფორმულების სახით.

ამჟამად არსებობს მსგავსი სტრუქტურისა და სხვადასხვა სახეობის (მოდიფიკაციის) ბევრი ემპირიული ფორმულა, რომელთა შორის დიდი გავრცელება პპოვა შემდეგი სახის ფორმულამ.

$$E=f(u)(e_v-e_t) \quad (5.1)$$

სადაც  $f(u)$  სახე დამოკიდებულია ქარის სიჩქარეზე და იცვლება მისი სიდიდის 1-10მ/წმ ფარგლებში ცვლილებისას შემდგებ საზღვრებში: 0.39-0.99 (ვ.პ. დავიდოვის ფორმულა), 0.15-1.23 (ბ.დ. ზაიკოვის ფორმულა), 0.30-1.44 (ს.ნ. კრიცისა და ფ.ნ. მენკელის ფორმულა), 0.38-1.71 (ს.ი.რუდენკოს ფორმულა), 0.13-1.07 (ა.პ. ბრასლავსკისა და ზ.ა.ვიკულინის ფორმულა) /21,22,23,24/.

ამართქლებლების საშუალებით მიღებული ტენის ფენა გადაითვლება წყალსაცავის წყლის სარკის ფართობის სიდიდეზე მისი ინტეგრალური მნიშვნელობების მიღების მიზნით დაკვირვების მასალის არარსებობის სემთხვევაში წყალსაცავებიდან აორთქლების სიდიდეების გამოსათვლელად გამოიყენება რიცხვითი მეთოდები, რომელთაც განეკუთვნება:

1. ჰიდრომეტეოროლოგიური მეთოდები-ემპირიული ფორმულების საშუალებით აორთქლების გამოთვლის მეთოდი, რომელიც გამოხატავს აორთქლების სიდიდის დამოკიდებულებას მისი განხსაზღვრელი ზემოთაღნიშნული სამი ძირითადი ფაქტორის (ქარის სიჩქარე, წყლის ზედაპირისა და ჰაერის ტემპერატურათა სხვაობა, ჰაერის ტენიანობის დეფიციტი) მნიშვნელობებზე;
2. ტურბულენციური დიფუზიის მეთოდი;
3. სითბური ბალანსის მეთოდი;
4. წყლის ბალანსის მეთოდი.

ამ მეთოდებიდან ჰიდრომეტეოროლოგიურმა მეთოდმა მიიღო უპირატესობა, რაც განაპირობა მეთოდის შედარებითმა სიმარტივებმ და საჭირო გამოთვლებისათვის აუცილებელი ჰიდრომეტეოროლოგიური ინფორმაციის არსებობამ. ამჟამად, როგორც უკვე აღინიშნა, არსებობს ემპირიული ფორმულების მთელი სისტემა, რომლების მიუხედავად სტრუქტურის სიახლოებისა, ერთმანეთისაგან განსხვავდებიან რიცხვითი პარამეტრების (კოეფიციენტების) მნიშვნელობებით. როგორც უკვე აღინიშნა, აორთქლების სიდიდეების გამოსათვლელად თანამედროვე ემპირიულ ფორმულებს აქვს შემდეგი ზოგადი სახე:

$$E=f(u)(e_t-e_i) \quad (5.2)$$

სადაც  $f(u)=A+Bu_z$  არის ე.წ. "ქარის ფაქტორი", რომელიც ასახავს აორთქლების სიდიდის დამოკიდებულებას ქარის სიჩქარეზე: A და B არიან ამაორთლებელ აუზებზე ჩატარებული დაკვირვებებიდან მიღებული რიცხვითი პარამეტრები. ამ

კოეფიციენტების მნიშვნელობები დამოკიდებულია წყალსაცავების განლაგების ფიზიკურ-გეოგრაფიულ პირობებზე და იცვლებიან 0.13-0.30 (A) და 0.23-0.72 (B) საზღვრებში.

აქ აღსანიშნავია ერთი მნიშვნელოვანი გარემოება: ქარის სიჩქარის 3-5გ/წ დიაპაზონში ყველა სახის ემპირიული ფორმულა იძლევა აორთქლების სიდიდეების პრაქტიკულად ერთნაირ მნიშვნელობებს, ე.ო. ქარის სიჩქარეების ამ დიაპაზონში მათ აქვს უნიკალური ხასიათი. ამ დიაპაზონის გარეთ კი ემპირიულ ფორმულაში ყველა კონკრეტული შემთხვევისათვის ცალსახად უნდა გამოივალოს (A) და (B) კოეფიციენტების მნიშვნელობები. აორთქლების გამოსათვლელ ფორმულაში შემავალი (A) და (B) კოეფიციენტების მნიშვნელობები დაბლობი და მთიანი რაიონებისათვის მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ასე, მაგალითად, ა.პ. ბრასლავსკი-გ.ა. ვიკულინასა, ბ.დ. ზაიკოვისა და სხვა ავტორების ემპირიულ ფორმულებში, რომლებიც მიღებულია დაბლობ რაიონებში განლაგებულ ამაორთქლებლებზე მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, ამ პარამეტრების სიდიდეები ძალიან ახლოა ერთმანეთთან.

ანალოგიურ შემთხვევას აქვს ადგილი ვ.კ. დავიდოვის, ო.ო. ხალათიანისა და გ.ბ. გგახარიას ფორმულებში, რომლებიც აგებულია კავკასიონის მთიან რაიონებში ჩატარებული ექსპერიმენტების შეეგად მიღებული მონაცემების გამოყენებით.

უნდა აღინიშნოს, რომ ემპირიული ფორმულებიდან ფართო გავრცელება პპოვა ა.პ. ბრასლავსკი-ზ.ა. ვიკულინასა და ბ.დ. ზაიკოვის ფორმულებმა, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან მხოლოდ კოეფიციენტების მნიშვნელობებით. ეს ფორმულები ამყარებენ ფუნქციურნალურ კავშირს აორთქლების სიდიდესა- $E$  და წყლის ზედაპირზე წყლის ორთქლის დრეკადობასა- $e_{200}$ , წყლის ზედაპირის ტემპერატურის- $t_3$  განსაზღვრულ წყლის ორთქლის მაქსიმალურ დრეკადობასა- $e_0$  და წყლის ზედაპირიდან 200სმ სიმაღლესე არსებულ ქარის სიჩქარის- $U_{200}$  სიდიდეებს შორის:

$$E=A (e_0-e_{200}) (1+BU_{200}) \quad (5.3)$$

წყალსაცავის ზედაპირიდან აორთქლების გამოთვლის ნორმატივების დამუშავების პროცესში ჩატარებულებმა, არსებული ფორმულების კრიტიკულმა ანალიზმა დააზუსტა მათში შემავალი პარამეტრების რიცხვითი მნიშვნელობები და

მათი უნიფიკაციის საფუძველზე აორთქლების სიდიდეების გამოსაოვლელად მიღებული და რეკომენდებული იქნა შემდეგი სახის ფორმულა:

$$E=0.14n (e_0-e_{200}) (1+0.72U_{200}) \quad (5.4)$$

სადაც  $E$  მოცემულია მმ/თვეში,  $n$ -არის დღეების რიცხვი. უქარო ამინდის შემთხვევაში, როდესაც  $U_{200}=0$ , ფორმულა (5.4) დებულობს შემდეგ სახეს:

$$E=0.14n (e_0-e_{200}) \quad (5.5)$$

აორთქლების მექანიზმის შესწალის პროცესში ტურბულენტური დიფუზიის მეთოდის გამოყენება ეყრდნობა შრომატევადი გრადიენტული დაკვირვებების ორგანიზაციის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის ანალიზს, რაც საშუალებას იძლევა შესწავლილი იქნეს ქვეფენილი ზედაპირის დინამიკური მახასიათებლები (კერძოდ, სიხისტის პარამეტრები) და მეტეოროლოგიური ელემენტების (ჰაერის ტემპერატურა და ტენიანობა, ქარის სიჩქარე) ვერტიკალური განაწილება, ამასთან დაკავშირებით, აორთქლების პროცესში რომელიმე დონეზე (სიბრტყეში) წყლის ორთქლის გადატანა გამოისახება შემდეგი განტოლებით:

$$E = \rho K \frac{de}{dz} \quad (5.6)$$

სადაც  $\rho$  არის ჰაერის სიმკვრივე,  $K$  – ტურბულენტური დიფუზიის კოეფიციენტი,  $\frac{de}{dz}$  – ჰაერის ტენიანობის ვერტიკალური გრადიენტი.

გრადიენტული დაკვირვებების ორგანიზაციის სიძნელეები მნიშვნელოვნად ამცირებენ ტურბულენტური დიუზიის მეთოდის გამოყენების შესაძლებლობებს.

წყალსაცავიდან წყლის სარკის ზედაპირიდან აორთქლების პროცესში შეიძლება შესწავლილი იქნეს სითბური ბალანსის განტოლების გამოყენებით:

$$E \pm LE \pm P \pm \Theta = 0 \quad (5.7)$$

სადაც  $E$ -არის წყლის ზედაპირის რადიაციული ბალანსი,  $LE$ -არის აორთქლებაზე დახარჯული (ან კონდენციის შედეგად

გამოყოფილი) სითბოს რაოდენობა, ზ-ტურბულენტური სითბოს ნაკადი, ზ-სითბოს ნაკადი წყლის ზედაპირისა და წყლის მასას შორის. სითბური ბალანსის განტოლების მდგენელების ნიშანი აღნიშნავს სარკის ზედაპირზე სითბოს მატებას ან შემცირებას.

აორთქლების პროცესების მექანიზმის სითბური ბალანსის მეთოდით შესწავლა გულისხმობს სითბური ბალანსის განტოლების კომპონენტების სიდიდეების გამოსათვლელად აქტინომეტრიული, გრადიენტული, რეიდული და მეტეოროლოგიური დაკვირვებების შედეგად მიღებული ინფორმაციის გამოყენებას. აორთქლების სიდიდე კი (LE) განისაზღვრება სითბური ბალანსის განტოლებიდან, როგორც ნაშთური წევრი.

ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ აორთქლების სიდიდე ამ მეთოდის საშუალებით საკმაფრისი სიზუსტით შეძლება განისაზღვროს მხოლოდ შედარებითი მცირე და არაღრმა წყალსაცავებისათვის, სადაც ადგილი აქვს თერმული და მორფოლოგიური პირობების ერთგვაროვნებას, რაც წყლის სარკის მთელ ფართობზე და წყლის მასაში განაპირობებს მეტეორელემენტებისა და წყლის ტემპერატურის იდენტურ ცვლილებებს და რამდენიმე წერტილში გაზომვით მიებული მეტეორელემენტების, წყლის ტემპერატურის მნიშვნელობების გავრცელების მიზანშეწონილობას წყალსაცავის მთელს ეკვატორიაზე.

სითბური ბალანსის განტოლებაში მისი მთავარი კომპონენტის-რადიაციული ბალანსის-განსაზღვრა შესაძლებელია საკმაოდ დიდი სიზუსტით, როგორც ექსპერიმენტების (აქტინომეტრული ხელსაწყოებით: აქტინომეტრით, პირანომეტრით, ბალანსმზომით, ალბედომეტრით, პირგეომეტრით, სათანადო გაზომვების ჩატარებით), ისე გამოთვლების საშუალებით.

უგრო შრომატევადი და რთვლია სითბოს ტურბულენტური ნაკადის-ზ და წყლის ზეპირსა და წყლის მასას შორის თბოგაცვლის-ზ სიდიდეების განსაზღვრა. წყლის ზედაპირის თბოგაცვლა ატმოსფეროსთან (სითბოს ტურბილენტური ნაკადი-ზ) და წყლის ზედაპირსა და წყლის მასას შორის თბოგაცვლის სიდიდე- ზ სათანადო გაზომვების შედეგად მიღებული ინფორმაციის გამოყენებით შეიძლება გამოთვლილი იქნეს შემდეგი ფორმულებით:

$$P = -Cp\rho K_T \frac{dT}{dZ} \quad (5.8)$$

$$\Theta = K^* \rho^* C^* \frac{dT^*}{dZ} \quad (5.9)$$

სადაც  $C_p$  - არის პაერის სითბოტევადობა მუდმივი წნევის დროს;

$\rho$  - არის პაერის სიმკვრივე;

$K$  - არის ტემპერატურა;

$K_T$  - არის თბოგაცვლის კოეფიციენტი;

$K^*, \rho^*, C^*, T^*$  - არის წყლის მასისათვის შესაბამისად თბოგაცვლის კოეფიციენტი, სიმკვრივე, ხვედრითი სითბოტევადობა და ტემპერატურა;

$P$  და  $\Theta$  - სიდიდეების გამოთვლა განპირობებულია  $K_T$ ,  $K^*$ ,  $\frac{dT}{dZ}$ ,  
 $\frac{dT^*}{dZ}$  განსაზღვრის სიძნელეებით.

აორთქლების სიდიდე საშუალო მრავალწლიური პერიოდისათვის შეიძლება გამოთვლილი იქნეს წყალსაცავის წყლის ბალანსის განტოლებიდან:

$$Z = X + J_{\beta} - J_{\partial} \quad (5.10)$$

სადაც  $Z$ -არის აორთქლების შედეგად წყალსაცავის ზედაპირიდან წყლის მასის დანაკარგი;

$J_{\beta}$ -არის წყალსაცავში შემოსული წყლის რაოდენობა;

$J_{\partial}$ -არის წყალსაცავიდან გასული წყლის რაოდენობა;

**Х-არის წყალის სარკის ზედაპირზე მოსული ნალექების ჯამი.**

ბალანსის მდგენელებს  $J_3$  და  $J_4$  აქვს რთული სტრუქტურა. ისინი შედგებიან როგორც ზედაპირული, ისე მიწისქვეშა მდგენელებისაგან (კომპონენტებისაგან), რომელთა განსაზღვრის სიზუსტე, განსაკუთრებით მიწისქვეშა კომპონენტების შემთხვევაში, წარმოადგენს ძალიან რთულ და ხშირად გადაუჭრელ ამოცანას, განსაკუთრებით მთიან რეგიონში განლაგრბული წყალსაცავების შემთხვევაში, როდესაც მისი გეოლოგიური და ტექტონიკური სპეციფიკა განაპირობებს წყლის ფილტრაციის ინტენსიურ პროცესებს, რაც ძალიან  $J_3$ ,  $J_4$  ამცირებს  $J_3$  და  $J_4$  რაც მთავარია, აორთქლების სიდოდის განსაზღვრის სიზუსტეს, რომლის ხვედრითი წონა სხვა მდგენელებთან შედარებით წყლის ბალანსის ფორმირებაში განუზომლად მცირება. მაგალითად, სიონის წყალსაცავის აორთქლების წლიური სიდიდე სეადგენს წყალსაცავში ჩამდინარე წყლის რაოდენობის დაახლოებით 1.5%-ს /16/.

ხოლო მთის მდინარეების ჩამონადენის განსაზღვრის სიზუსტე ტოლია 5%-სა დამტებისაც. ასეთი სემთხვევებისათვის განტოლებიდან აორთქლების სიდიდის გამოთვლა, როგორც ნაშთური წევრისა, მიუღებელია, ვინაოდან წყალსაცავში ჩამდინარე და წყალსაცავიდან გამომდინარე მდინარეების ჩამონადენის განსაზღვრის ცდომილება რამდენჯერმე აღემატება საძიებელი აორთქლების სიდიდეს. ამის გამო აორთქლების სიდიდის გამოსათვლელად წყლის ბალანსის მეთოდი გამოიყენება მხოლოდ გაუმდინარე წყალსაცავებისა და ტბების სემთხვევაში, როდესაც წყლის საერთო ხარჯში აორთქლების წლილი საქმარისად მაღალია. ამ მეთოდს შეუძლია მოგვცეს სრულიად დამაკმაყოფილებელი სედეგები აორთქლების საშუალო მრავალწლიური სიდიდეების (ნორმების) გამოთვლის დროს. დროის შედარებით მოკლე პერიოდისათვის, ეს მეთოდი არ გამოიყენება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ეს მეთოდი შეიძლება გამოყენებული იქნას აორთქლების სიდიდის ურთიერთ კონტროლის მიზნით, იმ პირობით, რომ არსებობს სათანადო დაკვირვებათა მასალის აუცილებელი ბანკი.

ენგურის, ხუდონისა და გალის წყალსაცავების შემთხვევაში აორთქლების სიღიდეების გამოსათვლელად ჩვენს მიერ გამოყენებული იქნა პიდრომეტეოროლოგიური მეთოდი. მაკონტროლებელ მეთოდად შეძლება გამოყენებული იქნას წყლის ბალანსის მეთოდი, რაც განპირობებულია სათანადო პერიოდში ამ მიზნისათვის საჭირო დაკვირვებათა მასალის არსებობით.

მდინარე ენგურის წყალსაცავში წყლის ბალანსის ფორმირების კანონზომიერებების დადგენა საშუალებას იძლევა შესწავლითი იქნეს წყლის მიმოცევის კომპონენტების დინამიკა, რაც აუცილებელია წყალსაცავის აკვატორიიდან აორთქლების სიღიდეებისა და მათი გავლენით გამოწვეული ატმოსფეროსა და წყალსაცავის მიმდებარე ტერიტორიის დატენიანების ხარისხის შესაფასებლად.

საქართველოს პიდრომეტეოროლოგიური სამსახურისა და თბილპიდროპროექტის მიერ ორგანზებულ დაკვირვებათა მასალების ანალიზის სედეგად განსაზღვრული იქნა წყლის ბალანსის კლემბენტების დინამიკა ჯვრის წყალსაცავისათვის 1981-1985 წლების პერიოდისათვის თვეების მიხედვით.

როგორც აღინიშნა, წყალსაცავის წყლის ბალანსის განტოლებას აქვს ზოგადი სახე:

$$\Sigma_{\text{შ}} = \Sigma_{\text{გ}} \pm \Delta H \quad (5.11)$$

სადაც  $\Sigma_{\text{შ}}$  და  $\Sigma_{\text{გ}}$  არიან წყლის ბალანსის შემოსული და გასული ნაწილების კომპონენტების ჯამი,  $\pm \Delta H$  არის ბალანსის შეუსაბამობა.  $\Sigma_{\text{შ}}$  და  $\Sigma_{\text{გ}}$  გახსნის შედეგად (5.11) რეზულტატს სახეს:

$$Q_{\text{ჩ}} + Q_{\text{გჩ}} + Q_{\text{მგ}} + X - (Q_{\text{ჩგ}} + Q_{\text{გ}} + E) \pm \Delta H = 0 \quad (5.12)$$

სადაც  $Q_{\text{ჩ}} - \text{არის}$  მდინარის ჩამონადენი;  $Q_{\text{გჩ}} - \text{გერდითი ჩამონადენი, ე.ი.}$  წყალსაცავთან მიმდებარე წყალმკრეფის ჩამონადენი;  $Q_{\text{მგ}} - \text{მიწისქვეშა წყლების ჩამონადენი;}$   $X - \text{წყალსაცავის სარკის ზედაპირზე მოსული ატმოსფერული ნალექების ჯამი;}$   $Q_{\text{გგ}} - \text{არის მდინარე ენგურის ჩამონადენი ქვედა ბიეფში (ე.მ. ჩამონადენი ძირითადი პიდროკვანის ნაგებობაში);}$   $Q_{\text{გ}} - \text{ლექტრიაგრეგატების მიერ წყალსაცავიდან ელექტროენერგიის გამოსამუშავებლად დახარჯული წყლის რაოდენობა.}$   $E - \text{აორთქლების სიღიდე.}$

მდინარე ენგურის ჩამონადენის სიღიდეები სოფელ ჯვართან (ჯვრის წყალსაცავში)  $Q_{\text{გ}}$  იზომებოდა 1929-1962 წლებში. 1962 წლის შემდეგი პერიოდისათვის მდ. ენგურის ჩამონადენის

სიდიდეები სოფელ ჯვართან აღდგენილი იქნა მდ. ენგურის საშუალო წლიური ხაჯების გრაფიკული კავშირით ჯვრისა და ხაიშის პიდრომეტრულ პუნქტებს შორის  $Q_{\text{ჯ}} = f(Q_{\text{გ}})$ , რომელიც ანალიტიკურად წარმოიდგინება წრფივი ფუნქციის სახით:

$$Q_{\text{ჯ}} = 1,21Q_{\text{გ}} + 11,1 \quad (5.13)$$

ამ ანალიტიკურმა გამოსახულებამსაშუალება მოგვცა სოფელ ჯვარში გაგვეგრძელებინა ჩამონადენზე დაკვირვაბათა რიგგაბის ხანგრძლივობა და შეგვედარებინა სხვა სახეობების ჩამონადენის (მიწისქეშა, ფერდობების) როლი კამური ჩამონადენის ფორმირებაში მდ. ენგურის აუზის იმ მონაცემისათვის, რომელიც მოქცეულია სოფელ ჯვარსა და ხაიშს შორის.

წყლის ბალანსის განტოლებაში (5.12) მდ. ენგურის სოფელ ჯვართან ჩამონადენის გაზომილი სიდიდეები წარმოადგენენ ფაქტიურად ამ სამი მდგრენელის (თვით ენგურის, წყალმკრეფის ფერდობებისა და მიწისქეშა ჩამონადენის) ჯამურ სიდიდეებს:  $Q_{\text{ჩ}} + Q_{\text{გ}} + Q_{\text{ჭ}} = Q_{\text{ჯ}}$  ამ აღნიშვნის გათვალისწინებით განტოლება (5.12) დებულობს შემდეგ სახეს:

$$Q_{\text{ჯ}} + X = (Q_{\text{გ}} + Q_{\text{გ}} + E) \pm \Delta H \quad (5.14)$$

ცალქეული წლებისათვის წყალსაცავის წყლის ზედაპირზე მოსული ნალექების თვიური ჯამები აღებულია ენგურის აუზისათვის აგებულ ატმოსფერული ნალექების ადგილის აბსოლუტურ სიმაღლეზე დამოკიდებულების გრაფიკიდან. წყალსაცავის ზედაპირზე მოსული ნალექების თვიური ჯამების გამოთვლის მიზნით დგინდებოდა წყალსაცავში წყლის სარკის საშუალო თვიური ფართობის სიდიდე და იგი მრავლდება თვის განმავლობაში მოსული ნალექების ფენის სიდიდეზე.

ქვემო ბიუფში მდ. ენგურის ჩამონადენი  $Q_{\text{გ}}$  განისაზღვრება როგორც სხვაობა შავი ზღვის შესართავთან მისი ჩამონადენის სიდიდესა (სოფ. დარჩელი) –  $Q_{\text{დ}}$  და მდინარეების – მაგანასა და ილორის – ჩამონადენის ( $Q_{\text{ჭ}} + Q_{\text{ო}}$ ) სიდიდეების ჯამებს შორის. ეს მდინარეები ერთვიან ენგურს სოფ. დარჩელსა და ენგურპესის კაშხალს შორის:

$$Q_{\text{გ}} = Q_{\text{დ}} - (Q_{\text{ჭ}} + Q_{\text{ო}}) \quad (5.15)$$

აგრეგატებისადმი დერივაციული არხით მიწოდებული ელექტროენერგიის გამოსამუშავებლად დახარჯული წყლის რაოდენობა გამოიანგარისებოდა გამომუშავებული ელექტროენერგიის საერთო რაოდენობის გადაყვანით წყლის რაოდენობაში.

## ცხრილი 12

ჯვრის წელსაცავის წელის ბალანსის კომპონენტების სიფიცილი

წელი	წელის ბალანსის გეგმის მდგრადი გვერდი;	თ ვ ვ					თ ვ ვ					წელი		
		I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X			
1981	შემოსავალი	290	21.8	43.1	71.8	198	448	338	219	164	45.9	53.7	587.8	141
	განაკვეთი	77.5	52.8	115	186	529	1161	905	587	424	123	139	158	4436
	განაკვეთი	20.8	25.3	39.2	54.3	107	197	200	134	114	46.6	51.9	34.6	85.4
	განაკვეთი	55.7	61.2	105	141	287	509	536	359	296	125	134	930	2700
	ბალანსის შეუსაბამისა	8.201	-3.50	3.9	17.1	91.0	251	138	85.0	50.0	-0.7	1.80	23.2	554
	ბალანსის შეუსაბამისა	21.9	-8.4	10	45	242	652	369	228	129	-2.0	5	65	1736
	შემოსავალი	29.7	23.02	25.2	179	379	456	494	268	151	59.5	43.2	33.2	179
	განაკვეთი	77.6	58.1	67.7	463	1015	1179	1323	717	391	159.0	112	89.1	5651
	განაკვეთი	30.4	25.7	26.7	111	165	190	196	133	83.9	37.5	17.3	12.5	86.9
	ბალანსის შეუსაბამისა	-0.70	-2.70	-1.50	68.0	214	266	298	135	67.1	22.0	25.9	20.7	92.1
	ბალანსის შეუსაბამისა	-4.3	-4.1	-3.8	176	873	687	796	360	148	58.0	67.2	55.5	2908
	შემოსავალი	33.5	32.5	44.9	142	299	341	456	391	214	140	128	69.2	198
	განაკვეთი	89.7	78.5	121	368	783	813	1221	1046	554	374	332	185	5965
	განაკვეთი	21.5	20.9	23.7	76.9	110	128	175	140	73.6	45.0	47.3	58.7	77.2
	განაკვეთი	67.7	50.7	63.5	199	296	332	470	876	191	121	123	157	2435
	ბალანსის შეუსაბამისა	12.0	11.6	21.2	65.1	183	186	181	251	140	95.0	80.7	10.5	112
	განაკვეთი	32.0	27.9	57.5	16.5	487	481	751	670	363	253	209	28	3530

3 ხრილი 12  
(გამოწევება 1)

კვარტლის შედების შეფასების შედების გამოწევების ხილით

წელი	წელის ბალანსის გადაწყვეტილ მდგრადი	თვეუკავშირის შედების გამოწევების ხილით									წელი			
		I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X			
1984	შემოსავალი	37.8	33.3	55.8	148	252	390	504	297	155	66.9	39.4	30.2	168
	გასასვალი	101	83.1	150	383	676	1010	1351	796	402	179	102	80.8	5312
	ბალანსი	38.0	44.2	32.5	62.3	107	174	211	156	86.0	89.8	39.1	491	88.4
	შეკვეთისამინა	102	114	87.0	161	287	451	566	417	223	160	101	133	1802
1985	შემოსავალი	-0.20	-10.9	23.3	85.7	145	216	293	141	69.0	71.0	0.30	-19.4	796
	ბალანსი	-1.0	-26.4	630	222	387	559	785	879	179	19	1.0	-522	2510
	შეკვეთისამინა	822.2	31.8	35.8	152	342	374	305	250	132	822	53.7	42.2	153
	გასასვალი	75.5	76.9	95.9	393	915	968	817	668	341	220	139	113	4823
1985	გასასვალი	35.9	42.2	27.6	79.2	123	142	121	97.9	57.8	62.0	41.2	54.3	73.0
	ბალანსი	96.1	102	74.2	205	329	366	325	262	149	140	107	146	2301
1985	შეკვეთისამინა	-7.7	-10.4	8.201	72.8	219	232	184	152	74.2	30.2	12.5	-12.1	80.0
	შეკვეთისამინა	-20.0	-25.1	21.7	188	586	602	492	406	192	80	32	-33	1522

ჯვრის წყალსაცავის ზედაპირიდან აორთქლების თვიური სიღიდეები გამოანგარიშებული იქნა წყალსაცავიდან ახლო მდებარე ფოცხო-ეწერის ამაორთქლებელი აუზის სტაციონალური დაკვირვებების მასალის ანალიზის საფუძვლზე, რომლის ხანგრძლივობა შეადგენს 23 წელს (1965-1967 წწ). ბალანსის შეუსაბამობის სიღიდე ( $\pm H$ ) ჯვრის წყალსაცავისათვის განისაზღვრა, როგორც წყლის ბალანსის კომპონენტებს შორის სხვაობა. ბალანსის სეუსაბამობის სიღიდე აღმოჩნდა საკმარისად დიდი, რაც სხვა ფაქტორებს გარდა განაპირობა დერივაციულ არხში წყლის ხარჯების სიღიდეების განსაზღვრის დაბალმა სიზუსტემ და ჯვარსა და ხაიშს შორის წყლის ხარჯებს შორის არსებული კორელაციის გამოყენებამ, რომელიც ასაშუალებს წყლის ხარჯების მნიშვნელობებს და ზრდის გამოვლების ცდომილებებს.

წყლის ბალანსის ჯამური სიღიდეები 1981-1985 წლებისათვის მოცემულია ცხრილში 12.

როგორც ცხრილიდან ჩანს, წყლის ბალანსისა და მისი კომპონენტების ფორმირების პროცესები დამოკიდებულია წყლის დონეზე. წლის თბილ პერიოდში ბალანსი დადგებითია, ხოლო ციკ პერიოდის, მდ. ენგურის მინიმალური ჩამონადენის შემტხვევაში, იგი შეიძლება გახდეს უარყოფითი.

როგორც ნაჩვენებია ცხრილში 12, წყლის ბალანსის ფორმირების პროცესში ჯვრის წყალსაცავში ზირითად როლს თამაშობს ზედაპირული ჩამონადენი 94.4-99.7%; მეორე ადგილზეა ატმოსფერული ნალექები, რომელთა ხვედრითი წონა წლის ბალანსში შეადგენს 0.3-0.6%-ს.

წყლის ბალანსის გასაგად ნაწილში ძირითადია ისევ ენგურის ჩამონადენი ქვედა ბიეფში (დერივაციულ არხში), ხოლო აორთქლების ხევდრითი წონა ბალანსის ამ ნაწილში არ ადემატება 0.3-0.4%-ს შესაბამისად. მიუხედავად იმისა, რომ აორთქლების სიღიდეები უმნიშვნელოა წყლის ბალანსის ფორმირების პროცესში, აორთქლება წყლის მიმოქცევაში თამაშობს შესამნევ როლს.

წყალსაცავის ზედაპირიდან აორთქლების წლიური ჯამების დამოკიდებულება წყლის დონეზე და სარკის ფართობზე ჩვენს მიერ დადგენილი იქნა სტაციონალური დაკვირვებების მასალებისა და წყალსაცავის წყლის დონეებზე

დამოკიდებულების გრაფიკების გამოყენებით (ნახ. 11,12). ეს გრაფიკები იძლევა აორთქლების სიდიდეების (E) დამოკიდებულებას წყალსაცავის სარკის ფართობზე (S) და წყლის დონეებზე (H). აქევე უდა აღინიშნოს, რომ ჯვრის წყალსაცავში წყლის მასის შესაბამისად სარკის ფართობი იცვლება  $8*14\beta^2$  ფარგლებში, ხოლო წყლის დონე 170-500მ ფარგლებში.

ანალიტიკური დამოკიდებულებები  $E=f(S)$  და  $E=f(H)$ , სადაც E არის აორთქლების წლიური ჯამი (მილიონ მ<sup>3</sup>), H-წყლის დონე წყალსაცავში (მ<sup>3</sup>), S-წყლისსარკის ფართობი (მ<sup>2</sup>), შეიძლება წარმოდგენილი ინტ შემდეგი სახით:

$$E=3,27+0,031S^2 \quad (5.16)$$

$$E=45,5H^2-3,29 \quad (5.17)$$

უნდა აღინიშნოს, რომ დამოკიდებულებები (5.16) და (5.17) სამართლიანია ჯვრის წყალსაცავის სარკის ფართობის 4,4-13,5 მ<sup>2</sup> დიაპაზონისათვის და მისი დონეების 0-510მ ფარგლებში ცვლილების საზღვრებისათვის. როგორც უკვე აღინიშნა, მოცემულ საზღვრებში იცვლება ჯვრის წყალსაცავის წყლის სარკის ფართობი და წყლის დონე.

დამოკიდებულებები (5.16) და (5.17) საშუალებას ოძლევა წყალსაცავში წყლის დონისა (H) და წყლის სარკის ზედაპირის (S) მნიშვნელობებით გამოთვლილი იქნეს აორთქლების სიდიდეების სადსუალო თვიური მნიშვნელობები წლის განმავლობაში.

როგორც აღინიშნა, ენგურის, გალისა და ხუდონის წყალსაცავების ზედაპირიდან აორთქლების სიდიდეები გამოთვლილი იქნა ფორმით:


$$E=0.14\eta(e_0-e_{200})(1+0.72U_{200}) \quad (5.18)$$

განსაზღვრული იქნა აორთქლების თვიური და წლიური სიდიდეების მნიშვნელობები.

როგორც გამოსახულება (5.18)-ის ანალიზი გვიჩვენებს, წყალსაცავის წყლის სარკის ზედაპირიდან აორთქლების სიდიდის გამოსათვლელად საჭიროა წყლის ორთქლის დრეკადობს (აბსოლუტური ტენიანობის)- $e_{200}$ , წყლის ზედაპირის ტემპერატურით გამოთვლილი წყლის ორთქლის მაქსიმალური დრეკადობის  $e_0$  და ქარის სიჩქარის  $U_{200}$  ცოდნა ფსიქრომეტრული ბუდრუგანას სიმაღლეზე (200სმ სიმაღლეზე ქვეფენილი


ზედაპირიდან). ეს სიდიდეები სეიძლება გაზომილი იქნეს უშუალოდ წყალსაცავის აკვატორიის, ან მიმდებარე სანაპიროს ტერიტორიის რამდენიმე წერტილში,

საკვლევი წყალსაცავების აკვატორიის წყლის ზედაპირის სიმაღლეებისათვის აუცილებელი პიდრომეტეოროლოგიური ინფორმაციის მისაღებად და ორთქლების სიდიდეების გამოსათვლელად მდ. ენგურის აუზისათვის აგებული იქნა პიდრომეტეოროლოგიური ელემენტების აღგილის აბსოლუტურ სიმაღლეზე დამოკიდებულების გრაფიკები და დადგენილი იქნა მათი ტერიტორიული განაწილების კანონზომიერებანი, ამ მიზნებისათვის აგრეთვე გამოყენებული იქნა საღგურ რეჩეში და ფოცხო-ეწერში წყლის ზედაპირის ტემპერატურაზე და ორთქლების პროცესებზე წარმოებული დაკვირვებებით მირებული ინფორმაცია.



ნახ.11 ორთქლების სიდიდის დამოკიდებულება  
წყლის სარეის ფართობზე

აორთქლების სიდიდეების გამოთვლის პროცესში  
 აუცილებელია წყალსაცავებში წყლის ზედაპირის  
 ტემპერატურების  $t_0$  მნიშვნელობრბების ცოდნა, რომლითაც  
 გაოითვლება ჰაერის აბსოლუტური ტენიანობის მაქსიმალური  
 მნიშვნელობა-ე. მაგრამ, როგორც ცნობილია, მთიან რაიონებში  
 განლაგებულ წყალსაცემებზე სისტემატური დაკვირვებები წყლის  
 ზედაპირის ტემპერატურაზე წარმოებს იშვიათ სემთხვევაში, რაც  
 აძნელებს წყალსაცავებიდან აორთქლების პრობლემის გადაჭრას.



ნახ.12 აორთქლების სიდიდის დამოკიდებულება  
 წყლის დონეზე

წყალსაცავში წყლის ტემპერატურის სიდიდე  
 დამოკიდებულია წყლის მასის მაფორმირებელ მიწისქვესა,  
 მყინვარული, წვიმის, ჩამდინარე წყლების თერმულ  
 მდგომარეობაზე, ადგილის ოროგრაფიულ პირობებზე, ადგილის

ცირკულაციის თავისებურებებზე (ფიონები, მთა-ხეობების, ფერდობებისა და მყინვარული ქარები), რომელთა გავლენითაც ხდება წყლის ტემპერატურის გარკვეული რყევები და აორთქლების პროცესების ინტენსივობის ცვალებადობა წყალსაცავებში, ე.ი. წყალსაცავში წყლის ამაორთქლებელი ზედაპირის ტემპერატურის ფორმირების პროცესი დამოკიდებულია გეოგრაფიულ და გეომორფოლოგიურ ფაქტორებზე, წყალსაცავების ზომებზე, მათი კვების რეჟიმზე და მიკროკლიმატის თავისებურებებზე.

ფორმულა (8.18)-ში პარის ტემპერატურა  $t_{200}$  უშუალოდ არ შედის, მაგრამ მისი ცოდნა ზედაპირის ტემპერატურის სიდიდეების დასადგენად აუცილებელია, გარდა ამისა, პარის ტემპერატურის  $t_{200}$  მნიშვნელობების ცოდნა აუცილებელია წყალსაცავიდან აორთქლების პერიოდის ხანგრძლივობის დასადგენად. ვინაიდან იმ შემთხვევაში, როდესაც  $t_{200} < 0^{\circ}$  შესაძლოა წყალსაცავის აკვატორიის ნაწილზე წარმოიქმნას ყინულის საფარველი, რომელიც მკვეთრად ცვლის აორთქლების მექანიზმს და მის სიდიდეებს.

კავკასიის რიგ, როგორც მთიან, ისე დაბლობ რაიონებში (სომხეთი, საქართველო, აზერბაიჯანი, დაღესტანი, ჩრდილოეთი კავკასია) არსებულ ამაორთქლებელ აუზებში წყლის ტემპერატურაზე  $t_0$  და 200სმ სიმაღლეზე პარის ტემპერატურაზე -  $t_{200}$  სინკრონული, როგორც გრძელვადიანი, ისე ეპიზოდური დაკვირვების მასალის გამოყენებით აგებული იქნა დამოკიდებულებების  $t_0=f(t_{200})$  გრაფიკები /16/. აღმოჩნდა, რომ დამოკიდებულებები ასიათება საკმაო სტაბილურობით დროში, ე.ი. არ იცვლებაინ ცალკეულ წლებში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული დამოკიდებულებების ასაგებად გამოყენებული იყო პარის ტემპერატურისა და წყლის არა დღე-დამური, არამედ დეკადური მნიშვნელობები, რათა მაქსიმალურად გამორიცხულიყო წყლის მასის სითბური ინერციულობა ამაორთქლებელ აუზებში.

დასავლეთ საქართველოსა და კოლხეთის დაბლობის 0-600მ სიმაღლეთა დიაპაზონში განლაგებული ტერიტორიისათვის მიღებული იქნა  $t_0=f(t_{200})$  დამოკიდებულებების გრაფიკული სახე, რომელიც მოცემულია ნახ.13.1-ზე, ხოლო 600 მეტრზე ზევით განლაგებული რაიონებისათვის ამ დამოკიდებულებას აქვს წრფივი სახე და იგი მოცემულია ნახ.13.2-ზე.

ანალიტიკურად დამოკიდებულება  $t_0=f(t_{200})$  მდინარე ენგურის აუზის 0-600მ სიმაღლეთა დიაპაზონებში განლაგებული ტერიტორიის ნაწილისათვის წელიწადის იმ პერიოდში, როდესაც პაერის ტემპერატურა იცვლდა  $5-30^0$ , ხოლო წყალსაცავებში წყლის ზედაპირის ტემპერატურა  $4-30^0$  ფარგლებში, შეიძლება წრმოდგენილი იქნეს წრფივი ფუნქციის სახით:

$$t_0=1,25t_{200}-1,0 \quad (5.19)$$

ხოლო წყლის ზედაპირის ტემპერატურის  $0-3^0$  და პაერის ტემპერატურის  $(-2^0)-(-4^0)$  საზღვრებში ცვლილებისასამ დამოკიდებულებას აქვს შემდეგი სახე:

$$t_0=0,2t_{200}+0,4 \quad (5.20)$$

როგორც ამ გამოსახულების ანალიზიდან ჩანს, პაერის ტემპერატურის ცვლილებისას  $4-30^0$  დიაპაზონში წყალსაცავში წყლის ტემპერატურა მეტია პაერის ტემპერატურაზე, ხოლო  $-2.5^0-4^0$  დიაპაზონში წყალსაცავში წყლის ტემპერატურა ნაკლებია პაერის ტემპერატურაზე.

ამრიგად, პაერის  $4^0$  მნიშვნელობას შეიძლება ეწოდოს კრიტიკული მდინარე ენგურის აუზისათვის. დამოკიდებულება  $t_0=f(t_{200})$  წრფივია პაერის ტემპერატურის  $(-2.5^0)-(30^0)$  დიაპაზონისათვის, მაგრამ ამ დიაპაზონში პაერის ტემპერატურის  $4^0$  მნიშვნელობის მიღწევის მომენტში ადგილი აქვს მისი ცვალებადობის ტენდენციის თავისებურებას:  $4^0$  ქვევით  $-2.5^0$ -მდე (ჩათვლით) პაერის ტემპერატურა მეტი ხდება წყლის ტემპერატურაზე და იგი ინარჩუნებს დადებით მნიშვნელობებს. როდესაც პაერის ტემპერატურა  $2.5^0$ -მდე წყალსაცავში წყლის ტემპერატურა ნულს უტოლდება, რაც განპირობებულია წყალსაცავის ორმული რეჟიმის თავისებურებით.



მდინარე ენგურის აუზის სხვა ნაწილში, რომელიც განლაგებულია 600-ის ზევით, დამოკიდებულება ანალიტიკურად (ორიგე სახის ტემპერატურის  $0-30^0$  ზღვრებში ცვლილებათა დიაპაზონისათვის) წარმოიდგინება წრფივი ფუნქციის სახით.

$$t_0=1,17t_{200}+1,15 \quad (5.21)$$

ამ მაღლივი დიაპაზონისათვის ( $H>600\text{m}$ ) წყალსაცავების წყლის ზედაპირის ტემპერატურა მეტია შესაბამისი პაერის ტემპერატურის სიდიდეზე.


დამოკიდებულებები (5.20) და (5.21) საშუალებას იძლევა პაერის ტემპერატურის ცნობილი მნიშვნელობებით გამოთვლილი იქნეს

წყალსაცავების წყლის ზედაპირის ტემპერატურების  
მნიშვნელობები მდინარე ენგურის წყალსაცავების კასკადისათვის.



ნახ.13. დამოკიდებულება  $t_0=f(t_{200})$  მდ. ენგურის აუზის ზღვისპირა ( $H<600\text{m}$ )—(1) და მთიანი ნაწილებისათვის ( $H>600\text{m}$ )—(2)

როგორც ზევით იყო აღნიშნული, წყალსაცავებში ყინულის საფარის არსებობა დიდ გავლენას ახდენს აორთქლების სიდიდეებზე. წყალსაცავში ყინულის საფარის რეჟიმის მახასიათებლების დასადგენად აუცილებელია მისი განლაგების რაიონში ჰაერის ტემპერატურის ადგილის აბსოლუტურ



ნახ.14.  $n=f(H)$ -პარის ტემპერატურის ნულზე გადასვლის თარიღის  
სიმაღლეზე დამოკიდებულება.

სიმაღლეზე დამოკიდებულების კანონზომიერების დადგენა. ამ მიზნით, კერძოდ /16/-ში კავკასიის მთელი რეგიონისა და მისი ცალქეული რაიონებისათვის (სომხეთი, საქართველო, აზერბაიჯანი, დადქეტანი, ჩრდილო კავკასია) მრავალწლიური დაკვირვებების მასალის ანალიზის საფუძველზე მოცემულია  $n=f(H)$  დამოკიდებულების გრაფიკული სახე (ნახ.14), რომელიც საქართველოს ტერიტორიისათვის ჩვენს მიერ ანალიტიკურად იქნა წარმოდგენილი შემდეგი წრფივი ფუნქციის სახით:

გაზაფხული (წყალსაცავებზე ყინულის საფარის გაქრობის პერიოდი)

$$n=30H+31$$

(5.22)

სადაც  $n$  არის დღეების რაოდენობა (ათვლილი 1 იანვრიდან თებერვლის მიმართულებით), რომლის გასვლის შემდეგ შესაბამის აბსოლუტურ სიმაღლეებზე ჰაერის მრავალწლიური საშუალო ტემპერატურა გადადის უარყოფითი მნიშვნელობებიდან დადებით მნიშვნელობებზე. მაგ.,  $H=1\text{ქმ}$ ,  $n=61$  დღეს, ე.ი. ამ სიმაღლეზე ტემპერატურა  $0^{\circ}\text{-ზე}$  გადადის 1 მარტს.

შემოდგომა (წყალსაცავზე ყინულის საფარის ფორმირების ოქრიოდი)

$$n=31H-11$$

(5.23)

ამ გამოსახულებაში  $n$  არის დღეების რაოდენობა (ათვლილი დეკემბრიდან ნოემბრის მიმართულრბით), რომლის გასვლის შემდეგ  $H$  სიმაღლეებზე ტემპერატურა გადადის დადებითი მნიშვნელობებიდან უარყოფით მნიშვნელობებზე. მაგ.,  $H=1\text{ქმ}$ ,  $n=20$  დღეს 31 დეკემბრიდან, ე.ი. ამ სიმაღლეზე ტემპერატურა  $0^{\circ}\text{-ზე}$  გადადის 11 დეკემბერს, ხოლო 2 ქმ სიმაღლეზე-11ნოემბერს, 3 ქმ სიმაღლეზე-11 ოქტომბერს, 4 ქმ სიმაღლეზე-31 აგვისტოს..

$n=f(H)$  ანალიტიკური დამოკიდებულებებით შეიძლება გამოითვალოსნობას, ჯვრისა და ხედონის წწყალსაცავებისათვის (ნორმალური შეტბორვის დონის სემთხვევაში) ყინულის საფარის წარმოქმნისა და დაშლის მრავალწლიური საშუალო თარიღები.

სათანადო გამოთვლების შედეგად დადგინდა, რომ ყინულის საფარი წარმოიქმნება საშუალოდ გალის წყალსაცავში ( $H=100.6\text{მ}$ )-8 იანვარს, ჯვრის წყალსაცავზე ( $H=510\text{მ}$ )-26 დეკემბერს, ხედონის წყალსაცავზე ( $H=700\text{მ}$ )-20 დეკემბერს. ყინულის საფარის

დაშლა ამ წყალსაცავებზე შესაბამისად ხდება: 3 თებერვალს, 15 თებერვალს და 21 თებერვალს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იმ წყალსაცავებზე, რომლებიც განლაგებული არიამ 0-300მ სიმაღლეების დიაპაზონში (გალის წყალსაცავი) ყინულის საფარის რეჟიმული მახასიათებლები მიღებული იქნა კლიმატური თვალსაზრისით არაერთგაროვანი ტერიტორიების ინფორმაციის საფუძველზე (მაგ. კოლხეთის დაბლობი, რომლის ზღვისპირა ჰაერის საშუალო ტემპერატურა 0-300მ-ში, სადაც ჰაერის უარყოფითი საშუალო თვიური მნიშვნელობები აღინიშნება ორი თვის განმავლოვაში), რამაც განაპირობა მიღებული შედეგების უვარგისობა მდ. ენგურის აუზის ზღვისპირა ნაწილის თერმული რეჯიმის დახმარებაში: როგორც ცნობილია, კოლხეთის დაბლობში არსად არ აღინიშნება 300მ-ზე დაბლა განლაგებულ ტერიტორიებზე ტემპერატურის მრავალწლიური საშუალო დღე-დამური უარყოფითი მნიშვნელობები და წყალსაცავებზე მდგრადი ყინულის საფარის წარმოქმნა.

როგორც  $t_{200}=f(H)$  დამოკიდებულების ანალიზი გვიცვენებს, ადგილილის აბსოლუტური სიმაღლის ზრდის შემთხვევაში ზღვის დონიდან 4000მ-მდე დღე-დამის ტემპერატურის დადებითი მნიშვნელობების პერიოდის ხანგრძლივობა მერყობს წლიდან 2 თვემდე (ივლისი, აგვისტო). საქართველოს შავი ზღვისპირეთის 0-500მ ზონაში წლის განმავლობაში საშუალო დღე-დამური ტემპერატურების მნიშვნელობები იშვიათად ეცემა 0<sup>0</sup>-ზე დაბლა. ამ ზონაში 300მ სიმაღლის ჩათვლით ჰაერის საშუალო დღე-დამური ტემპერატურის უარყოფითი მნიშვნელობების არსებობა გამორიცხულია. უფრო მეტიც, ამ ზონის ზოგიერთ აღვილებში, სადაც ოროგრაფიის თავისებურებების შედეგად არქტიკული ჰაერის მასებში ვერ აღწევს. 700-800მ სიმაღლემდე ზღვის დონიდან ზამთარი აღინიშნება ყინვების გარეშე.

როგორც აღინიშნა, წყალსაცავებზე აორთქლებისა და ყინულის საფარის წარმოქმნის პროცესებზე პრევალირებულ ფასელების ახდენს მათი განლაგების რაიონის თერმული რეჟიმი. როგორც მრავალწლიური დაკვირვებათა ინფორმაციის ანალიზი გვიჩვენებს, საკვლევი რაიონის 0-1000მ სიმაღლეების დიარბაზონში განლაგებული წყალსაცავების სარჯის

ზედაპირიდან აორთქლების პროცესები გრძელდება მოედი წლის განმავლობაში, ვინაიდან მოლიანი ყინულის წარმოქმნის შემთხვევებს ადგილი აქვს ამ სიმაღლეების ზევით.

აორთქლების სიდიდეების გამოსათვლელ ფორმულაში შედის წყლის ზედაპირიდან 200სმ სიმაღლეზე ქარის სიჩქარე, რომლის მნიშვნელობები, როგორც წესი, ცნობილი არ არის. წყალსაცავების წყლის ზედაპირიდან 200სმ სიმაღლის ქარის სიჩქარის საშუალო თვიური სიდიდეები- $v_{200}$  გამოთვლილი იქნა შემდეგი ფორმულებით:

$$v_{200} = K_1 K_2 K_3 v_3 \quad (5.24)$$

სადაც  $v_3$  არის ქარის საშუალო ტვიური სიჩქარე ფლიუგერის სიმაღლეზე (9-12);  $K_1$   $K_2$   $K_3$ -არიან კოეფიციენტები, რომლებიც ითვალისწინებენ მეტეოროლოგიური სადგურის მოედნის დაცვის ხარისხს ( $K_1$ ), მეტეოროლოგიური სადგურის განლაგების რაონის რელიეფის თავისებურებებს ( $K_2$ ), და პაერის ნაკადის წყალსაცავზე საშუალო განარტენის სიდიდეს ( $K_3$ ). ამ კოეფიციენტების მნიშვნელობები საკვლევი მეტეოროლოგებისა და წყალსაცავებისათვის მათი ადგილმდებარეობების თავისებურებებისა და დაცვის ხარისხის გათვალისწინებით მოცემულია /19/-ში.

